



# საქართველო

საქართველოს ეროვნულ . დემოკრატიული პარტიის  
კენტირდული ორგანო

L'Organe de la democratie nationale georgienne „LA PATRIE“

იანვარი

Janvier

№ 27

## ზინაარსი :

- |  |                     |
|--|---------------------|
| 1. მოსკოვი და მის მიერ დაპყრობილი ერები        | ალ. ასათიანი        |
| 2. კავკასია                                    | უნ მარტენი          |
| 3. ეროვნულ ძალთა მთლიანობისათვის               | ელ. პატარიძე        |
| 4. კრიზისთა მორევში                            | რ. ინგილო           |
| 5. ქემალ ათათურქი                              | **                  |
| 6. ეკონომიური პრობლემის ირგვლივ                | 6. სიღამონ-ერისთავი |
| 7. სასოფლო მეურნეობა ემიგრაციაში               | დ. უგრეხელიძე       |
| 8. უცნაური „ფაშისტი“ და მისი „მოძრაობა“        | ალ. ასათიანი        |
| 9. ქართული სიმღერა საფრანგეთში                 | ბანი                |
| 10. კავკასიის კონფედერაციის საბჭოს დადგენილება | **                  |
| 11. სამელოგიარო:                               | **                  |
| ა) ვახტანგ მაჩაბელი                            | **                  |
| ბ) გრიგოლ ნადარეიშვილი                         | **                  |
| გ) მარიამ კობერიძე - მახარაშვილი               | **                  |
| დ) ლენ. შაქრო ბაქრაძე                          | ბაგრატ              |
| 12. ემიგრაციაში                                | **                  |
|  | **                  |
|  | **                  |

909-1  
1-506

# სამართალი

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის  
კენტირდული ორგანო

L'Organe de la democratie nationale géorgienne „LA PATRIE“

ინანვარი 1939 წ.

№ 27

JANVIER 1939

## მოსკოვი და მის მიერ დაპყრობილი ერაზი


მიუნხენის შეთანხმება სამართლიანად იქმნა დაფასებული, როგორც უდიდესი აქტი, რომელმაც შესაძლოა სულ ახალი მიმართულება მისცეს საერთაშორისო ცხოვრებას. ბუნებრივად, ერთნაირად არ არის წარმოდგენილი ამ შეთანხმების მოსალოდნელი შედეგები, და აქ ჩვენ ვხედავთ დიდს იმედიაზობასა და დიდს უიმედობასაც, მაგრამ დაფასებათა ასეთს დიდს განსხვავებას აღვივლი არ აქვს, როესაც საკითხი შეეხება არა მომავლის პერსპექტივებს, არამედ მიუნხენის მიერ უკვე მიღწეულ შედეგებს.

საყოველთაოდ არის მიღებული ის აზრი, რომ ამა წლის სექტემბრის 29-ს მიუნხენში მიღწეულ შეთანხმებამ ევროპა გადაარჩინა ისეთ ომს, რომელსაც შესაძლოა მოჰყოლოდა მსოფლიო ომის შემდეგ ძალზე დასუსტებულ ევროპის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრების სრული დაზარება და დაძაბუნება. უდავოდ უნდა იყოს მიღებული აგრეთვე ისიც, რომ მიუნხენის შეხვედრამ საგრძნობლივ შეანოღა დასავლეთის სხელმწიფოთა შორის არსებული შეურთიგბლობის სულისკვეთება და მით დასახა მათ შორის ხანგრძლივი დაზავების გზები. უწინარესად ყოვლისა ეს უნდა შეჰხებოდა საფრანგეთ - გერმანიის ურთიერთობას, და ეს ასეც მოხდა. 6 დეკემბერს პარიზში ხელმოწერილი ბონე - რიბენტროპის დეკლარაცია პირველი და ფრიად მნიშვნელოვანი გამოძახილია მიუნხენში დამყარებული ჰავის. ის არ არის ხელშეკრულება, მაგრამ არის ისეთი აღთქმა საფრანგეთ - გერმანიის საუკუნობრივ მტრულ ურთიერთობის სულ ახალს, ზავისა და მშვიდობიანობის ნიადაგზე გადატანისა, რომ მისი მნიშვნელობა უთუოდ უფრო დიდი იქნება; ვიდრე წინანდელ განწყობილების დროის დადებულ ხელშეკრულებათა და პირობების.

მიუნხენის შეხვედრა უთუოდ ფრიად მნიშვნელოვან ცვლილებებს შეიტანს აგრეთვე სხვა დიდ სახელმწიფოთა ურთიერთ განწყობილებაში.

ჩვენ აქ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ერთი გარემოება, რომელიც შეუშინეველი დარჩა მიუნხენის შეხვედრის დაფასებათა დროს.

6-506





უკანასკნელ წელთა მანძილზე შეიქმნა ლეგენდა კაცობრიობის ორ შეურიგებელ ფრონტად დაყოფის შესახებ, და ეს ძიითი სავსებით გააბათილა მიუხედავად ძეხვედრად. საყოველთაო გაგებით, ენკებისთვის ეს ორი ფრონტი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის დაირაზდა და ერთმანეთს დაუპირისპირდა. ბოლოს საომრად განმზადებული ფრონტების მეთაურები დასაზავებლად ძეხვედნ ერთმანეთს და ამ დაზავების მოლაპარაკების სენად არ გამზდარა არც ერთი საკითხი, რომელიც ჰყოფს ამ, ეგრედ წოდებულ „იდეოლოგიურ ფრონტებს“. არ დასძულა საკითხი არც დემოკრატიის, არც ტოტალიტარულ წყობის, და არც ლიბერალური თუ ოტოკრატიულ ეკონომიკის. დაისვა და გაირჩა საკითხები, რომელთა შესახებ ძუდამ ყოფილა დავა და ასევე ძუდამ იქნება, რომელთა გამოათასი ომი მომზდარა წარსულში და ათასი დაზავება. საკითხი იყო ტერიტორიის, ეთნიური ერთეულების, სახელმწიფოთა რეალურ ეკონომიურ, პოლიტიკურ და სტრატეგიულ ინტერესების. ჩვენ წინეთაც არა ერთხელ აღვვინებნავს, რომ ამ იდეოლოგიური ფრონტების ბუნება არ არის ისეთი, როგორც ეს საპროპაგანდო სიტყვებშია გამოძვეურებული და რომ ის არც ტოკიოშია გამოწყებული და არც რომში, თუ ბერლინში. ეს იდეოლოგიური ფრონტი მოსკოვის კომუნისტებმა შექმნეს ფაშისმის გაჩენის თანავე და მათ მოუწოდეს მსოფლიო პროლეტარიატს ანტიფაშისტური ფრონტის შესაქმნელად. შემდეგ მოსკოვმა ამ საქმეში სოციალისტური წრეები ჩაითრია და ზოგჯერ დემოკრატიულიც. ცამეტი წელიწადი გრძელდებოდა ეს ყველა ანტიფაშისტურ ძალების დარაზნვა მთელი მსოფლიოს სივრცეზე და მხოლოდ ამის შემდეგ უპასუხეს იაპონიამ, გერმანიამ და იტალიამ ანტიკომუნისტურ პაკტით. ეს იყო ცდა მოსკოვის კომინტერნის ასეთ მუშაობისათვის მისივე იარაღით პასუხის გაცემისა. ყველასათვის ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ ეს ამბავი უპასუხებდა კომინტერნის ასეთს მოქმედებას და სრულიად არ ისახავდა მიზნათ ომითა და იარაღით დამზობას ევროპის სოციალ-პოლიტიკური რეჟიმისა და მის ნანგრევებზე ფაშისტურ წყობის დაფუძნებას. მართალია, იტალიასა და გერმანიის დამყარებული პოლიტიკურ - ეკონომიური სისტემა დიდათ განსხვავდება იმ ინდივიდუალისტურ კაპიტალიზმისა და დემოკრატიზმისაგან, რომელიც მე 19 საუკუნეში დამყარდა, მაგრამ საკმაოდ ნათელია ისიც, რომ ამ ორ სისტემათა შორის უთანხმოება გადაწყდება არა იდეოლოგიური ომებით, არამედ მშვიდობიანი ევოლუციის გზებით. ამ ოცი წლის მანძილზე არა მარტო იდეოლოგიურად, არამედ ფაქტიურადაც დამარცხდა სავსებით ორი პოლიტიკური სოციალური სისტემა — კოლექტივიზმისა და ინდივიდუალიზმისა. პირველმა განვლო ყველა ეტაპები, გააკეთა ყველა ექსპერიმენტები საბჭოთა რუსეთის სინმდვილეში და დღეს გადაიქცა მხოლოდ ძალდატანებაზე დამყარებულ სატრაპიათ. მართალია, ლიბერალიზმის კრახი არ არის ასე სრული, მისი დროშის ქვეშ კვლავ სდგანან მსოფლიოს ზოგიერთი დიდი სახელმწიფოები. მაგრამ ეს უფრო გარეგნულად, ვიდრე არსებითად. ოტავის საიმპერიო კონფერენციის შემდეგ ინგლისი დიდათ დაშორდა ლიბერალურ ეკონომიკის გზებს და ამავე გზით წავიდა ამერიკა და საფრანგეთი თავის „ეკონომიი დირიჟე“ და „ეკონომიი ორიანტე“-თი. ამ ქვეყნებში ლიბერალიზმში ნაკვერცხლები მხოლოდ არ გამჭარალა სავსებით და იქ ეს ლიბერალიზმი თუ ცოცხლობს, ის მხოლოდ ლანდია კლასიკური ლიბერალიზმისა. კალხთა ეკონომიურ ცხოვრების ვითარებამ ზურგი აქცია ორ საწინააღმდეგო უკიდურესობას — კოლექტივისტურსა და ინდივიდუალისტურს, და

ის ამ ორ პოლიუსის შორის ეძებს ახალ ნიადაგს. ამ უმაღლეს ვერტიკალურ იტყვის რომელ წერტილზე შეჩერდება ის, იქ, სადაც ამხნობით მოთავსდები ტოტალიტარული სახელმწიფო, თუ სხვაგან, მაგრამ ისტორიის მრავალ ძაგალითების მიხედვით შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ მსოფლიო ეკონომიკა თავის ახალ ევოლუციამდეც მიღწევს ისეთს ნიადაგს, რომელიც მცირე რამეში იქნება განსხვავებული, ხოლო საერთო უმთავრესში, როგორც ეს იყო მეცხრამეტე საუკუნის ვასწვრივ.

ამ რიგად, მიუნხენის შეხვედრის საგნად არ გამხდარა ასეთი იდეოლოგიური საკითხები, მაგრამ არსებითად მთელი მისი მუშაობა დატრიალდა მანც ერთი იდეოლოგიური პრინციპის გარშემო. ეს იყო ერთა თვითგამორკვევის საკითხი. ჰიტლერი ითხოვდა ამ პრინციპის განაღდებას ჩეხოსლოვაკიის საზღვრებში მომწყვედეულ გერმანელთა მიმართ. მუსოლინმა იტალიის სხვა და სხვა ქალაქებში წარმოთქმულ სიტყვებში დასვა საკითხი ამ პრინციპის განაღდებისა აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის პოლონელების, უნგრელებისა და უკრაინელების შესახებ. მანვე საერთო ხასიათი მისცა ამ პრობლემას და აღნიშნა, რომ არსებობს კიდევ ერთი მოზაიკური შემადგენლობის სახელმწიფო. არავისათვის იყო საეჭვო, რომ ის საბჭოთა რუსეთს ჰგულისხმობდა.

„ტიამსმა“ იმავე ხანებში განაცხადა, რომ ინგლისი მუდამ იცავდა ერთა გამორკვევის უფლებას და მისთვის შეუძლებელია ამის წინააღმდეგ წასვლა ჩეხოსლოვაკიის საკითხში და ურჩევდა მას ამ პრინციპის განაღდებას თავისივე ნებით. ჩემბერლენმა გულახდილად განუცხადა საფრანგეთის მთავრობას, რომ ინგლისს არ შეუძლია ომი იმისათვის, რომ სუდეტის გერმანელები ჩეხების ხელქვეითი დარჩესო. საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარეს დალაღებს თავის შნავრ ნათლად ექნებოდა წარმოდგენილი, თუ რამდენად ძნელი იყო საფრანგეთისათვის ომის წარმოება ისეთი პრინციპის წინააღმდეგ, რომელსაც საფრანგეთი იცავდა მუდამ მთელი საუკუნის მანძილზე. ეს პრინციპი ჩაეყარა ერთ ერთ საფუძვლად თვით ვერსალის ზავს. მის ნიადაგზე მოხდა ავსტრო-უნგრეთის იმპერიის დანაწილება, გერმანიის და რუსეთის ტერიტორიების ჩამოჭრა და მთელი რიგი სახელმწიფოების წარმოშობა. ამ პრინციპის გამარჯვებამ მრავალი სახელმწიფო წარმოშვა მე-19 საუკუნეში და ესლა მათ მიემატა ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, და პოლონეთი, რომელიც ოცი წლის მანძილზე დიდ და ძლიერ სახელმწიფოდ იქცა. წარმოიშვა ფინლანდია, ლატვია, ლიტვა, ესტონია და აგრეთვე უკრაინა, საქართველო, აზერბეიჯანი, სომხეთი, ჩრდილო კავკასია და თურქესტანი, რომელნიც შემდეგ საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო.

მიუნხენში შეკრებილმა ოთხი დიდი სახელმწიფოს მეთაურებმა ქედი მოიხარეს ერთა თვითგამორკვევის უფლების წინაშე და თვით ჩეხოსლოვაკიამ მიიღო ასეთი წინადადება და, რასაკვირველია, არა მხოლოდ ფიზიკური სისუსტის მიზეზით. უთუოდ მას არ მიიღებდა არც ის და არც მისი მოკავშირენი, საკითხი რომ ყოფილიყო ჩეხებით დასახლებულ მიწების შესახებ.

ერთად ერთი საბჭოთა რუსეთი გადაუღდა ამ უკვე საერთო იდეოლოგიურ ფრონტს და ლიტვინოვმა ყენევაში ლამაზი სიტყვა წარმოსთქვა ხელშეკრულობათა სიწმინდის შესახებ. მოსკოვმა ამასთანავე დიდი მუქარა გაუგზავნა პოლონეთს, უკეთუ ის თავის პრეტენზიების განა-



ლდებსა მოინდომებდა, და ეს მუქარა დაავიწყდა, როცა პოლიტიკური მოთხოვნა სისრულეში მოიყვანა.

ასეთი იყო საქმე და იდეოლოგია მიუხედავად და ეს საქმეცა და იდეოლოგიაც მისი აშკარად დაუპირდაპირდა მოსკოვის საქმესა და იდეოლოგიას. დღეს უკვე ბევრს სწერენ მოსკოვის იზოლიაციაზე მაგრამ ეს დიდათ ძეტია, ვიდრე იზოლიაცია.

ევროპის სახელმწიფოებმა მრავალი ცდა გააკეთეს იმისათვის, რომ უკიდურესი რევოლუციონური სენით შეპყრობილი რუსეთი ეკონომიურად და პოლიტიკურად დაეახლოვებინათ და მით ხელი შეეწყობთ მის გაჯანსაღებისა და საერთაშორისო ოჯახში დაბრუნებისათვის. მათ აღადგინეს მასთან პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა და არც დაუცადეს მისი ცხოვრების სტაბილიზაციას და საციათა ლიდაშიც ძლიერდეს. ამ მიმართულებით გერმანიამ სხვას დაასწრო და რაპალოს ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთი ფაქტიურად მოკავშირედა გაიხადა. ნათელია, რომ გერმანიას სრული იმედი ჰქონდა, რომ ასეთი დაახლოვებით გაადვილებდა და დაჩქარებდა კომუნისტურ რუსეთში სალი სახელმწიფოებრივი ცხოვრების დაფუძნების პროცესს, რის შემდეგ იგი კვლავ გახდებოდა ერთ ერთ უდიდეს ფაქტორად საერთაშორისო ცხოვრებაში. მაგრამ ასეთი იმედები გერმანიას არ გაუმართლდა. ამის შემდეგ საფრანგეთი აკეთებს ასეთსავე ცდას საფრანგეთ-რუსეთის პაქტით. დღეს საფრანგეთში თითქმის ერთსულოვანი აზრი მყარდება, რომ ამ აქტზე დამყარებული იმედები სასვებით გაცრუვდა და გაბათილდა. მარსელის კონგრესზე წარმოთქმულ სიტყვაში საფრანგეთის მთავრობის მეთაურმა, ელუარდ დალადიემ, მოსკოვი რომ ერთხელაც არ მოიხსენია, ამან დიდათ გააბრაზა საბჭოთა რუსეთის მეთაურები, მაგრამ არავინ გააოცა არც სხვაგან, და, ვფიქრობ, არც თვით საბჭოთა რუსეთში. იმედებსა და ილუზიებს თავისი საზღვარი აქვს და მოსკოვის ევოლუციასა და გაჯანსაღებაზე შექმნილი იმედები ყველა ასეთს საზღვრებს გადასცდა.

დღეს უდავოდ ყველა რწმუნდება, რომ კომუნისტური რევოლუციის ბუნება დიდათ განსხვავდება ევროპის ქვეყნებში წარსულში მომხდარ რევოლუციებიდან, და თვით რუსის ხალხსაც აღმოაჩნდა მრავალი უცნაური და გაუგებარი ბუნება და თვისებები. ამ უდიდეს და უმდიდრეს სახელმწიფოში ოცდა ერთი წლის მანძილზე ხდება პოლიტიკურ-სოციალური ხოვრების ნგრევა და დაშლა, ქვეყნის მატერიალურ და სულიერ ძალთა განუწყვეტელი განაჩანაგება, და არ სჩანს არავითარი სერიოზული ნიშანი ამ უხილავი „პაგრომის“ შენელებისა და გაჯანსაღების პროცესის დაწყებისა.

მაგრამ ამ უდიდესს და საკუთარ ძალებით დაუძლველ სენთან ერთად საბჭოთა რუსეთის სინამდვილეში ადგილი აქვს მეორეს, და კიდევ უფრო საბედისწერო სნეულებას, რომელსაც დღემდე ნაკლებად ამჩნევდენ ევროპის ქვეყნები, საბჭოთა რუსეთის გაჯანსაღებისა და გამძლავრების მოიმედენი. კომუნისტურ რევოლუციის დაწყებიდანვე საბჭოთა რუსეთი ორ თანაბარ და შეურიგებელ ფრონტებად გაიყო. ერთის მხარეზე მოექცა რუსული მოსკოვი და მეორეხედ არა რუსი ერები მოსკოვის მიერ ცეცხლითა და მანვილით დაპყრობილი და საბჭოთა საპყრობილეში ჩამწყვდეული. უცხოელები დიდს ყურადღებას აქცევენ გლეხობის ბრძოლას კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ, და თვით ინტელიგენციის სუსტ ფენებისა, მაგრამ ნაკლებად ამჩნევდენ იმ სისხლიან და შეურიგებელ ბრძოლებს, რომელსაც ეს

ერები აწარმოებდნენ რუსეთის მონობისაგან განთავისუფლების მიზნით. საქართველოს საძი აჯანყება, აზერბეიჯანის, სომხეთის, მთის, უკრაინის, თურქესტანის, იდელ-ურალის, ყირიმის, ბელორუსიის და სხვა ერთა ამბოხებები, შეთქმულებები, მუდმივი აქტიური და თან მასსიური პასიური წინააღმდეგობა უცხო მეთვალყურეთა მიერ არას დროს ყოფილა საკმარისად გაგებული და დაფასებული.

ვფიქრობთ, რომ ასეთი ვითარება უკვე დასრულდა იმ დიდი პროცესების შემდეგ, რომელთაც ადგილი ჰქონდა ამ უკანასკნელ წელთა მანძილზე მოსკოვში და საბჭოთა რუსეთში მომწყვდეულ ერების სატანტო ქალაქებში. ამ პროცესებმა ნათლად გაამჟღავნეს, რომ საბჭოთა რუსეთის მთელი მოსახლეობა, როგორც რუსები, ისე არა რუსები, ერთსულად ებრძვიან მოსკოვის კომუნისტურ რეჟიმს. მაგრამ ამ პროცესებმა გაამჟღავნეს ასევე ნათლად, რომ ამას ვარდა, არა რუსი ერები აწარმოებენ შეურიგებელ და მუდმივ ბრძოლას მოსკოვის ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის და საკუთარ ეროვნულ სახელმწიფოების აღდგენისათვის. კომუნისტურ მოსკოვის ლიდერები — ბუხარინი, რიკოვი, კრესტინსკი და სხვები სტალინის დიქტატურის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლებში სწორედ ამ არა რუს ერებზე ამყარებდნენ უმთავრეს თავის იმედებს და მათ მებრძოლ პატრიოტულ ძალებს უკავშირდებოდნენ. ამ პროცესებმა ნათელჰყო, რომ მოსკოვის მიერ დაჩაგრულ ერთა ბრძოლა მოსკოვის წინააღმდეგ არის ყველაზედ მძლავრი ფაქტორი იმ მძვინვარე ოპოზიციონურ ოკეანეში, რომელშიდაც არის მოქცეული მოსკოვის კომუნისტური რეჟიმი. თვით საბჭოთა პრესამ ამცნო ეს კაცობრიობას და ამის შემდეგ ის შეუმჩნეველი და შეუგნებელი ვერავისათვის დარჩება.

ასეთი ვითარება საკმაოდ ნათელს ჰყოფს საბჭოთა რუსეთის მომავალ ბედსა და პერსპექტივებს. ამ ოცი წლის მანძილზე დიდათ გამოიცვალა ევროპის პოლიტიკური რუქა. რუსეთის და ავსტროუნგრეთის იმპერიების ხარჯზე თორმეტი სახელმწიფო დაარსდა, მაგრამ ამათგან ხუთი კვლავ დაიპყრო კომუნისტურმა მოსკოვმა. მაგრამ თვით კომუნისტურმა რუსეთმა ვერ წაშალა საესეებით ამ სახელმწიფოთა პოლიტიკური არსებობა. საბჭოთა კავშირი თერთმეტი რესპუბლიკიდან და მრავალი ავტონომიური ერთეულებიდან შესდგება და თვით საბჭოთა კონსტიტუციის მიხედვით ამ რესპუბლიკებს საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლება აქვთ... საბჭოთა კავშირის ერთს დიდ რესპუბლიკაზე დღეს უკვე მთელს მსოფლიოში ბჭობენ და მისი დამოუკიდებლობის აღდგენის აუცილებლობასაც ითვისებენ. ხოლო ეს რომ მოხდებდა, უთუოდ ასევე მოხდებდა მოსკოვის მიერ დაპყრობილ სხვა ერთა შესახებ.

ევროპის პოლიტიკური წრეები უკვე ამჩნევენ იმ საზღვრებს, რომელიც გავლებულია მოსკოვსა და ამ რესპუბლიკათა შორის. ისინი უკვე ხედავენ იმ ბრძოლას, რომელიც სწარმოებს ამ რესპუბლიკებში მოსკოვის უღლისაგან განთავისუფლებისათვის. უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ევროპის პოლიტიკურ რუქაზე მომხდარი ცვლილებები საკმაოდ უნდა არწმუნებდეს მათ, რომ საბჭოთა რუსეთის რუქაზედაც დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი მახლობელს დროში და მოსკოვიც ვერ გაქცევა თავის ბედის განაჩენს. ნემეზიდა ბრმა, მაგრამ სამართლიანი.

## კ ა ვ კ ა ს ი ა

ამ სათაურით მოთავსებულია „ლა რევიუ დე პრომეთე“-ში ქართველთა დიდი მეგობრის „ჟურნალ დე ჟებე“-ის რედაქტორ **ჟან მარტენის** ღირსშესანიშნავი წერილი, რომლის შემოკლებულ თარგმანსაც აქ ვათავსებთ.

### 1. კავკასია დავიწყებულია

კავკასია თითქმის სრულებით გაჰქრა საზოგადოებრივი აზრის ყურადღების არედან. ლაპარაკობენ მხოლოდ ესპანიის ომზე, იაპონია ჩინეთის ომზე და ჩეხოსლოვაკიისადმი მიმდევარ საფრთხეზე. ფართე მასებისათვის კავკასია არ შედის აქტუალურ საკითხთა რიცხვში: შეიძლება ითქვას რომ მას ივიწყებენ.

რატა დარჩა წინად მსოფლიოში გაშლილ პროპაგანდიდან წამებული სომხის ერის სასარგებლოდ? რომელი არის სინიდისი რომელსაც კიდევ აღელვებს ამ უბედური ქვეყნის დავიწყება.

საქართველოსაც, რომლის შვილთა გმირულმა ბრძოლამ მთელ მსოფლიოში აღტაცება და ვაჟა გამოიწვია და რომლის განთავისუფლებასაც წინასწარ პირობად უყენებდნენ საბჭოთა რუსეთს მისი ერთა ლიგაში დაშვებისათვის, წილად არა ხვდა უკეთესი ბედი. ეს ქვეყანაც დაივიწყეს. ასეთივე ბედი ეწვია ადერბეიჯანის საკითხსაც. ამ ქვეყნის დაპყრობამ არ გამოიწვია ზიზლი დამპყრობელთადმი და თანაგრძნობა დაპყრობილთადმი? თვალი გადაავლეთ პოლიტიკურ ორიზონტს, შეეკითხეთ სახელმწიფო კაცებს, გადაათვალიერეთ ჟურნალები, და თქვენ დარწმუნდებით რომ კავკასიის საკითხი არა დგას დღის წესრიგში. კავკასია დავიწყებულია. ასევეა დავიწყებული უკრაინა და თურქესტანიც. (წერილი დაწერილია სექტემბერში. რედ.)

ხალხთა მოსახლეობის ეს დიდი ჯაჭვი, რომელიც შესდგება უკრაინისა, საქართველოსა, სომხეთისა, აზერბეიჯანისა, ჩრდილოეთ კავკასიისა და თურქესტანისაგან, ხშირად ყოფილა გაწყვეტილი საუკუნოების განმავლობაში მაგრამ ხშირადვე გადაბმული და აღდგენილი.

### 2. კავკასია იცდის

კავკასია იცდის, ის ჯერ არ ჯანყდება, და ეს გონიერია. წარმოიდგინეთ რომ იქ აჯანყებამ იფეთქა დღეს. უდაოა, რომ ის ჩახრჩობილი იქნება სისხლის მორევში. და როდესაც შესაფერ მომენტში განთავისუფლების ზარი ბრძოლისათვის მოუხმობს ამ ერებს, მათ აღარ ეყოლებათ ამ დიდი ბრძოლებისათვის საჭირო სათადარიგო ძალები.

კავკასიამ უნდა მოიცადოს, და მას შეუძლია მოიცადოს, ვინაიდან მისი ტერიტორია, მისი მოსახლეობა და მათი ეროვნული სული და აზრი არსებობს. მტერს შეუძლია კავკასიის პოლიტიკური გეოგრაფიის და ვერასოდეს მისი ფიზიკური გეოგრაფიის შეცვლა. კავკასია გეოგრაფიულად არც რუსეთს და არც მცირე აზიას ეკუთვნის, ის სრულიად განცალკევებული ერთეულია მის ბუნებრივ საზღვრებში გამოკვეთილი.

კავკასიაში მოზინადრე რასიული ერთეულები მხნე-ენერგიულნი და გამძლენი იყვნენ და არიან, მიუხედავად იმ დიდი უბედურებისა, რაც მათ მოევლინათ, მაინც განაგრძობენ სიცოცხლესა და არსებობას. მშვიდობიანი მუშაობა არ ჩერდება, ქვეყნის ბუნებრივი რესურსები

უძლევენ დროთა სიმძიმეს და ახლდებიან, უღვეველი არის ჭიათურის 'მავი ქვა, ბაქოს ნავთი, კავკასიის ტყეები, თეთრი ხანშირი, ხორბალი და სიძინდი, და შინაური ცხოველთა უამრავი ჯოგები. სიცოცხლე მძიმე, შეხუთული და ნელი ძაგრამ მინც გრძელდება. კვდებიან მხოლოდ ის ერები, რომელნიც სიკვდილს გულზედ ხელდაკრეფილნი მიჰნებდებიან. კავკასიის ერებს კი სიცოცხლე უნდათ და სწყურიათ.

ამ ხალხების ეროვნული სული და აზრი, ისევე ცხოველმყოფია ამ უცხოთა ჩაგვრის ხანაში, როგორც მათი დამოუკიდებლობისა და აყვავების ხანაში. შეუძლებელია ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ჩაკვლა ეროვნული სულისა და გაქარწყლება ეროვნულ ტრადიციებისა. გრძელი საუკუნოების მანძილზე მძიმე ისტორიის მსვლელობით რომ ჩამოყალიბებულან - გამოკვეთილან. კავკასიის ერების ძარღვებში სიხსლთან ერთად მოძრაობს ინსტინქტი თავისუფლებისა და მათი გულის ფიცარს აწვება უძლეველი ნებისყოფა თავისუფლების კვლავ მიწებისა.

ჩვეულებრივი ხალხებისათვის ხშირად რამოდენიმე წელი საუკუნეს უდრის და სულ მცირე შემთხვევასაც კი შეუძლია მათი სამუდამოდ გაქრობა. კავკასიის ერებისათვის კი, პირიქით, საუკუნოები წლებს უდრის. ერთი საუკუნის ბატონობას არ ძალუძს მათი ეროვნული შემეცნება-შეგნების შერყევა ან გარდაქმნა. ამის დამადასტურებელია დიდი ომის შემდეგი საქართველო, რომელმაც სულ რამოდენიმე დღის განმავლობაში შეიცნო თავისი თავი და ამაყად ჩადგა თანამედროვე ერთა რიგებში, როგორც ძველ საუკუნოებში თავისუფალი და დამოუკიდებელი. ამ რიგებში კვლავ იხილავს საქართველოს კაცობრიობა, როცა ჩამოჰკრავს ზარი განთავისუფლებისა.

ამ ჟამად კი კავკასიის ერებმა იციან მოთმინება, გაძლება მათზედ მოვლენილ უაღრეს გაჭირვებისათვის, მათი სულიერი ჯანყის დათრგუნვა და პირისახის სიმშვიდე. მათ იციან რომ მათი უწმიდესი მოვალეობაა მომზადება, იმ ახალი თაობის, რომელმაც უნდა დაავიკრავინოს მათ მიერ ეროვნული აღორძინებისათვის, წარმოებული მუშაობა. ბევრად მეტი მორალური ძალაა საჭირო ღირსეული თავშეკავებისათვის ვინემ აფეთქება-აჯანყებისათვის.

სანატრელი ზარის დრო ჯერ არ მოსულა, კავკასია უცდის.

### 3. კავკასია აღსდგება!

ღრმად მრწამს, რომ კავკასია აღსდგება. ამ ჩემს რწმენას ასაკეცებს ის ფაქტი, რომ კავკასიის ყველა ერთა წარმომადგენელი ერთად შეთანხმებულნი მუშაობენ.

მეთვრამეტე საუკუნეში რომ ქართველებს, სომხებს, ადერბეიჯანელებს და ჩრდილო კავკასიელებს ერთი მთლიანი კავშირი შეექმნათ, და თავი ერთად დაეცვათ გარედან შემოსეული მტრებისაგან, მეცხრამეტე საუკუნე იქნებოდა მათთვის არა მონობის, არამედ თავისუფლებისა და აღორძინების ხანა.

მეთვრამეტე საუკუნეში ანალოგიური შეცდომა დაუშვეს შვეიცარიის ხალხებმაც, და ამ შეცდომას მოჰყვა უხო მტრის შემოჭრა. როცა ხელსაყრელი შემთხვევა მიეცათ მათ დასძლიეს შინაური უთანხმოებანი და გაერთიანდნენ. ამ დროიდან შვეიცარია გახდა მსოფლიოში ერთ-ერთი ბედნიერი ერი.

ასევე იყო ბალკანეთის კუნძული. ბალკანეთის სახელმწიფოები დიდ სახელმწიფოთა ხელში სათამაშოდ იყვნენ მანამ, სანამ მათ შორის უთანხმოება და ქიშპობა სუფევდა: დღეს მათ შეიგნეს წარსულის შე-



ცდომები, ერთი მეორეს დაუახლოვდნენ, მორიგდნენ და შეკავშირდნენ, და დღეს დანუბის ნაპირებს ფრთებ გაშლილი მფარველობის ანგელოზი.

1919 წ. ამიერ კავკასიის რესპუბლიკის დანაწილება ცალკალკე ეროვნულ რესპუბლიკებად და მათი სხვა და სხვა საგარეო პოლიტიკა და ორიენტაცია წინ უძღოდა და ამზადებდა მათ ხელ-ახლად ცალ ცალკე დაპყრობას რუსეთის მიერ.

დღეს დაპყრობილი კავკასიის ხალხების დაკავშირება მემარჯვენე თუ მემარცხენე სახელმწიფოებთან სახიფათო იქნება მათი მომავლისათვის, რადგან ეს გამოიწვევდა თავისუფლებისათვის მებრძოლი ძალების იდეოლოგიურ ხაზზედ დაშლას.

საჭიროა ამ ხიფათის თავიდან აშორება. ვიმეორებ, კავკასია კვლავ აღსდგება, და მისი მომავალი იმდენად უფრო კარგი, საიმედო, ხანგრძლივი იქნება, რამდენადაც კავკასიის ერები მტკიცედ გარდასწყვეტენ და დაადგებიან სოლიდარულ მოქმედებისა და არსებობის გზას.

ჟან მარტენი

„უურნალ დე ჟენევის“ დირექტორი



## ეროვნულ ძალთა მთლიანობისათვის


მსოფლიო ამბები ისეთი მიმართულებით ვითარდებიან, რომ სულ ახლო მომავალში შესაძლებელია რუსეთის საკითხი დაისვას ამა თუ იმ სახით და მასთან ერთად სრულიად ბუნებრივად რუსეთის მონობის უღლის ქვეშ მყოფ ერებისაც, რომელთა ძალებიც ანგარიშ გასაწევი და საიმედო იქნება. ამ ეროვნებათა ძალებთან არის მჭიდროდ დაკავშირებული ჩვენი ეროვნული ძალაც. ერთის მტრის მიმართ, ერთის დიადის მიზნით მიმართული ამ საერთო ძალების მნიშვნელობა მეტად საიმედო პერსპექტივას გვიშლის, და მოსალოდნელი დიდი ამბების ჩვენდა სასარგებლოდ გამოყენებისათვის გემართებს მთელი ჩვენი ეროვნული სულიერი და ფიზიკური ძალების თავმოყრა-გაერთიანება, ეროვნულ მოქმედებისა და ბრძოლის საერთო და მთლიანი გეგმის დასახვა, ყოველივესი წინასწარი აწონ-დაწონვა და გამოზომვა დიდის გონიერებით და დარბაისლობით, მეთოდური ერთსულოვანი მოქმედება და სვლა ეროვნულ განმათავისუფლებელ გზაზედ, რომელიც დღეს მეტად აშლილი და აღრეული მსოფლიო პოლიტიკის ლაბირინტს მისდევს, და რომლის ყოველი ნაბიჯი წინასწარ შესასწავლია და გასარკვევი. ამ გზაზედ, წინასწარ შეუსწავლად და გაუზომავად, მცდარად გადადგმულმა ნაბიჯმა შეიძლება უფსკრულში გარდაჩეხოს ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ერი, და დღევანდელი აუტანელი მდგომარეობაც კი სანატრელად გავვიხადოს. ევროპის ცენტრში, გუშინ, ჩვენ თვალ-წინ მომხდარი ამბები ფრიად დამაფიქრებელია: უცხოთა კარნახითა და რჩევით, უცხოთა ვარანტი-ით ეროვნულ სახელმწიფო ცხოვრების აღდგენა საიმედო არ არის. თავისუფლების მინიჭებისა და სახელმწიფო ცხოვრების აღმდგენელი და დამცველი თვით ეროვნული ძალა უნდა იყოს. ამ ქვეყნარბების გაგება და შეგნება გემართებს უპირველესად ყოვლისა ქართველებს და ამის შემდეგ ქართული ეროვნული სულიერი, გონებრივი და ფიზიკური ძა-

ლების მთლიანობის აღდგენა. უამისოდ ფუჭია თავისუფლების მოპოვებაზედ ფიქრი და ოცნება, ვინაიდან ჩვენ ღიოსნი არ ვიქნებით იმ დაფასებელი ზეგარდმოსული ბედნიერებისა, რომელსაც ეროვნული თავისუფლება ჰქვია. თავისუფლებას კი არ ჰპოულობენ, იმსახურებენ და ინიჭებენ დიდის შრომითა და ბრძოლით ის ერები, რომელთაც ეროვნული სულიერ-გონებრივი და სხეულებრივი მთლიანობისათვის ძიულწევიათ. ეროვნული მთლიანობისა და ერთობის დაუმყარებლად, ვერავითარი გარეშე ძალის დახმარებით ვერ დავიბრუნებთ დაკარგულ თავისუფლებას.

ეს ჭეშმარიტება ძველია და არა ახალი. 1806 წელს იენას ომში გამარჯვებულ ნაპოლეონს, რომლის ხელქვეით რამოდენიმე ათი ათასი პოლონელი იბრძოდა, დომბროვსკის მეთაურობით პოლონელთა საგანგებო დელეგაცია წარუდგა და სთხოვა პოლონეთის აღდგენისათვის დახმარება. „კეთილშობილმა პოლონელმა ერმა — უთხრა ნაპოლეონმა — მეტად დიდი სამსახური გაუწია მთელ ევროპას, მაგრამ მათი უბედურება შედეგი იყო მათი შინაური უთანხმოებისა და დანაწილებისა. მე ვერ დავბრუნებ პოლონელებს მათი დამოუკიდებლობის აღდგენას, ვინაიდან ეს მხოლოდ და მხოლოდ მათგან არის დამოკიდებული. თუ თვადი, მღვდელი, ბურჟუა და მუშა საერთო მიზნით განიმსჭვალეებიან, გაერთიანდებიან, და დაადგენენ ან გამარჯვებას ან სიკვდილს, მე მათ უწინასწარმეტყველებ გამარჯვებას“ -ო.

ეს ჭეშმარიტება თავიდანვე შეიგნო ქართველმა ერმა. დამოუკიდებლობის დაკარგვის მეორე დღესვე დამყარდა ქართულ ეროვნულ ძალთა მთლიანობა და ერთობა და ამ ეროვნული ერთობის დროში რამოდენიმე კუთხური და ერთი მთლიანი ეროვნული აჯანყებაც გადაიხადა. ქართველთა ემიგრანტულმა წრეებმა 17 წლის განმავლობაშიაც კი ვერ შესძლეს მთლიანობისა და ერთობის დამყარება, ვერ მოხერხდა საზღვარ გარეთ ეროვნული მოქმედებისა და მუშაობის საძირკველის, მთლიანობისა და ერთობის შექმნა-დამყარება. ამ საკითხის ირგვლივ დანაწილდნენ ის პოლიტიკური ძალები, რომელნიც ეროვნულ მუშაობისათვის საერთო ნიადაგზედ უნდა გაერთიანებულიყვნენ, და მათ შორის ეროვნულ დემოკრატიული პარტიაც, რომლის თაოსნობითაც დამყარდა 1921 წლიდან საქართველოში პოლიტიკური და მხედრული ეროვნული ძალების ერთობა და რომელიც განდა სულის ჩამდგმელი და აქტიური მომქმედი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და სისხლიანი ბრძოლებისა. განმეორება იქნებოდა ხელახლა აღნიშვნა იმ მთავარი მიზეზისა, რამაც ჩვენ სამშობლოში შექმნილი ეროვნული ერთობა დაშალა და დაარღვია აქ უცხოეთში გადმოხვეწილ ქართველთა შორის. ამ უმსგავსო საქმიანობაში, წილი, მეტი თუ ნაკლები რაოდენობით, ჩვენი უფლებრივი თუ ფაქტიური მდგომარეობის მიხედვით, ყველას მიგვიძღვის. ამ საგანზე დაუსრულებელი და გამწვავებული დავა და კამათი და დამნაშავეთა ძიებანი საქმეს ვერ უშველის და ეროვნულ ძალთა გაერთიანების საქმეს კიდევ უფრო დააზიანებს.

ქართულ ეროვნულ ძალთა მთლიანობის აღსადგენად ემიგრაციაში საჭიროდ მიგვაჩნია უპირველესად ყოვლისა შემოჭრილ მტრის ნამდვილი სახისა და ბუნებისა, ქართველთა მიერ, ერთგვარი დაფასება — ეს არის რუსეთი მიუხედავად მისი რეჟიმისა და მმართველობის ფორმისა. ქართველი ერის ბრძოლის ერთად ერთი მიზანია მისი ეროვნული სუვერენობის კვლავ აღდგენა, რუსეთისაგან განთავისუფლება და არა არსებული საბჭოთა რეჟიმის დამარცხება და მის ნაცლად მეორე



რომელიმე რეჟიმის დამყარება. ამ მდგომარეობის ასეთი სალი და ნათელი წარმოდგენა და მისი ღრმად შეგნება ყოველი ქართველის მიერ, ჩვენ ეროვნულ მოქმედებასა და ბრძოლას ნამდვილ ქართულ ასპარეზზედ დააყენებს, ქართული სულისა, შეგნებისა და აზროვნების ფარგლებში მოამწყდევს, განათავისუფლეს ჩვენს ეროვნულ მოქმედებას, ხშირად ქართულ ჩარჩოებს გადაღმა შეთვისებული, ყალბი და ჩვენი მდგომარეობისათვის შეუფერებელი და საზიანო შეხედულებათა თუ მეთოდებისაგან; ქართულ ეროვნულ მოძრაობას მისცემს მშვიდობიანი მოქმედებისა და ეროვნულ რევოლუციონური ბრძოლის შესაფერ გეგმებსა და მეთოდებს, და დაუკავშირებს რუსეთისადმი მტრულად განწყობილ ძალებს. ვიმეორებთ, მდგომარეობის ასეთი ეროვნული შეგნება საბოლოოდ განათავისუფლებს ჩვენ ეროვნულ მოძრაობას მისთვის შეუფერებელი და შეურაცხყოფელი აზრისაგან, ბლმევიკ-მენშევიკთა ბრძოლად რომ ასაღებს მას, წაშლის იმ საზღვრებს, ქართულ პოლიტიკურ პარტიათა და ჯგუფთა შორის რომ არსებობენ და ერთის მიხით გააერთიანებს და ერთის ეროვნული გეგმით მიმართავს ქართულ ძალებს.

ქართველ ემიგრანტულ ძალთა შორის უთანხმოებას უფრო ფსიქოლოგიური, ზერეღე და არა იმდენად პრინციპიალური სერიოზული ხასიათი აქვს. ეს ჩვენ მრავალჯერ გვითქვამს და ამ ორი უკანასკნელი წლის ამბებმა, რომელიც ემიგრაციაში მოხდა აშკარად ნათელჰყო ასეთი ჩვენი შეხედულება: როცა ეროვნულ ფარგლებს გადაცილებულმა რამოდენიმე პირმა ჩვენი ეროვნული მეობის დამაზიანებელი და შეურაცხყოფელი აზრების ქადაგება დაიწყო, ქართული ძალები, როგორც ეროვნულ ცენტრში მყოფნი, ისე მის გარეშე მყოფნი, ერთ ეროვნულ ფრონტზედ აღმოჩნდნენ, და ამ ფრონტზედ ერთად დაიცვეს საქართველოს საარსებო ინტერესები, ქართველი ერის ღირსება. აქ გამოაშკარავდა ქართველთა შორის არსებულ უთანხმოებათა ზერეღე ხასიათი, მისი დაძლევის შესაძლებლობა. დღეს ყველა გრძნობს ქართული ეროვნული ძალების გაერთიანების საჭიროებას, ეროვნულ ცენტრში მყოფნი და მის გარეშე მყოფნიც; ყველა დღის წესრიგში აყენებს ამ საკითხს, ყველას თითო ქვა მოაქვს ამ ეროვნულ ძალთა მთლიანობის გაღრმავება და გაფართოებისათვის.


აღსანიშნავია და მეტად დასაფასებელიც ბ-ნ სპ. კელიას საჯარო გამოსვლა ქართულ ძალთა გაერთიანებისათვის. პატივცემულ მომხსენებელს, სჩანს, მისი სულიერი არსების სიღრმეში მძლავრად განუცდია ამ ზომამდე მისული დაშლილობა ჩვენი ეროვნული ძალებისა, და მას, როგორც ერთ - ერთ პასუხისმგებელს ქართული სინიდისის ქეჯნაც ღრმად განუცდია. ამ მხრივ მისმა მოხსენებამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა იქ დამსწრეთა უმრავლესობაზე. ბ-ნ სპ. კელიამ ჩვენს უწყმიდეს მოვალეობად დასახა ქართველთა მთლიანობის აღდგენა ემიგრაციაში. ამ მიზნის მისაღწევად მას საჭიროდ მიაჩნია არსებული პარტიების და მიმართულებების გაუქმება, მათი ორგანიზაციულად დაშლა ერთი ეროვნული ორგანიზაციის შესაქმნელად, რომლის ხელმძღვანელი ცენტრი შეიქმნება პიროვნებათა შერჩევის პრინციპზედ. მიხანი წმიდაა და იდეალური, მაგრამ ამის მისაღწევად მის მიერ არჩეული გზა, ჩვენის აზრით, ვერ არის რეალური და განსახორციელებელი. პარტიების დაშლა კიდევ უფრო დაშლის და ნამდვილ ანარქიას შექმნის ემიგრაციაში. ფაქტია, რომ პარტიათა დანაწილება და ემიგრაციის დაშლის პროცესი დღემდე პარალელურად ვითარდებიან. სწორედ ამის შე-

ჩერება, საქართველოდან გამოსული მთავარი პარტიებისა და აქ დანარსებული ჯგუფების მთლიანობის აღდგენა საჭირო, მათი ეროვნული ხულისა, აზროვნებისა და მოქმედების ფარგლებში შეთანხმება და თავმოყრა-გაერთიანება. ეს არის ერთად ერთი რეალური გზა ამ სავალალო მდგომარეობიდან რომ გამოგვიყვანს და ეროვნულ ერთობამდე და მთლიანობამდე რომ მიიყვანს ჩვენ ემიგრაციას.

უმთავრესია, რასაკვირველია, დაჯგუფებათა მეთაურების დაზავება და შეთანხმება, რადგან რაც ემიგრაციაში დავა და ბრძოლა აღმოცენდა, ყოველი სწორედ აქედან გამომდინარეობდა. საზოგადოების ფართო წრეები, რასაკვირველია, მომავალშიდაც არ გახდებიან ამის თაოსანნი, უკეთეს მეთაურები შეთანხმდებიან. მეორეს მხრივ აქ ჩვენ არც პარტიები გვაქვს და არც ორგანიზაციები იმ სახით, როგორც ეს ნორმალურ პირობებში არსებობდნენ. ეს უფრო მეგობრული წრეებია და მათ დაშლა კი არ არის საჭირო, არამედ დაახლოვება და ერთად თავის მოყრა.

ეროვნულ ძალთა და დარაზმულობათაგან დაშორებულ რამოდენიმე პირთა შეთანხმება და კომბინაცია ვერ იქნება ის ორგანო, რომელიც უნდა შეიცავდეს და გამოსახავდეს ჩვენი ეროვნულ ძალთა ერთობა-მთლიანობას. ქართულ ეროვნულ მოძრაობას რომ საჭირო და შესაფერი მეთაურობა გამოჩენოდა, რომელსაც შესძლებოდა მებრძოლი ერის ღირსეულად ხელმძღვანელობა, მის ირგვლივ დაირაზმებოდა მებრძოლი ერი და მისი ემიგრაცია მთლიანად და ყველა ამ პოლიტიკურ პარტიათა და ჯგუფთაგან ერთი ეროვნული მებრძოლი დარაზმულობა შეიქმნებოდა. ჩვენი უბედობაც ის არის, რომ დიდი და მდიდარი წარსულის მქონე ქართველთა ერმა ამ მეტად მძიმე და საბედისწერო ისტორიულ ეპოქაში ვერ წარმოშვა მისი წარსულსათვის შესაფერი მეთაურობა. — „გმირი, წამებული, ბევრია, მაგრამ სად არის ბელადი?“ — ასე დასტიროდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა პილსუდსკი 1863 წლის აჯანყების შემდეგ მისი ერის ბედს. და ეს სიტყვები ზედგამოჭრილია ჩვენ ეროვნულ მოძრაობაზედ. პილსუდსკის სახით ღირსეული ბელადის წარმოშობამ მოსპო პოლონეთის ეროვნულ ძალთა და განსაკუთრებით მათ ემიგრაციაში არსებული პოლიტიკური უთანხმოება-დაქსაქსულობა და ერთობლივად მიჰყვა პოლონეთის ერი ამ დიდ ბელადს. სასოწარკვეთილება არა გვმართებს, უნდა ვიწამოთ რომ ქართველი ერიც წარმოშობს მისთვის ღირსეულ ბელადსა და ხელმძღვანელს. ამის მოლოდინში მყოფ ქართველთა უწმინდესი ვალია ქართველთა სულიერი ერთობის შექმნა, ეროვნულ ცოცხალ მებრძოლ და მოქმედ ძალთა მასიური ერთობა. ჩვენი ერის დღევანდელი მდგომარეობა სწორედ ასეთ ერთობას მოითხოვს და არა ცბიერებაზე, თვალთმაქცობაზე დამყარებულ ერთობას რამოდენიმე პიროვნებისას. იქ სამშობლო მიწა-წყალზე მშვიდობიანი აღმშენებლობითი მუშაობით ქართველობა ნიადაგს უმზადებს ჩვენი ერის თავისუფალი სახელმწიფოს აღდგენას. ემიგრაციაში გამოსულ ქართველობასაც ბევრი რამა გვაქვს ვასაკეთებელი, საქმე მრავალფეროვანია და ასპარეზი ვრცელი, ჩვენი ემიგრანტული ძალების სრული თავმოყრა და შეერთება საჭირო, რომ ყოველი ქართველი გამოყენებულ იქნას ამა თუ იმ საქმისათვის.

წრფელი, ურთიერთ ნდობაზედ და სიყვარულზე დამყარებული ერთობის შესაქმნელად ყველაზედ მეტი მსხვერპლის გაღება საქ. სოც. დემ. პარტიას მოუხდება. ამ პარტიამ, რომელიც ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლაში დიდი ხნიდან ჩაება და დიდი მსხვერპლიც გაი-



ლო ამ სისხლიან ბრძოლებში, ერთი პატარა მსხვერპლიც უნდა გავიღოს მან კავშირი უნდა გასწყვიტოს მეორე ინტერნაციონალთან, რომლის ფარგლებშიც ძუძობადა სრულიად აღარ შეეფერება და აღარ ეგუება ჩვენი ეროვნული მოძრაობის ხასიათსა, ბუნებასა და ობიექტიურ პირობებს. ეს საკითხი ჩვენ წრეს არა ერთხელ დაუსაუთებია და დაუყენებია ქართველ სოც. დემოკ. წინაშე. სამწუხაროდ, ჩვენს სოც. დემოკრატებს ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებიათ მისი გადამიხჯვა ჩვენი ახალი შიხაური და საგარეო პირობების მიხედვით. ამაზედ კი ბევრად არის დამოკიდებული ქართული მებრძოლი ძალების მთლიანობის აღდგენა, ჩვენს ძეზობელ ერთთან ნდობის აღდგენა, და ჩვენი საკითხით დაინტერესებულ უცხო სახელმწიფოებთან ჩვენი დამოკიდებულებაც. ცხადია, რომ ამ საკითხის ასეთ მდგომარეობაში დატოვება შეუძლებელია. ცხადია, რომ ამ საკითხს ჩვენს ეროვნულ მოძრაობას, ჯერ კიდევ იმ მახლობელ ეპოქაში, როცა მარქსიცა და ენგელსიც მხარს უჭერდნენ რუსეთის დანაწილებასა და პოლონეთის ეროვნულ თავისუფლების აღდგენის იდეას — პილსუდსკიმ კავშირი გასწყვიტა სოციალისტურ ინტერნაციონალთან და 1893 წ. პოლონური ეროვნული სოციალისტური პარტია დააარსა, ეროვნულ განმათავისუფლებელი ბრძოლის დამოუკიდებლობა მოიპოვა და ეს ბრძოლა წმინდა ეროვნულ ნიადაგზე და ეროვნულ ჩარჩოებში მოამწყვდია: „ჯერ ეროვნული რევოლუცია და შემდეგ კი სოციალური ევოლუცია“ დაუსახა მიზნად მის პარტიას. და ამ დღიდან ხდება ის პოპულიარული პოლონურ ნაციონალურ წრეებში და თავისუფლებისათვის მებრძოლ პოლონეთს, ერს მისი სახით მოეცლინა ის ბელადი, რომელსაც ცრემლიანის თვალებით ეძებდა თვით ახალგაზრდა პილსუდსკი პოლონეთის ისტორიის სისხლიან ეპოქაში.

დღეს კი სოციალისტური მეორე ინტერნაციონალი ძლიერ გადაება მოსკოვის მესამე ინტერნაციონალს და ხშირად იცავს და ხელს უწყობს მოსკოვის ინტერესებს. ცხადია, რომ მოსკოვის ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლ ერთა წარმომადგენლის ადგილი იქ არ არის. საქ სოც. დემ. პარტიამ ბ-ნ ნ. ჟორდანის მეთაურობით მთელი მისი ეროვნული პასუხისმგებლობის ღრმა შეგნებით პილსუდსკისებურად უნდა გადასჭრას ეს საკითხი მანამ, სანამ ამისათვის საჭირო აღდგენილების თავისუფალი შესაძლებლობა ჯერ კიდევ მათ ხელთ არის. ამის შემდეგ შესაძლებელი გახდება ჩვენი ეროვნული მოქმედებისა და ბრძოლის ქართულ ნიადაგზე, ქართულ ეროვნულ ფარგლებში ჩაყენება, ქართულ ცოცხალ მოქმედ ძალთა სრული ერთობა, და განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთოდური და შეუჩერებელი წინსვლა. ეს მოგვიპოვებს თავიანთი თავისუფლებისათვის მებრძოლ ერთა შორის მეტს ნდობას, განამტკიცებს ჩვენსა და მათ კავშირს, და ასეთი მდგომარეობა გაუადვილებს ჩვენდამი დახმარებას იმ სახელმწიფოებს, რომელთა ინტერესების გზაც ბუნებრივად პარალელურად მიჰყვება ჩვენი ეროვნული ინტერესების გზას.

„როცა უცხო მტერი ჩვენ თავს დაგვესხა, სოციალისტი და ნაციონალისტი ყველანი ერთად ვიყავით და მტერს ვიგერიებდით, ასეთივე ერთობა გამართებთ დღეს თქვენც ქართველებს“ — ო გვითხრა ამ რამოდენიმე წლის წინ ქართველ ერთი წრის ახალგაზრდათა ბანკეტზედ ფრანგულ მემარჯვენე პარტიების ბელადმა ლუი მარენმა. მართლაც დაპყრობილი ქართველი ერის განთავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგებში ერთობლივი ქართველის სახელით უნდა თავსდებოდეს სოციალისტი, დემოკრატი, თუ მონარქისტი. ქართულ ეროვნულ ბრძოლის

ასპარეზი ისე ფართეა, რომ ამ არეზედ ყოველი მიმართულების ქართველი დაეტევა. ამ ნიადაგზედ ერთობა უნდა შეეძლოს ეროვნულ ფარგლებში მომწყვდეულ ყოველ პარტიასა და მიმართულებასთან, თუ გინდ ქართველ კომუნისტთა ის წრეც რომ იყოს, რომელმაც თავიანთი შეცდომა შეიგნო და ერის განთავისუფლებისათვის ხმა აღიმალლა.

ასეთი გაერთიანებისათვის ჭეშმარიტად, რომ დიდი მსხვერპლია გასაღები ყოველი წრის ქართველთა მიერ და ამ მსხვერპლის დროზედ გაუღებლობას შეუძლია იმსხვერპლოს ამ საშინელ მსოფლიო ქარიშხალში მოხვედრილი ჩვენი მშობელი ერი და ჩვენი სამშობლო ქვეყანა.

ელ. პატარიძე


### კრიზისთა მოღვაწი

ავსტრიის „ოსტმარკ“-ათ გარდაქმნისა გამო მე ვწერდი (იხილეთ „სამშობლო“ № 25—26): „...ამისდამიუხადავათ ირრედენტის საკითხიცა და საერთოთ გერმანიის ერის კონსოლიდაციის პროცესიც ჯერ კიდევ არ ჩაითვლება დამთავრებულათ. მაგრამ მომავალში მისი მოსალოდნელი აქტები, საფიქრებელია, ისე იოლად აღარ ჩაივლიან, როგორც ავსტრიის შეერთება: ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს უფრო რთული და საშიში ოპერაცია, ესე იგი, უცხო სახელმწიფოს ორგანიზმს ავგლიჯოს თანდართული ელემენტი განსაზღვრული მოსახლეობის სახით“. ენკენისთვის უკანასკნელი დღეების აფორიაქებულმა სანახაობამ მართლაც ცხადჰყო, თუ რაზომი საშიშროება ერთვის არსებულ პირობებში ამგვარ მოქმედებას! ჩვენ მოწმენი და ამა თუ იმ სახით მონაწილენიც ვიყავით იმ სასოწარკვეთილი ალიაქოთისა და იმედ მიხდილობისა, რომელთაც მოეცვათ ევროპაცა და მის იქითა ქვეყნებიც.

ყველა ის, რაც მოხდა, რაც ხდება ჩვენს გაოცებულ თვალწინ და რაც კიდევ უნდა მოხდეს, მთელის თავის შინაარსით დაკავშირებული არის ვერსალის მიერ შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე. ვერსალის ზავის რევიზია ეხლა არ არის დაწყებული: მისი შესწავაფერება, ან უმჯობესია ვსთქვათ, მთლიანი გაუქმება თავის უპირველეს ამოცანათ დანახეს არა მხოლოდ დამარცხებულ სახელმწიფოებმა, არამედ გამარჯვებულთა რიცხვიდან იმათაც, რომელნიც — უბრალო სიტყვებით რომ გამოეთქვათ — ნაწყენნი დარჩენ ნადავლის განაწილება და გაყოფაზე.

გარნა „სამართლიანი“ ზავის ამბავი კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არავისაგან ყოფილა აღწერილი. ყოველისფერი რელატიურია სახელმწიფოთა და ერთა შორის მიმართებებში. აბსოლუტური სიმართლით ამხნობამდის არავინ დამტკბარა: ერთი რომ სიხარულით ცას ეწევა, ეს იმისი მაჩვენებელია, რომ იმავე გარემოებით მეორე უნდა დანადგლდეს და გაბოროტდეს. ერთს რომ ეძლევა, მეორეს ერთმევა! ერთს რომ ემატება მეორეს აკლდება!...

ვერსალის ზავს ორგანიული სისუსტე თან დაჰყვა პერსპექტიული გამოუანგარიშებლობისა გამო: გამარჯვებულებმა მხედველობაში არ მიიღეს გერმანიის ეროვნულ სახელმწიფოებრივი პოტენციური შესაძლებლობანი ერთის მხრით, და ყრუ უკმაყოფილება გამარჯვებული მხარის ზოგიერთ წევრთა შორის, მეორეს მხრით. ამ გარემოებამ გამოი-



წვია ვერსალისადმი ოპოზიცია, რაიცა უამთა დენაში აშკარა ებად შეიცვალა. დმანსიათებელი და განსაცვიფრებელი ის არის, რომ ვერსალით უკმაყოფილების დემონსტრაციულმა გამოცხადებამ თავი იჩინა ჯერ გამარჯვებულთა წრეში: ვერსალის საგნობრივი განაწილება პროპორციულად ყველას შესაფერი სითანაბრით არა ჰხვდა; და აი, სწორედ ამ ერთად ერთი მოტივით იყო ამოძრავებული ვერსალის კრიტიკა პირველ წლებში. ფაშისტური გადატრიალების შემდგომ იტალია, მაგალითად, სულაც აღარა ჰფარავდა თავის გულისნადებს და ვერსალის ზავს დაუზოგველ კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდა, ვითარცა მიკრო-ძიებულსა და „უსამართლოსა“. აწუნებულნი ვახდნენ ამისდამიხედვით სხვა და სხვა ჯურის საერთაშორისო დაწესებულებანი და ორგანიზაციები, რომელთა დანიშნულებას შეადგენს ოპის შემდგომ დამყარებული სიტუაციის შენახვა-გამაგრება. ვერც ერთა ლიგა, რა თქმა უნდა, გადაურჩებოდა ამხედრებულთა რისხვას, რამდენადაც ამ საერთაშორისო პარლამენტში ამხნობამდის მეფობდა ვერსალის ზავის სულიც ჩამდგმელთა და მის ხელშეუხებლობის აბსოლუტურ დამცველთა ჰეგემონია.

იტალიის პოზიციას უმაღლე გამოეხმაურნენ „ნაწყენნი და პატივ-აყრილნი“. არჩეული გეზით ფაშისტურმა სახელმწიფომ შესამჩნევად ასწია თავისი პრესტიჟი ყველა გულნაკლულთა შორის. რომელთაც ამოიგდა იტალია მიითვალეს ერთად ერთ სამართლიან არბიტრათა და ქომავათ ახალ საერთაშორისო განწყობილებს შექმნისათვის.

ამასობაში ღრმა ცვლილებები მზადდება გერმანიის სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში: სახელმწიფოს ზედაპირზე თავი ამოყო ახალმა პოლიტიკურმა დაჯგუფებამ, რომელმაც მოქმედების თავდაპირველ მიზნათ დაისახა მარცხის ფსიქიკის აღმოფხვრა ხალხში, ხოლო გარეთ გადისროლა თანამშრომლობისა... გერმანიის ერის დათრგუნულ უფლებათა შეწყნარების ნიადაგზე, ვითარცა „სინე ქუა ნონ“. ამ ლოზუნგს სარჩულათ დაედო ვერსალის ზავის ზღუდეთა შენგრევა, რადგანაც მხოლოდ მის კალაპორტიდან გამოსხლტომით შესაძლებელი ხნებოდა რაიმე სახის გამოლაპარაკების მოწყობა საერთაშორისო საზომით. ამის საჭიროებას ადრევე მიჰხვდნენ საფრანგეთში. ფრანგები სხვებზე უფრო მეტის გულისყურით აკვირდებოდნენ და იძიებდნენ გერმანიაში ამტყდარ პერტურბაციას. თუ წინა ხანებში საფრანგეთი მავრდებოდა და ზოგჯერ ურჩობასაც იჩენდა, ეს ადვილი გასაგებია: ფრანგ დიპლომატებმა კარგა იცოდნენ, რომ შტრეზემანი და უფრო ბრიუნინგი შიგნიდან ისენაირათ ზურგ გამაგრებულნი არ იყვნენ, რომ გერმანიის ღირსებისათვის მიუღებელი და თუნდაც დამამცირებელ გარემოებათა გამო ყალყზე შემდგარიყვნენ. 1933 წლიდან სურათი ერთიანათ იცვლება. საფრანგეთს ამოეყუდა მესამე რაიხის მრისხანე მონოლიტი, ერთის მხრძანებელის შემყურე და გამგონი. ახალმა გერმანიან თავიდანვე ამჯობინა საგარეო პოლიტიკა ძველი ტრადიციული წესით, ცალცალკე შეინახნებებითა და შეკავშირებით წარეზიდნა. ერთა ლიგისაგან გერმანია არაფერს სახეიროს გამოელოდებოდა: მისი მეგობრები ამ დაწესებულებაში თითებზე ჩამოითვლევოდნენ. დრო კი არ იცდიდა: დღის წესრიგში იდგნენ ისეთი განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხები, რომელთა გარდაწყვეტაზე დამოკიდებული იყო გერმანიის სახელმწიფოური სუვერენობის მომავალი. ერთი სიტყვით, გერმანიას არ დაედგომებოდა ერთა ლიგაში...

ეს იყო დრო „ამბავთა და საქმეთა მოლოდინისა“, გარნა გერმანია


იმ ეპოქაში იზოლიაციაში იყო; სწორედ ამიტომ მას აკლდა გასაქანის ფართობი... რომი-ბერლინის „ღერძი“ არამც თუ არ იყო გადებული, მაშინ არც კი წარმოედგინათ, თუ სად და რანაირათ მოხერხდებოდა ამ ღერძის თავების მიშვება და მიმაგრება! გერმანია-იტალიის სახელმწიფო პოლიტიკის „იდეოლოგიურ“ ნათესაობაზე იმ ხანებში არც თუ ისე ეხალისებოდათ ლაპარაკი, თანაც იტალიაში ყოველ ფეხის გადადგმაზე მოგვსმობოდათ: „ეს ლებე ოესტერაის!“ დოლფუს-შუშნინგის სამფლობელო იტალიის წიაღში არხეინად იყო მიბუდებული აღთქმითა და ფიცით....

ეთიოპიის ამბებმა ძირფესვიანად შეატრიალეს ჩამოყალიბებული „პრინციპები“ და ამისდამიხედვით გარემოებათა დენაც: გერმანიის ყოფაქცევამ იტალიისათვის უმძიმეს ხანაში შესაძლებელი და ერთგვარი აუცილებელიც გააჩნდა ბერლინ-რომის „ღერძის“ ჩასახვა. ამავე დროს გერმანია უკვე მოქმედებდა შესხვაფერებული ყოფაქცევით: ვერსალის ტრაქტატის ამკარა დარღვევით, ფიურერმა გაუქმებულად გამოაცხადა რაიხსვეჰრის სისტემა. წინდაწინვე შემზადებული გეგმით, რამაც მილიარდი შთანთქა, გერმანიაში გაჩნდა უძლიერესი ჯარი, ტენციის უკანასკნელი მიღწევებით შეიარაღებული და შეკაზმული. ვერსალის სანქციები გერმანიამ ფაქტიურად არარად აქცია, გააუქმა! საფრანგეთი თითქოს შეეცადა რამენაირათ წინააღმდეგობა გაეშინებინა გერმანიის შემოქმედებებს, მაგრამ მყისვე მიჰხვდა, რომ რეალ დახმარებას ვერსაიდან მიიღებდა, მით უმეტეს ინგლისიდან. როლები შეიცვალნენ: ვერსალის დამცველთა რიგები იშლებოდა და მით იზოლიაციაში საფრანგეთი ექცეოდა. მასუკან გარემოებანი ელვის სისწრაფით მიექანებოდნენ... იქნებ არც იყოს საფუძველს მოკლებული ზოგიერთ პოლიტიკოსის დასკვნანი, რომ სწორედ „ანშლუსის“ მოხდენის გარდაწყვეტის წინ, გერმანიისათვის მიუცილებელად საჭირო გახდა იტალიის მთავრობის უფროსის მიპატიჟება და სამეუფეო შეხვედრის მოწყობა: „ისტ ფესიტ კუი პროდესტ...“

ამის შემდეგ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: სუდეტელი გერმანელებიც უნდა ჩაჰბარებოდნენ თავის ერს, ისევე როგორც ავსტრიელები. ირრედენტა თითქმის შესრულდა, თუ გარემოებათა შემდგომი განვითარება ანგარიშს გაუწევს ჰიტლერის საქვეყნო განცხადებას, რომ ჩეხოსლოვაკიისა და თანამემამულეების ართმევით, გერმანია ამოწურულია ჩასთვლის თავის ტერიტორიულ შემატებებს ევროპაში. ევროპის გარეშე გერმანიას სარჩიელი დიდი და სერიოზული აქვს: რათაც უნდა დაუჯდეს, მესამე რაიხი არ მოიშლის კოლონიების დაბრუნებისათვის ბრძოლას. მკითხველს ესსომება, რომ ამ მიზნის განაარსებისათვის გერმანიაში არის შემდგარი განსაკუთრებული ლიგა, რომელსაც ჰხელმძღვანელობენ გავლენიანი წარჩინებული პირები. სწორედ ამ დღეებში (ეს სტრიქონები იწერება 26 — 10 — 38) აღნიშნულმა საზოგადოებამ ბერლინში მოაწყო გრანდიოზული მანიფესტაცია კოლონიების რევანდიკაციისათვის. სხვებთან ერთად, მხურვალე სიტყვით გამოხუდა გერმანიის ახალი გვინების უკანასკნელი გუბერნატორიც!...

ეხლა ხშირად გაიკონებთ დაპირისპირებას: ევროპა „მიუხენის“ წინათ და მის შემდგომ. ამ ფრაზას იმეორებდნენ უფრო კრიზისის დასრულების პირველ დღეებში და ეს დიხანაც გასაგებია: ხუმრობა ხომ არ არის, კაცობრიობას ასცდა ჟღერა, მეურნეობას განადგურება, კულტურას დაკნინება, თუ არა მთელი დაცემა და გავერანება!... რა მხრივაც უნდა მიუდგეთ საკითხს, პასუხისმგებლობა ამ აშორებულ ვაგლახობისა





მანც მთლიანათა და საესებით დაწვებოლა გერმანიას. შეიძლება სხვა და სხვა აზრისანი ვიყვეთ ჩეხოსლოვაკიაზე, გარნა პირუთენელობა შრი-თხოვს თქმას, რომ ამ სახელმწიფოს ათა საღ ნიადაგზე დაფუძნებაში წი-ლი თუ ბრალი მიუქღვით უფრო სხვებს. პირიქით, შეიძლება კიდევაც ითქვას, რომ ამ რესპუბლიკის გეოგრაფიული ამოხაზულობა ლოლიკუ-რათ იგულისხმებოდა ვერსალის „სპირიტუს რეკტორით“. თქმა არ უხ-და, ყოველი გარემითვალყურესათვის თვალშისაცემი უნდა ყოფილიყო ჩეხოსლოვაკიის ხელოვნური სტრუქტურა! ავიღოთ თუხდა სახელწო-ღება: რისა გამო უნდა დარქმეოდა „ჩეხოსლოვაკია“ ისეთი სახელმწი-ფურ შემადგენლობას, სადაც, მაგალითად, გერმანულენი რიცხვობრი-ვად გაცილებით აღმატებოდნენ იმავე სლოვაკებს?! აი ამას უწოდებდი წერილის დასაწყისში პერსპექტიული გამოუახვარიშებლობას! ამ ტვი-რთის ატანა შეეძლო ჩეხოსლოვაკიას? როდემდის, ისტორიული სავალი დღეს-ხვალთ ხომ არ განიზომება?! უკვე დაგვიანებული იყო, როდეს-საც დიდი სახელმწიფონი შეუდგნენ ჩეხოსლოვაკიის მძიმე კვანძების განსნა-გამოხსნას! ამისთვის არ იყო, რომ სამოცდაათი წლის ჩემბერლენ-ნი — თავის სიცოცხლეში უფრინავი — სამჯერ ზედიზედ ჩაფრინდა ბავარიისში?! განა გერმანიას არ ეძლეოდა უსისხლოთ ის, რაზედაც ჰიტ-ლერი აცხადებდა პრეტენზიებს? საქმე ენებოდა მხოლოთ-ლა დროსა და დეტალებს! ამიტომ უნდა აწოკებულიყო და გაჩანაგებულიყო ჯერ ისევ შეუხვეწებელი ქვეყნიერება?!...

„მიუნხენის სასწაულმა“ ომის საფრთხე ააშორა ევროპას ნაწილო-ბრივ, ესე იგი, იმდენათ, რამდენათაც ჩეხოსლოვაკიის მიწა-წყალის და-ფლეთას ძალუძდა კაცობრიობისათვის ომის საფრთხის აცდენა. მაგრამ დღეს უკვე ყველასათვის ნათელია, რომ ამ დღეს უკვე დამცხრალი და-ვით არ განისაზღვრება საერთაშორისო უთანხმოებათა მიზეზები. ევ-როპაში ბლომათ მოიპოვებინ კიდევ სხვა ასაფთქებელი პუნქტები, მრავალგვარია და დაუშრეტელი საკონფლიქტო მასალა. მათ მოვლასა და დაძთავრებაზე ამხნობამდის ნაკლებათ ზრუნავდნენ, ხოლო ამავე დროს თვალყური იქითკენ იყო მიხრილი, რომ რაც შეიძლება მეტათ გა-ღვიებულიყო მბუუტავი ნაკვერჩხალი. ეროვნულსა და სახელმწიფოე-ბრივ მეტოქეობასა და გაუტანლობას ზედ დაერთო სრულებით უცხო-ბი გარემოება: სახელმწიფოთა დანაწილება იდეოლოგიური თვალსაზ-რისით. წვრილმანებსა და „ნიუანსებს“ რომ არ გამოვუდგეთ, მანც თვალს ვერ ავაშორებთ ორ დიდ მოპირდაპირე მოვლენას: ახალი სუ-ლისკვეთებით შეპყრობილნი სახელმწიფონი ერთის მხრით, და მეორეს მხრით, ის სახელმწიფონი, რომელნიც მისდევენ მეცხრამეტე საუკუნის პარლამენტარ-დემოკრატიულ მცნებებს! უკანასკნელათ კათეგორიას ამა თუ იმ ფორმით ეტმასნებთან ყველა მოდგმის ინტერნაციონალბი, მსგავსადვე დამძიმებულნი დახავსებული „დოგმური“ მცნებებით. ფაქ-ტები გვიმტკიცებენ, რომ ამ ორათ ამოკვეთილ სხეულთა შორის კონ-კრეტული სახის შეთანხმებათა მოწყობა არ არის გამორიცხული, მაგ-რამ ამავე ფაქტებზე აგებული სინამდვილეა ისიც, რომ სრული შერი-გება და ჰარმონიული თანამშრომლობა მათ შორის ადვილად მისაღწე-ვი არ არის. აი ამ სახის იდეოლოგიურ შეტაკების ასპარეზათ გვევლი-ნება, უკვე მესამე წელში გადასული სასტიკი ბრძოლა ესპანიაში. აღარ ვამბობ იმაზე, თუ რა ფენომენს იძლევა მთელი ამ ოცი წლის მანძილზე რუსული ბოლშევიზმი, დედამიწის ზურგის ყველა კუთხეში მიმობნე-ულ თავის „ფილიალებით“...

მიუნხენის აქტი თავის სპეციალ კერძო დანიშნულებას ჯერნო-

ბით მაინც ვერ სცილდება. მართალია მიუნხენის შეთანხმების მონაწილეებმა მას მშვიდობიანობის შესაფერი დეკლარაციები დაურთეს, მაგრამ იქ გამოთქმული საერთო ხასიათის სურვილები უფრო ფსიქოლოგიურ აფექტაციის ნიმუშად თუ ჩაითვლებიან! მიუნხენის ჰიპნოზი ჯერ კიდევ არ იყო გაბნეული, რომ იდენმა თემთა პალატაში გულახდილად აღნიშნა ოთხთა შეთანხმება, როგორც ომის რამდენიმე ვადით გადატანის მოვლენა. არც იტალიური პრესა ჰმალავს ამ სინამდვილეს. ხოლო აქ შუღლის სათავეს მაინცდამაინც პირინეის ნახევარ კუნძულზე არა ჰკეანდავენ, თუმცა უარს არა ჰყოფენ მის ცენტრალ მნიშვნელობას.

იმპერიათ ქცეული იტალია საკონფლიქტო ადგილებს აწიკა და მომავალშიაც აქაიქ სხვაგანაც ამჩნევს და საამისო მზადებას არც აკლბს. ესპანიის ამბებიც ერთნაირად აქეთკენ იხრებიან, რამდენათაც ისინი ემსახურებიან ხმელთაშუა ზღვის პრობლემის გარდაწვეტას. დასმული არის მამასადამე პრიორიტეტის საკითხი. თუ მხედველობაში მივიღებთ იტალიის ორგანიულ გადაბმას აფრიკის კოლონიებზე საკითხის სიმწვავე ადვილი ვასაგები ხდება: იტალიამ უზომო ფული ჩაყარა აფრიკაში და მიუხადავად იმისა, რომ ასეთი წრესგადასული ხარჯები მძიმე ტვირთათ აწვება ხაზინასა და მოსახლეობას, მისი გაწევა ჯერ კიდევ წელთა განმავლობაში არ შეწყდება. პარალელურათ სწარმოებს ინტენსიური კოლონიზაცია, როგორც აფრიკის სანაპიროებში, ასევე აბისინიაში და ამ პროცესს გაგრძელება ნავარაუდევია, ვიდრე აპენინის ვიწრო წალაში დასიებული ფეხი არ დაცხრება...

აფრიკის ამბებს ჯამი ჯერ არ გაჰკეთებიათ. იქ შეკვანიძილი არიან ინტერესთა ღრმა წინააღმდეგობანი. იქ პირველი ყოვლისა მოხდა შეჯახება ძველი „ემპირ“-ის და ახალ „იმპერო“-სი! ერთისა — საარსებო წყარო და სიცოცხლე, მეორისა — ასევე საარსებო სკლანი მსოფლიოს არემარეში მიფანტულ საგვირგვინო სამფლობელოებში.


აღნიშნულ მოტივებზე აგებული არის ეხლახან გამოცემული გერმანელ მწერლის ედმუნდ შოპენის წიგნი ან სათაურით: „ხმელთაშუაზე გადაწყდება ქვეყნის ბედი“. ავტორის რწმუნებით რომი-ბერლინის ლერძს წილათა ჰხვდა ძველი კონტინენტის განახლება; გაჩაღებული არის ბრძოლა დემოკრატისა და ავტორიტეტულ სახელმწიფოთა შორის. ამ ფონზე — შოპენის თქმით — მზადდება ღუელი „ემპირ“-ესა და „იმპერო“-ს შორის ხმელთაშუაზე. გარდაწყვიტილია შეიარაღებული ბრძოლა ბრიტანულ ფლოტის გიგანტურ ჯაფშნოსნებსა და იტალიის საჰაერო რიცხვუდებ ესკადრილიას შორის? ეს, რასაკვირველია, შესაძლებელი არის, გარნა არ ითქმის გადაჭრით, რომ უსათუოდ მოსახდომია... საქმეს დაბოლოს ანგლო-იტალიის ომი კი არ გადასჭრის, რომელშიაც შესაძლებელია არც ერთი მეომარი მხარე დამარცხდეს, — საქმეს გადასწყვეტს არაბული ქვეყანანი, იქნებ კიდევაც ეგვიპტე“.

„არაბულმა ქვეყანამ — განაგრძობს შოპენი — რომ შეიგნოს და მოისურვოს, ესე იგი, გადაეღობოს ჯაჰვეთ ეგრობის სამედიტერანეო სარბიერლსა და ანგლო-საქსურ წყნარ ოკეანეს შუა, ინგლისი იძულებული შეიქმნება შესცვალოს ეხლანდელი სახმელთაშუაო გზა და გაჰყვეს ვასკო დე გამას, ანუ შემოუაროს აფრიკას“..

„გარნა ასეთ შეკვლისათვის საჭირო გახდება იაპონიის გაძეგება წყნარ ოკეანიდან და ანგლო-საქსურ ბლოკის უდავო დამკვიდრება როგორც ატლანტიდაზე, ასევე წყნარზე“...

„ანგლო-იტალიანური ომი მედიტერანეისათვის იქნებ კიდევაც მოხდებოდეს, რომ წინასწარ გადასაწყვეტი არ ყოფილიყო საკითხი მო“





ნგოლთა და ანგლო-საქსთა ურთიერთობისა. ამ შემთხვევაში-კი ანგლო-საქსებს ბოძოლის გაწევა მოუხდებათ ორ ფრონტზე: იაპონიის წინააღმდეგ წყნარ ოკეანეზე და იტალიის წინააღმდეგ ხმელთაშუაზე. ეს იქნებოდა ომი სამკვდრო-სასიცოცხლო. ამასვე უკანასკნელ მიზნათ ისახავს იაპონია და ამიტომ სწორედ ინგლისი იარაღს ისხამს. ავტორი გულახდალად დასძენს, რომ იტალიის შიზანსაც ბრიტანიის ძლიერების დამხობა შეადგენს. მასა ჰგონია, რომ ახალი იტალია ძველ ინგლისზე გაცილებით მაღლა სდგას... მშვიდობის დაცვა კი მაინც საჭირო ყოფილა და დიდმა სახელმწიფოებმა ეს უნდა განახორციელონ საგანგებო ზომებითა და შეთანხმებით, მაგრამ — დასკვნის გერმანელი მწერალი — არავის შეუძლიან დაეწიყებან მისცეს ამ ამბებსა და საკითხებში რუსეთის პოზიცია და მისი ინტერესები..."

ამავე საკითხებს ნაწილობრივ არკვევს ამ დღეებში გამოცემული ფაშისტური კულტურის ინსტიტუტის მიერ წიგნი: „ესპანია“. ხმელთაშუა ზღვის საკითხებს იტალიური წიგნი გასაგებ მიზეზთა გამო უფრო მეტის გრძნობათა შეტანით იკვლევს. წიგნში დაუფარავი სიცხადით ნათქვამია, რომ ესპანიის ამბავთა ტრიალში იტალიას სხვა ამოცანათა შორის სახეში აქვს ის, თუ ვის შერჩება ხმელთაშუა ზღვაზე ჰეგემონია. იტალიური ოფიციალური გამოცემა არა ჰფარავს, რა საფრთხე მოეღის იტალიის საიმპერიო-საკოლონიო გზებს, უკეთუ ესპანიაში გამარჯვება ერგო „დემოკრატიულ - კომუნისტურ ბლოკს“. ესპანიის ომი თავის ბუნებაში ატარებს მსოფლიო ომის საშიშროებას, ამიტომ მის სწრაფსა და სათანადო ლიკვიდაციაში უნდა დაინტერესებულნი იყვნენ ევროპული ცივილიზაციის მოდარაჯენი: „მსოფლიო ომი — ვითხულობთ ფაშისტური წიგნში — მხოლოდ იმისათვის, რომ გადარჩეს ესპანიის კომუნისტური უმცირესობა, იქნებოდა ნამდვილი სიმხეცე და დანაშაულობა... აქაც აღინიშნება, რომ ამ შემთხვევაშიაც ვერ ასცდებოდა იტალიისა და ინგლისის დატაკება, მაგრამ ეს ორთა დუელი სულ მალე შეიცვლებოდა მსოფლიო ომით... ასეთი რამ, ცოტა დარჩა არ მოხდა ეთიოპიის დაპყრობის დროს, მაგრამ მაშინ ინგლისმა არ ისურვა მიემართა იარაღისათვის. რატომ? წიგნში სიტყვა სიტყვით სწერია: „ახალ მსოფლიო კონფლიქტში ინგლისი ყველაფერს დაჰკარგავდა, მოგებით კი ვერას მოიგებდა“.

ინტერესთა წინააღმდეგობა, როგორც სჩანს, ისე ღრმათა ყოფილა გამჯდარი კაცობრიობაში, რომ საგანგებო ზომებიც ვერ აშორებდა მას ომის საფრთხეს. ისეთი ექსტრაორდინალი კომბინაცია-კი, როგორიც იყო მიუნხენის აქტის შემდგენელთა პერსონალური თავმოყრა, შემოიხაზა მხოლოდ ერთის, შედარებით უმნიშვნელო და პარტიკულარი ხასიათის დადგენილებით....

იქ მიღებული საზომი, ახალს მაინც არაფერს შეიცავს: ძველის-ძველი „ერთა თვითგამორკვევის პრინციპი“! ინტერალურ სოციალისტებსაც ეწერათ პროგრამაში!... ისიც ხომ უეჭვოა, ვარდა ამისა, რომ თუ არა დიდ სახელმწიფოთა ინტერესებთან ვადაბმულნი საერთაშორისო მნიშვნელობის მოსაზრებანი, შებრალებული თვითგამორკვეული ხალხები ჯერ კიდევ ვინ უწყის რამდენ ზანს იქნებოდნენ მომწყვდეულნი ჩეხოსლოვაკიის „უფრსტ“-ში?! ან კიდევ ისიც, რომ ამ პრინციპის განაღდებას კიდევ რამდენი ერი და ქვეყანა უტდის და მისთვის იბრძვის!

თანაც ეს ოპერაცია შედარებით უმტივიანეულოდ ჩატარდა იმისა გამო, რომ „თვითგამოსარკვევი“ ასაგლეჯი ხალხნი შეყრილნი იყვნენ სუსტ ჩეხოსლოვაკიაში! ის დაიმსხვრა ძლიერთა ნებისყოფით.

ასე იცის ბედის ვარსკვლავმა: ზოგს ცის სიხარულს მისთავებებს  
 „ზოგს ჩააყურყემლავებს ჯოჯოხეთის მწყველიადში!...“

ჩვიდმეტი წელიწადი უცდის საბრალო ქართველი ხალხი ამავე ერთ-  
 თა „თვითგამორკვევის“ უფლებისა და საშართლიანობის შესრულებას!  
 მაგრამ ვინ არის გამკითხავი?!

ჩეხოსლოვაკია დაფხრიწეს ერთის კალმის მოსმით!  
 ხალხის გასანთავისუფლებლად არსენალიდან ზარბაზნები დაძრეს!  
 მაშ, რა არის ეს, თუ არა ბედი, უპირო ბედი: ენევაში ბოლშევი-  
 კური რუსეთი ისე შეუშვეს, რომ არც კი გაახსენდათ ასისხლიანებულ  
 საქართველოს მუდარა...

რ. ინგილო




## ქემალ ათათურკი

ჩვენი მეზობელი თურქის ერი უღრმესი გლოვით არის მოცული.  
 გარდაიცვალა თურქის ერის მიერ „თურქების მამად“ წოდებული, ქე-  
 მალ ათათურკი. განსვენებული დაიკავეს თავი ერის ისტორიაში  
 ფრიად დიდ ადგილს, მაგრამ თვით მსოფლიო ისტორიაშიც ფრიად  
 მნიშვნელოვანი ადგილი მიენიჭება ახალი თურქეთის დამფუძნებელს.

ოსმალეთი ფრიად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საერთაშო-  
 რისო ასპარეზზე საუკუნეთა მანძილზე და ასეთი მისი მნიშვნელობა  
 სრულიადაც არ შემცირებულა ოტომანთა იმპერიის დაშლითა და მის  
 ადგილზე ახალი თურქულ სახელმწიფოს დამკვიდრებით. თურქთა  
 სახელმწიფოს ეს უაღრესი გარდაქმნა ათათურქის საქმეა. ის იყო მისი  
 ხუროთმოძღვარი და კალაატოზი, ის იყო ამ უდიდესი გარდაქმნის სუ-  
 ლიერი და ხორციელი ხელმძღვანელი.

„არ მოიპოვებ ისტორიაში მეორე მაგალითი ისეთი სწრაფი და  
 სრული ტრანსფორმაციისა ქვეყნის. რომლის მთელი არსებობა საუ-  
 კუნეთა მანძილზე ისლამის მკაცრ ტრადიციებს ყოფილიყოს დამორ-  
 ჩილებული“, სწერს ფრანგული ოფიცოზი „ტანი“. მართლაც უმა-  
 გალითო იყო ქემალ-ფაშის მიერ თურქთა ცხოვრებაში მომხდარი გა-  
 რდაქმნები. ოტომანიის იმპერიამ განვლო თავის ისტორიის მანძილზე  
 უდიდესი ამაღლებისა და ძლიერების გზები. უკანასკნელ საუ-  
 კუნის მანძილზე მას კიდევ შერჩა ამ ძლიერების გარეგნული გამოსა-  
 ხულება. ის იყო დიდი იმპერია და მუსულმანურ სამყაროს სულიერი  
 ბატონი. მაგრამ ამ დიდს გარეგნობას უკვე აღარ უპასუხებდა მისი სა-  
 ხელმწიფოებრივი არსებობის ძალა და სიმტკიცე. ოსმალეთი „ავად-  
 მყოფ არსებათ“ იქცა და მრავალჯერ იყო მომაკვდავთ გამოცხადე-  
 ბული. ამ იმპერიის განსაკუთრებული პოლიტიკურ - გეოგრაფიული  
 მდგომარეობა მსოფლიო ურთიერთობაში ახანგრძლივებდა იმპერიის  
 ასეთს ავადმყოფურ მდგომარეობას. მაგრამ მისი აღდგენისა და გაჯა-  
 ნსაღიბის ნიშნებიც ნაკლებად სჩანდა. მსოფლიო ომის ქარტეხილმა  
 დაამსხვრია ზოგიერთი, სახელმწიფოებრივად ოსმალეთზე უფრო ჯან  
 სადი და მტკიცე იმპერია. არავისათვის იყო საეჭვო, რომ ოსმალეთსაც  
 ასეთივე ბედი მოელოდა.

მაგრამ მოხდა სასწაული. თურქ პატრიოტთა მცირე ჯგუფმა, ქე-  
 მალ-ფაშას მეთაურობით, არ დაუცადა ასეთი განაჩენის შესრულებას  
 და თავისივე ხელით მოუსწრაფა სიცოცხლე ოტომანთა იმპერიის და-



ავადებულ სხეულს. მან მიძიე დოსტაქრული ოპერაციით მამკვეთა მას დასხეულებული ნაწილები, დაახო ხალიფატის ტახტი, სიმძიძეს უკვე ვეღარ იტახდა მსოფლიოში დამყარებულ ვითარებათა გამო დასუსტებული იმპერია, და მით გაანთავისუფლა წარსულის მიძიძე მეძკვიდრეობისაგან იმპერიის ყველაზე ჯანსალი ნაწილი, მისი გული და ძილიანი ორგანიული ერთეული, ანატოლიის თურქეთი.

1920 წელს ანატოლიაში ქემალისტების მიერ შეკრებილი ერთეული ყრილობა იყო დასასრული ძველ ოტომანთა იმპერიისა და მის ხანგრძეებზე ახალი, ეროვნული სახელმწიფოს აღმშენებლობის დასაწყისი. ამის შემდეგ განვლილი წლები ფრიად მცირე მანძილია სახელმწიფოებრივი ცხოვრების ამ ზომად დიდი ხგრევისა და მისი ახალ ნიადაგზე, ახალი გეგმით და ახალი მასალით მშენებლობისათვის. ქემარიტად, სამართლიანია „ტანის“ შეხედულება, რომ ისტორიას არ ახსოვს ასე მცირე მანძილზე დიდი ერის ცხოვრებაში ასეთი ღრმა გარდაქმნების მოხდენის მავალით. საჭირო იყო ძირიან ფესვიანად გარდაქმნა არა მარტო სახელმწიფოებრივი წყობის, მისი ეკონომიური და ფინანსიური ცხოვრების, არამედ ძიელი მისი სულიერი ცხოვრების, მისი აზროვნების, ზნი და ჩვეულების, რომელიც ჩაჭედილი იყო საუკუნეთა მანძილზე ოტომანურ პოლიტიკის ჩარჩოებში და დაქვემდებარებული ხალიფატის მსოფლიო მისიის იდეოლოგიასა და აზროვნებას.

ყველასათვის ნათელი იყო თუ რაზომად რეეოლუციონური აქტი იყო ოსმალეთისათვის მამაკაცისათვის ახდა ფესკის, რომელიც წარმოადგენდა ერთგვარ სიმბოლოს მუსულმანურ იმპერიისა, და ქალი-სგან პირობადის ჩამოხსნა, და მისი მამაკაცთან გათანასწორება ცხოვრების ყველა სფეროში. თურქეთმა ზურგი აქცია თავის განკერძობების გზას, თანამედროვე ხალხთა ცხოვრებაში დამკვიდრებულ წესების დაპირდაპირების გზას. ის მტკიცედ და გაბედულად დასცილდა მარიატის ნიადაგს და სახელმწიფოებრივი ცხოვრება დააფუძნა უფლებრივ ნიადაგზე.

ამ დიდი იმპერიის დაშლა და მისი ახალს ნიადაგზე მშენებლობა ქემალ ათათურქმა დაასრულა თავისივე ცხოვრებაში. მის მახლობელ თანამებრძოლთ და თანამშრომელთ მოუხლებათ მისი შრომის ვაგრძელება უკვე გაცილებით უკეთეს პირობებში. თურქთა სახელმწიფოს მეთაურობა გადავიდა მის მახლობელ თანამებრძოლის ისმეტ ფაშა — ინონუს ხელში. ეს უკვე საწინდარია იმისა, რომ ათათურქის დიდს მემკვიდრეობას ღირსეული განგრძობა მიეცემა.

შეზიბელ თურქეთის ცხოვრებაში მომხდარი ამ დიდს გარდაქმნებს რომ უალრესი მნიშვნელობის შედეგები ექმნება ქართველი ერის მომავალს ისტორიაში, ამაზედ ორი აზრი ვერ იარსებებს.

შეტად მკვიდროდ იყო გადაკვანძული ამ ორი შეზიბელი ერის ისტორია საუკუნეთა მანძილზე, და ასეთი ვითარება დარჩება მომავალშიდაც, ვინაიდან ერთმანეთზეა გადაბმული მათი მიწა-წყალი და მრავალი პოლიტიკურ და ეკონომიური ინტერესები. მართალია, წარსულმა საუკუნეებმა დაგვიტოვეს ჩვენი ურთიერთობის შეტად მწარე მემკვიდრეობა. ყველასათვის ნათელია საბედისწერო როლი, რომელიც ითამაშეს ოსმალეთმა და სპარსეთმა საქართველოს ისტორიაში. ოსმალეთის სულთნებმა და სპარსეთის შახებმა განამზადეს საქართველოს სამეფოს დამხობა და მისი რუსეთის პროვინციებად გადაქცევა, მაგრამ ეს მოვლენა საბედისწერო გახდა თვით ოსმალეთისა და სპარსე-

თისათვის. აქედან იწყება მათი სახელმწიფოებრივი დაუძღვრებელი ვაკასიის დასკვიდრებული რუსეთის შუღლივი მუქარა მათი სახელმწიფოებრივი არსებობისათვის.

ოსმალეთმა და სპარსეთმა ძლიერ მალე შეიგნეს საქართველოს და მთელი კავკასიის რუსეთის ხელში მოქცევის შიერ წარმოშობილი საფრთხე, და საქართველოს დამხობის შემდეგ ეს ორი სახელმწიფო იყო, რომ ხელს უწყობდნენ და აქტიურად ეხმარებოდნენ ქართველ ერს რუსეთის უღლისაგან განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში. ასეთი იდეა შემდეგშია არ მიუტოვებია ოსმალეთსა და სპარსეთს, და როდესაც საქართველოსა და მთელი კავკასიის განთავისუფლების შესაძლებლობა დაისახა, რუსეთის 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, უკვე დამარცხებული და დასუსტებული ოსმალეთი ცდილობდა ამ საქმის ხელის შეწყობას, საკმაოდ ცნობილია ამ მიმართულებით ოსმალეთის მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები. როდესაც სულთანის ოსმალეთის ნანგრევებზე ახალი თურქული სახელმწიფო ჩაისახა, ქემალ ფაშამ უწინარეს ყოვლისა საქართველოსა და კავკასიის ერებთან მტკიცე კავშირის ჩამოგდება განიზრახა, რომ ამით დაეხლო ახალი ოსმალეთი რუსეთის საფრთხისაგან. სამწუხაროდ, კავკასია ვერ აღმოჩნდა ამ საქმისათვის სათანადოდ მომზადებული, და მსოფლიო ომში გამარჯვებულ სახელმწიფოებთან საომარ მდგომარეობაში მყოფი ოსმალეთი იძულებული ხდება ჩამოაგდოს ზავი რუსეთთან, რომ ამით ჩრდილოეთიდან მაინც დაიზღოს თავი.

ამავე დროს ადგილი ჰქონდა ამ ხანებში ძველი და ახალი ოსმალეთის აგრესიულ მოქმედებას საქართველოს წინააღმდეგ. ჩვენ აქ ვერ გადავკრით საკითხს იმის შესახებ, თუ რით იყო გამოწვეული ასეთი პოლიტიკა — თურქეთმა დაჰკარგა იმედი, რომ კავკასიის ერები, დროზედ მოახერხებდნენ საკმაო ძალის შექმნას და რუსეთის გამკლავებას, და ამის გამო დაიკავა უკეთესი სტრატეგიული ადგილები. მოათვის ამ მძიმე ეპოქაში ოსმალეთის მოქმედების გეზი მიემართოს შერჩა ოტომანთა იმპერიის ტრადიციული მიდრეკილება მტრული და აგრესიული საქართველოს მიმართ? ამ საკითხს მომავალი გადასჭრის საბოლოოდ, ხოლო ჩვენი სურვილი კი იქნება, რომ საქართველოსათვის ამ მძიმე ეპოქაში ოსმალეთის მოქმედების გეზი მიემართოს შექმნილ ვითარების ამა თუ იმ სახით გაგებას და არა ჩვენდამი მტრულ განწყობილებასა და სულისკვეთებას.

ჩვენ ვხედავთ და გვწამს ჩვენი მეზობელი ერის მიღწეული უდიდესი გარდაქმნა და გაჯანსაღება მთელი სახელმწიფოებრივი და თვით სულიერი ცხოვრებისა. ჩვენ გვინდა ვიწამოთ, რომ ეს დიდი რევოლუტია შეეხება იმ სფეროსაც, რომელიც ჩვენ ყაილახედ უფრო გვიანტერესებს, როგორც მის მახლობელ მეზობლებს. საუკუნეთა მანძილზე ჩვენ ვხედავთ ოსმალეთს ხალიფატის დროშის ქვეშ ჩვენს საწინააღმდეგოდ მებრძოლს, მომავალში ჩვენ გვინდა ვიხილოთ თურქეთი მებრძოლი და მოქმედი ეროვნული დროშის ქვეშ, და არა კავკასიის მეზობლების წინააღმდეგ, არამედ მათთან ერთად იმ საერთო მიზნებისა და საერთო ინტერესებისათვის, რომელნიც შეადგენენ მათი არსებობისა და ნორმალურ განვითარების საიმედო ნიადაგსა და ძირეულ საფუძველს.

## ეკონომიური პრობლემის ირგვლივ

(ვაგრძელება)

დაახლოებით თითო კრიზისი ყოველ თვითეულ შვიდ წელს! ამ ინტერვალის განმავლობაში ვესწრებით ეკონომიის აყვავებას და დეპრესიას. სხანს ასეთი ყოფილა კაპიტალისტურ სისტემის კანონი, და თუ ეს კანონი დაუშვით და ძივილეთ, საჭიროა განვიხილოთ კრიზისის ევოლუცია ნორმალურ პირობებში, რათა ნათელვყოთ ის ძირითადი განსხვავება, რომელიც არსებობს ნორმალ კრიზისებსა და თანამედროვე კრიზისების შორის.

პირველი დიდი კრიზისი კაპიტალისტურ ეკონომიამ 1815 წელს გამოიარა. იმ ხანათ ახალ გამოგონებებმა წარმოების შესაძლებლობანი ფრად გააფართოვა. მეორეს მხრივ ნაპოლეონისაგან წარმოებულ ომებმა დიდი არევა დარევა გამოიწვია, უმთავრესად მომხმარებელთათვის გახდა საზიანოდ. ქარხნები უკვე ისე იყვენ მოწყობილნი ტენიკურად, და ეს უმეტესად ინგლისზედ ითქმის, რომ მათთვის ბუნებრივად საჭირო შეიქმნა ინტენსიურ წარმოებაზე გადასვლა, მაგრამ ჩამოთვლილი მიზეზების გამო მყიდველნი, მომხმარებელნი აღმოჩნდენ ქონებრივად დასუსტებულნი და ამან გამოიწვია ფასების დაცემა, ქარხნების გაკოტრება, მათი დახურვა, უმუშევრობა და სიღარიბე. დაბოლოს ფასებმა ისე დაბლა დაიწიეს, რასაც არა ნაკლებად ხელი შეუწყო უხვმა მოსავალმა, რომ თანდათანობით ღარიბსაც კი შეეძლო ყიდვა, ე.ი. მომხმარებლად გამხდარიყო. ამით მრეწველობის მდგომარეობა უმჯობესდება. ამას კიდევ ხელს უწყობენ მრავალი ახალი გარემოებანი, როგორც ტრამვაი და გაზი. კერძო ინიციატივას ეხსნება ახალი ასპარეზი; არსდებიან ბანკები, რომელნიც სესხით ხელს უწყობენ ახალ ნაწარმოებთა საფუძვლის ჩაყრას, განვითარებას ვიდრე 1825 წელს ახალი დიდი კრიზისი ბოლოს მოუღებდეს ეკონომიის დროებით აყვავებას.

ფასები კვლავ ეცემა, ჰქრება ნდობა, მასთან ერთად სესხი შეუძლებელია, მისი სარგებლის პროცენტი იზრდება, ყველას პანიკა იპყრო ინგლისში ექვსი კვირის განმავლობაში 70-მდე ბანკი იხურება და ეს იმ დროისათვის კატასტროფიული მოვლენაა. ამ მწვავე დეპრესიას ისევ ახალი აღორძინება მოსდევს ახალ წარმოებათა და ბანკების დაარსებით, კაპიტალისტურ ეკონომიის განვითარებით ვიდრე 1836—39 წლებში ახალი კრიზისი არ შეაჩერებს მას. ეს უკანასკნელი გამოწვეულ იქმნა უმთავრესად ბანკების მიერ გადაჭარბებულად სესხების გაცემით. ერთი ბანკის გაკოტრება საკმარისი იყო მხატვ შენობა დანგრეულიყო. ჩრდილოეთ ამერიკაში 618 ბანკი იხურება! ამ კრიზისსაც თავისი ბოლო ეღება. რკინის გზათა მშენებლობა ხელს უწყობს მის კვლავ აღორძინებას ვიდრე 1847 წ. ახალი კრიზისი ხალხს გაყვლეფამდე და რევოლუციონურ მოძრაობამდე არ მიიყვანს.

ამ კრიზისით მთავრდება კაპიტალისტურ ეკონომიის განვითარების პირველი ხანა. მისი ნამდვილი ევოლუცია ამ დროიდან იწყება. ამ ხანაში, ე.ი. ვასულ საუკუნის ნახევარში, ორი დიდი დარაზმულობა — კაპიტალი და შრომა მძლავრ ორგანიზაციების სახით ჩამოყალიბდებიან და ერთმანეთს დაუპირდაპირდებიან იმ დიდ ბრძოლისათვის, რომლისგანაც დამოკიდებულია კაცობრიობის ცივილიზაციის სახე.

1857 წელს ახალმა კრიზისმა იფეთქა. ჩრდ. ამერიკაში კოტრდება ერთი ბანკი. ამ მოვლენით დაწყებული კრიზისი მთელს მსოფლიოს

ელდბა. ამერიკიდან იგი ინგლისს მოედვა, შემდეგ ჰამბურგს, პეტერსბურგს, სკანდინავიას და სხვ. ყირიმის ომმა კი მას უფრო სასტიკი ხასიათი მისცა. შემდეგ კრიზისებს უფრო ადგილობრივი ხასიათი ჰქონდათ. მაგალითად 1863—64 წ.წ. საფრანგეთში, 1866 წ. ინგლისში, 1869 წ. ჩრ. ამერიკაში. სამაგიეროთ 1873 წლის კრიზისმა, გერმანიაში დაწყებულმა ფართო ხასიათი მიიღო. გამოწვეულ იქმნა იგი იმ საომარ გამარჯვებით, რომელიც გერმანიამ მოიხვეჭა საფრანგეთზე და იგი იმპერიად აქცია. სამი წლის განმავლობაში 1870—73 წ.წ. კაპიტალიზმმა უაღრეს განვითარებას მიაღწია, ამ ხნის განმავლობაში დაახლოებით 1000-მდე სააქციონერო საზოგადოება დაარსდა, მათი კაპიტალი აღწევს 3 მილიარდ 112 მილიონ ოქროს მარკას. 1863 წელს ვენაში ვესსელბანკი გაკოტრდა, ამით დაიწყო კრიზისი, მოედვა მთელს გერმანიას, აქედან ინგლისს, შემდეგ ამერიკას, ამერიკიდან ისევ ევროპას დაუბრუნდა. გამოწვეულ ქარიშხალის ჩაქრობას 3 წელიწადი დასჭირდა.

შემდეგი კრიზისები, ვიდრე 1900—1901 წლამდე ისევ ადგილობრივი ხასიათისა არიან, საფრანგეთში მას ადგილი ჰქონდა 1882 წ., ინგლისში 1890 წ., ამერიკაში 1893 წ., მაგრამ კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარება შეფერხებული არ არის ვინაიდან მას ხელს მძლავრად უწყობენ ნორჩი ელექტრონის ინდუსტრიის ზრდასთან ერთად სამხრეთ აფრიკის ოქროს მადნის ექსპლოატაცია და ტენესისის სწრაფი და განსაკვიფრებელი წინსვლა და მიხწევანი. კაპიტალიზმის გამარჯვებითი წინსვლა კიდევ ერთხელ შეფერხებულ იქმნა 1900—1901 წლის კრიზისით, რომელიც ეპიდემიასავით მთელს დედამიწას მოედო და უფრო მეტის სიმკაცრით კი ჩრდილოეთ ამერიკას, სადაც ეკონომიის მთლიანი პარალიზაცია გამოიწვია.

როგორც ვხედავთ კრიზისი ჩვენი საუკუნოების საკუთრება და თანამედროვე ეკონომიის ავადმყოფობა კი არ ყოფილა, არამედ თურმე კაპიტალისტურ სისტემის სპეციფიური და ნორმალური მხარე.

განვიხილოთ ცოტა დაწვრილებით 1900—1901 წლის კრიზისი. იგი წარმოადგენს უკანასკნელ დიდ კრიზისს კაპიტალისტურ ეკონომიისათვის ნორმალურ პირობებში, იგი ტიპია ამ ხანამდე გამოწვეულ კრიზისებისა და მაშასადამე მისი შესწავლა გავვიადვილებდა მათ შედარებას ომის შემდეგ წარმოშობილ კრიზისებთან.

აღორძინება იწყება ფასების სულ დაბლა დაცემის წყალობით, მაშასადამე ნაწარმოებ საქონლის შემცირებითა, მყიდველთა გამრავლებით, რაც პარალელურად მუშაობის და ხელფასის ზრდას იწვევს. მეორეს მხრივ საქონლის მოთხოვნილების ზრდა არა მარტო არსებულ წარმოებათა გაფართოებას მოითხოვს, არამედ აგრეთვე ახალთა აგებას და დაარსებას. ეს კი თხოულობს მუშა ხელის ახალ კონტინენტს ინდუსტრიის ყოველ დარგში და ახალ გავლენას ახდენს ხელფასის ზრდის ტენდენციაზე. მომხმარებელთა რიცხვი და მათი ყიდვითი პოტენცია ძლიერდება, საქონლის ფასიც ზემოდ იწევს. და ასე, ერთი მოვლენა მეორეს იწვევს, თითქოს ეკონომიურ აყვავებას წინ არაფერი ეღობებოდეს და განუსაზღვრელი ყოფილიყვეს. ეკონომიური ვითარების ამ ციებ-ციხელების სტადიაში აზრად არავის მოსდის, რომ ასეთი აყვავება ფიქტიური, ხელოვნურია, და რომ ამ რთულ და უზარმაზარ შენობის აგებისას ერთი აგურის სინაკლულე გამოიწვევს მთელი შენობის ჩამონგრევას. პირიქით, პირობები ისეთი იქმნებიან, რომ ყველა სტილიზმის ისარგებლოს მდგომარეობით, დააკმაყოფილოს კერძო ეგოიზმი და ამბიცია. მთელი ეკონომია ისე მოეწყობა, რომ დაეკმაყოფილება ამ გაზ-



რდილ წარმოების კერძო და ვიწრო მოთხოვნილება და არა მოთხოვნილება მომხმარებლისა.

ამ ეკნომიის განვითარება-აღორძინებისას ბაზარზე გამოდის საქონელი იშვიათი ან არა საქმარისი რაოდენობისა, მამასადაძე მისი ფასის ტენდენცია ზრდისაკენ არის მიმართული; ეს მოვლენა კი მუდამ ისეთ ფსიქოზის შემქმნელია, რომ მომხმარებელი სწორედ და საჩქაროთ ამ იშვიათ საქონელს ეძებს შესაძენათ და ეს დაუყოვნებლივ ხელს უწყობს ფასის კვლავ ზრდას. ქარხნის პატრონი სარგებლობს ამ შემთხვევით და სცილობს წარმოების გაფართოვებას. საამისოთ მას ახალი კაპიტალი სჭირდება; აქ ბანკები ჩნდებიან, ისინი სესხის სახით ამ ახალ მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ, და როდესაც ეს მოთხოვნილება დღითი დღე იზრდება, იზრდება აგრეთვე სესხის სარგებლობის პროცენტული რაოდენობა. მაგალითად, გერმანიის სახელმწიფო ბანკმა 1899 წელს ექვსი თვის განმავლობაში სარგებლის პროცენტი 4-დან 7-მდე აიყვანა. ამავე წელს, საქონლის ფასების ზრდამ ზედმეტის სიმწვევით წვრილ კომერციაში იჩინა თავი. მაგრამ ამ ზრდას და სიძვირეს თავი არ მოჰყოლია პარალელური მუშა - მოსამსახურეთა ხელფასის პროპორციული ზრდა, სწორედ სესხის სარგებლის მაღალ პროცენტის გამო. მომხმარებელთა დიდი კატეგორია ველარ იძენს იმდენსავე რამდენადაც უწინ; წვრილი ვაჭარი, ამ კატეგორიის უშუალო მომმარაგებელი ნაკლებ შეკვეთებს უგზავნის თავის მომმარაგებელს მსხვილ ვაჭარს, ეს უკანასკნელი კი მწარმოებელს-ქარხნის პატრონს, რომელიც ჰხედავს რა რომ შეკვეთები უმცირდება, თანდათანობით აჩერებს წარმოებას. განუსაზღვრელი ნდობა, რომელიც სესხების გაცემას შესაძლებლად ხდიდა, ადვილს უთმობს უნდობლობას; ახალი თანხების გასესხება ჩერდება, ისპობა; პირიქით, ბანკები გაცემულ სესხების საჩქაროთ დაბრუნებას ცდილობენ, თუმცა სწორედ ამ დროს წარმოების მესვეურნი, ვაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილნი, საჭიროებენ ამ თანხებს. მაგრამ კაპიტალისტური სისტემა, დემოკრატიული მოვლენა, ნიშნავს თავისუფლების მეფობას, საკუთარ ინტერესის და „მე“ს უმაღლეს საფეხურზე დაყენებას. სწორედ ასეთი უზომო თავისუფლება, აღორძინების წარმომშობი, იმავე დროს ნგრევის, დაქვეითების, უმუშევრობის, სიღარიბის მიზეზი ხდება. სესხს და ახალ თანხებს მოკლებული მწარმოებელი, ვაჭარი, ეკონომიურ ფუნქციების შემსრულებელი, ის კატეგორია, რომლის ხელში დაგროვილია ფულზე-ოქროზედ გადასახურდავებელი ნაწარმოები, დაგროვილ საქონლის, სტოკის განაღდების შესაძლებლობის გამო შიშით შეპყრობილი ცდილობს საქონლის თავიდან მოშორებას. ერთმა მეორეს უნდა დაასწროს საქონლის ლიკვიდაციაში, რომ ამით, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ზარალი შეიმციროს და მით სრული ვაკოტრება თავიდან აიცილინოს. ეს „ვინ ვის გაასწრობს“ ბაზარს საქონლით სტვირთავს, ფასების დაცემას იწვევს, ისევე როგორც ვაკოტრებას. ამის მსხვერპლი ხდება პირველ რიგში სათადარიგო თანხებით სუსტი წარმოებანი. მაგრამ ეს სენი ხომ თანდათანობით პატარიდან დიდსაც ედება და ბანკების ამაყ სასახლეთა კარებსაც ბოჭლომს ადებს. ამ ნგრევა-დაცემის პერიოდში ქარხნის პატრონი ყოველ ღონისძიებას ხმარობს ვაკოტრებისაგან თავი გადაიჩინოს. პირველ ყოვლისა ამცირებს წარმოების საექსპლოატაციო საერთო ხარჯებს, ითხოვს მუშებს, აკლებს მუშა-ხელს ხელფასს, საზღვრავს წარმოებას ბაზრის ვიწრო მოთხოვნილების რაოდენობით, ან მთლად აჩერებს მას. სწორედ ამიტომ

კრიზისი უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს, ვინაიდან მომხმარებელთა რაოდენობა და მოხმარების პოტენცია პროგრესიულად მცირდება.

ასეთი ტიპიური ევოლუცია კრიზისისა, რომელიც თვით ბუნებაა კაპიტალიზმისა, უკვე 1901 წელს გადასცდა იმ ნორმალ პროცესს, რომელიც ახასიათებდა პერიოდიულ აყვავება-დაცემას ახალ ფაქტორების გამოჩენის წყალობით. ამ კრიზისის დროს, მაგალითად, გერმანიაში, ქვანახშირის და რკინის სინდიკატებმა პირველად განიცადეს ბრძოლის ცეცხლი. ახლად დაარსებულმან, მათ არ დაუშვეს ფასების დაცემა, პირიქით, აიძულეს შინაური კლიენტურა საქონელი შეეძინა ალორძინების დროის არსებულ მაღალ ფასებში, მაგრამ საზღვარგარეთ, სადაც მათ მონოპოლია არა ჰქონდათ, საქონელი დაბალ ფასებში გაჰქონდათ. ასე რომ, გერმანელი კლიენტი ამ საგნების მაღალ ფასებით იჩაგრებოდა, მისი საზღვარგარეთელი კოლეგა კი, პირიქით, იმავე საქონლის დაბალ ფასებით სარგებლობდა და კონკურენციასაც კი უწყვედა გერმანულ ინდუსტრიას. ეს მაგალითი მაჩვენებელია კაპიტალისტური სისტემის ზნეობრივი სიმდაბლისა, სახელმწიფო და ეროვნულ რეალ მოთხოვნილებათა შეუგნებლობისა და უგუნობის.

საფრანგეთში არა ერთხელ მოვსწრებივართ მოვლენას, როდესაც გაკოტრებისაგან გადარჩენის მიზნით დემოკრატიული მთავრობა ბანკებს დახმარებას უწყვედა სახელმწიფოს საღაროდან. რასაკვირველია, საზოგადოებას აღელვებს, როდესაც ბანკს, კერძო დაწესებულებას, სახელმწიფო კონტროლის გარეშე მომქმედს, რეგულიარულ ოპერაციებთან ერთად მრავალ უსუფთაო კომბინაციების მკეთებელს, ერის წარმომადგენელნი მფარველობენ, თუმცა ბანკის დამაარსებელთ მიზნათ ერის სამსახური კი არ დაუსახავთ, არამედ ერის ხარჯზე სწრაფი გამდიდრება. არსებითად ასეთ უმსგავსო ვითარებას, — კაპიტალისტურს ეკონომიკას და ფინანსებს ისეთი ლამაზი სახე აქვს, რომ იგი იზიდავს, ჰზიზღავს ახალგაზრდას და ხანში შესულს, გამოაცილს და გამოუტყდელს, ნასწავლს და უსწავლელს, მაგრამ ამასთან ერთად გადაგვარებას და უკან დახევას უქადის პიროვნებას, ოჯახს, საზოგადოებას, ერს, სახელმწიფოს. ჩვენს მიზანს დემოკრატიული პრინციპების გამასხარავება კი არ შეადგენს, არამედ ქართველის დაჩაგრულ გულში ჩვენივე ქვეყნისადმი შებრალების გრძნობის გამოწვევას და ეროვნულ ხალხს-სური ღვიძლის და კუჭის ფრთხილს დაზოგვას. თუ ქართველმა ერმა დღემდე ვერ მოიხელა ვერც რუსული ბორში, რა გინდ გემრიელი არ უნდა იყვეს იგი, ვერც ევროპიული მაიონეზი, ალბათ მას წითელი ლობიო, ჩიხირთმა, საცივი და ღომი ურჩევნია. არ უნდა გავვიკვირდეს თუ მას არც კაპიტალისტური ქოთანნი მიუდგეს და არც ზღაპრული დემოკრატიული მდა.

კრიზისის ევოლუციის განხილვის შემდეგ გავარჩიოთ თუ რა მნიშვნელობა აქვს მას კაპიტალისტურ სისტემის შინაგან ვითარებაში. მისი ნორმალური ევოლუციის სქემა რომ დავხაზოთ, დავინახავთ: წარმოების და ფასების ზრდას, შემდეგ წარმოების გადაჭარბებას, რაც გამოიწვევს ფასების დაცემას. აქ საჭირო ხდება ფასებმა თვითონ, ავტომატიურად მოძებნონ ისეთი დაბალი საფეხური, რომელიც საშუალებას იძლევა ზედმეტ ნაწარმოებ საქონლის განაღდებისა. მაშასადამე კრიზისი ყოფილა ერთგვარი პროცესი კაპიტალისტურ სისტემის შეგუებისა, შეფარდების მისგანვე დამყარებულ ეკონომიურ პირობებთან. მაგრამ რისთვისაა საჭირო ეს შეგუების პროცესი? გავიხსენოთ, რომ კაპიტალისტურ სისტემის და იდეოლოგიის დასაწყისი ჩაისახა ტეხნიკის და მე-



ცნიერების დიდ აღმოჩენათა და მით გამოწვეულ ეკონომიურ ახსნა-გაწმენდის სიადრევე. კაპიტალიზმი, ისე როგორც ჩვენ მას ვიცნობთ, წარმოდგენილია ტექნიკურ გამოგონებათა გარეშე და ამ უკანასკნელთა ექსპლოატაცია კი კაპიტალისტურ საზოგადოების გარეშე. ყოველი ახალი აღმოჩენა ადვილებს ადამიანის წარმოდგენას და მადას, და მას სურვილს უბადებს დიდ სარგებლის რეალიზაციისა. ასე რომ არ ყოფილიყო, თავს არავინ არ შეიწუხებდა აღმოჩენათა ექსპლოატაციისათვის. ამასთანავე, მატერიალურ სიძლიდრეთა მოხვეჭა არის აგრეთვე ის ძლიერი ძალა, რომელიც ძესაძლოთ ჰყოფს გამოგონებებს და ასე აღმოჩენანი და აღმოჩენათა რეალიზატორები ერთმანეთს შეავსებენ და საშუალებას აძლევენ კაპიტალიზმს თავისი ისტორიული როლი შეასრულოს. გამდიდრების სურვილი, კურსი სარგებლობისაკენ კონკურენციას წარმოშობს და ეს გარემოება თავის მხრივ წარმოებას გადაჭარბებისაკენ მიაქანებს და ამ მდგომარეობიდან ერთად ერთი გამოსავალი კრიზისი შეიქმნა. მაშასადამე კრიზისი არა მარტო შევუების პროცესია, არამედ აგრეთვე კორექტივის შემტანი კაპიტალიზმის ევოლუციაში.

ასე, კრიზისიდან კრიზისისაკენ, კაპიტალიზმი და ტექნიკა ერთი მეორის გავლენის ქვეშ აღწევენ ჩვენს ხანას და თან ფატალურ სახეს იღებენ. ეს უფრო ნათლად მტკიცდება, მოვიგონებთ რა, რომ კრიზისის ნორმალ ვითარებისას პატარა და სუსტი წარმოებების გაკოტრება იწვევს მათ ჩაყლაპვას დიდ, ძლიერ წარმოებების მიერ და, მაშასადამე, კაპიტალის თანდათანობით კონცენტრაციას, რაიც მაქსიმალურ საზღვარს აღწევს იმ დროს, როდესაც ჩასაყლაპავათ არც პატარა და არც საშუალო ძალის წარმოება აღარ მოიპოვებია. ეს ფენომენი სპობს კონკურენციას და ისობა აგრეთვე ერთი უმთავრესი ფაქტორი ახალ გასაქანისა, იმპულსისა, აყვავების და ახალ კრიზისისა. ასეთი ფაზა მიღწეულია იმ ჟამს, როდესაც ტექნიკა აღარ იძლევა რაიმე ახალს. ამ ჟამს კაპიტალისტური ეკონომიკის მისია დამთავრებულია, იგი ნელ-ნელა შეცვლილია ახალი წესით.

ეს ფაზა ჯერ კიდევ მიღწეული არ იყო, როდესაც ქვეყნიერება ახალ კრიზისის მოლოდინში შერყეულ იქმნა 1914 წლის უსასტიკეს ომით, რომლის კატასტროფიულობა ხასიათმა საოცარის სისწრაფით დააჩქარა კაპიტალისტური ეკონომიის ევოლუცია, რომელიც, თუ უწინ საუკუნოებს საჭიროებდა, სამაგიეროთ ომის წყალობით რამოდენიმე ათეული წლით დამთავრდა. ყვავილი ნელა იფურჩქნებოდა, იგი უეცრივ სჭკნება, აი ნამდვილი შთაბეჭდილება რომელსაც სტოვეტს მსოფლიო ომი, როგორც დამრღვევი ეკონომიის ნორმალ ევოლუციისა.

ამ რღვევის გამო ომის შემდეგი კრიზისები კაპიტალიზმის ზრდის კრიზისები კი აღარ არან, არამედ შედეგნი სისტემის მოქმედებითი დაშლილობისა და არევი დარევისა. ტექნიკის განსაცვიფრებელი პროგრესი შეჩერდა, ძირითადი მნიშვნელობის გამოგონებათ ადგილი აღარ აქვთ. კაპიტალიზმის ეს უსაჭიროესი მასაზრდოებელი აღარ არსებობს და ამით მისი განვითარება და ზრდა შეჩერებულ იქმნა. მაშასადამე კაპიტალიზმი გადაშლივებული ყოფილა. მან თავისი როლი შეასრულა, დაჰკარგა ის მნიშვნელოა რომელიც მას მიუძღოდა და ეკუთვნოდა.

ტექნიკა ევროპის კულტურის სპეციფიური წარმოშობაა, ისევე, როგორც აქვე დამყარებული კაპიტალისტური სისტემა ამ კულტურის დამახასიათებელი მხარე. ევროპიულ კულტურის სამყარო განისაზღვრებოდა თვით ევროპით, რუსეთის დასავლეთ ნაწილით და აღმოსავლეთ ამერიკით. აი, სწორედ აქ იყო აგებული უზარმაზარი ქარხანა,

კაპიტალიზმის სამშობლო, აქედან მოეფინა მთელს ქვეყანას მისი „კულტურის სხივები“ და გზა გაუკვლია იმპერიალისტურ ბოროტმოქმედებას, ხალხთა დამონებას, დაჩაგვრას, მათ ძარცვა-გლეჯას. ეს უზარმაზარი ქარხანა აწვდის მთელს ქვეყნიერებას დამუშავებულ საქონელს, მხოლოდ დაჩაგრული ერები, კოლონიები ამ ქარხანას აწვდიან სურსათს და ნედლ მასალას და დღეს საომარ ცოცხალ ძალასაც! ამით აიხსნება რომ ევროპაში სოფელი დაიკალა და რომ პროლეტარიზაციის პროცესმა ინდუსტრიალური ქალაქის მოსახლეობა გაზარდა, კოლონიებში კი, სადაც მიწის კულტურა მოეწყო, წინაუკმოთ, გამრავლდა გლეხთა, ფერმერთა მესაქონლეთა რიცხვი.

მსოფლიოს ასეთი „გაევრობება“, რომელიც ხშირად ძალდატანებით ხდებოდა არა მარტო ეგრედ წოდებულ „ბარბაროს ერთა და ტომთა“ მიმართ, არამედ აგრეთვე უძველეს კულტურის მქონე ერთა მიმართაც, რომელთა რიცხვში უნდა დავსახელოთ ჩინეთი და ინდოეთი, აფართოებს ინდუსტრიალურ ნაწარმოების მოთხოვნილებას. ევროპის ნაწარმოებთა შესაძენად დაჩაგრულ და უფლება შევიწროებულ კოლონიების მოსახლეობა იძულებული ხდება გაიტანოს ნედლი მასალა და სურსათი. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ თუ რა დამოკიდებულება დამყარდა ტეხნიკის და ეკონომიკის შორის, კაპიტალის და შრომის შორის. ამას ეხლა კიდევ ემატება ის ურთი ერთი დამოკიდებულება, რომელიც მყარდება დასავლეთსა და ნედლ მასალის მიმწოდებელ ქვეყნებს შორის. მაგარმ, ამ უკანასკნელ დამოკიდებულებამ და განწყობილებამ თავის ბუნებრივ კიდეს მიაღწია იმ მხრივ, რომ „ცივილიზაციის ექსპორტს“ და „გაევრობებას“ კოლონიებისვე ინდუსტრიის დაბადება და განვითარება მოჰყვა. იაპონიის მაგალითი ხომ ყველასათვის ცნობილია. ნედლი მასალის საქსპორტო ქვეყნიდან იგი უაღრესათ ინდუსტრიალურ ქვეყანად იქცა. მის მაგალითს სხვა კოლონიებიც მისდევენ, რათა საკუთარი მოთხოვნილება თვითვე მაქსიმალურათ დააკმაყოფილონ. ეს სრულიათ ვასაგები და ვასამართლებელი მოვლენაა, ვინაიდან რაც უფრო იზრდება ნაწარმოებთა მოთხოვნილება, იმდენათვე მეტად საჭირო ხდება მიწის კულტურის ინტენსიფიკაცია, საქონლის ერთი მეორეში გასაცვლელად. ამ უკანასკნელ ოპერაციის პროცესში კი ნუ დავვიწყებთ რომ უღიდესი სარგებელი და სიმდიდრე მის ხელში გადადის, ვისაც საწარმოვო იარაღი უკავია ხელთ.

ამრიგად, ჩვენ ვრწმუნდებით რომ „გაევრობებას“ თავისი საზღვარი ჰქონია, რომ ყაჩაღურ კაპიტალიზმის დაუშრეტელი წყაროები დღითი დღე იწურებიან და რომ დამყარებული დამოკიდებულება „ქარხნის“ და კოლონიებს შორის კაპიტალიზმისათვის კედელზე თავის მიხეთქვას ნიშნავს.

კაპიტალიზმის ასეთ შინაგან არეგ დარღვევის სიმპტომებმა უკვე 1920 წელს იჩინეს თავი. მსოფლიო ომის დროს ნედლი მასალის გამტან ქვეყნებმა ინდუსტრიალური კადრები იმდენად გააფართოვეს, რომ შესძლეს არა მარტო საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, არამედ მსოფლიო ბაზარზე გასვლა და ევროპის ნაწარმოებების კონკურენციის გაწევა. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც აქამდე უმთავრესად ნედლი მასალის მიმწოდებლად ითვლებოდა, გადაიქცა პირველ ხარისხოვან ინდუსტრიალურ ქვეყანად და მის მაგალითს მიჰბაძეს იაპონიამ, ინდოეთმა და უკანასკნელათ ჩინეთმა, ე.ი. კაპიტალიზმის კლიენტურის უღიდეს მომხმარებელთა კონგლომერატმა. ევროპის ეკონომიკა მსოფლიო ომის შემდეგ შეუღდა ომის მოთ-

ხოვნილებით გამოწვეულ ორგანიზაციის სამშვიდობო პირობებზე გადასვლას. იმ დროს როდესაც კადრები განახლებულ იქმნენ და ეკონომის ვითარებას ომის წინა ხანის მსვლელობა უნდა მიელო, აღმოჩნდა, რომ უწინ არსებული დამოკიდებულება „ქარხნისა“ ე.ი. დასავლეთისა და ნედლი მასალის მიმწვდომ ქვეყნებ შორის დარღვეულ იქმნა. თუ ომის წინ დასავლეთი მთელს ქვეყანას თავის ნაწარმოებს აწვდიდა, სამაგიეროდ ომის შემდეგ სხვა ქვეყნებმა აავსო დასავლეთი ნედლი მასალით და სურსათით, მაგრამ დასავლეთს კოლონიების ნაწარმოების შექმნა აღარ შეეძლო ვინაიდან ეს ქვეყნები არ იძენდნენ დასავლეთის ინდუსტრიალურ ნაწარმოებს. ამ გარემოებამ გამოიწვია არცე დარვეასთან ერთად ევროპის ეკონომიის მექანიზმის პარალიზაცია: დაიხურა ქარხნები, კაპიტალმა მოსახლეობის გამოკვების საკითხი სახელმწიფოს მიანდო. 1920 წლის დამლევს უმუშევართა რიცხვი 10 მილიონს აღწევს. მხედველობაში რომ მივიღოთ ნახევრად უმუშევარნი და მათი ოჯახის წევრები; დამშეულ მომხმარებელთა რიცხვი 60 მილიონს სწვდება. რუსეთი, სადაც საბჭოთა რეჟიმი დამყარდა, სწვეტს კავშირს კაპიტალისტურ ქვეყნებთან და ამით დამშეულთა ისედაც ურიცხვ რაოდენობას ემატება ქვეყნის თითქმის ერთი მეექვსედი ნაწილი, ე.ი. რუსეთი და მისგან დამონებული ურიცხვი ერები. ამ გვარად, 1920 წელს ევროპაში გამოწვეული კრიზისი შეიქმნა შედეგი წარმოების დონის დაცემისა, იმ დროს როდესაც უწინდელი კრიზისები კაპიტალიზმისა გამოძინარეობდნენ წარმოების გადაჭარბებისაგან. იმავე წელს უხვმა მოსავალმა რეკორდის ციფრებს გადააჭარბა. ამ მოვლენამ კაცობრიობა ისეთ პარადოქსალურ მდგომარეობაში ჩააყენა, რომ იმ დროს როდესაც ევროპა, რუსეთი, ჩინეთი, ცენტრალური აზია შიმშილს განიცდიდნენ, იმავე დროს არგენტინაში ზედმეტ ხორბალს ორთქლმავლებზე სწვადენენ! კოლონიები და აგრარული ქვეყნები ვეღარ ასაღებენ თავიანთ მიწის ნაწარმოებთ, „ქარხანა“ მათ ვეღარ იძენს, მეორეს მხრივ ამ უკანასკნელს მსოფლიო ბაზარზე მეტოქენი გამოუჩნდა, ინდუსტრიალურ ნაწარმოებთა საჭირო რაოდენობის მომხმარებელთ იგი ვეღარ ჰპოულობს. ეს პირველი რყევა კაპიტალისტურ ეკონომიის სამოქმედო ვითარებისა ბოლოს დაძლეულ იქმნა ფასების არაჩვეულებრივ დაცემის წყალობით.

## 6. სიღამონ-ერისთავი

### სასოფლო მეურნეობა ემიგრაციაში

რამოდენიმე წლის წინეთ, როდესაც საფრანგეთში ეკონომიური კრიზისი ძალზე გამწვავდა და მრავალი ემიგრანტი ულუკმა პუროდ დარჩა, ვახეთ „პოსლედნია ნოვოსტის“ რედაქციამ სპეციალური კორესპონდენტი გაგზავნა საფრანგეთის სამეურნეო რაიონებში იმის გამოსარკვევად თუ რამდენად შესაძლებელი იყო ქალაქში უმუშევრად დარჩენილ ხალხის სოფლად მოწყობა. იმ დროს ზოგიერთი ორგანიზაციები ეწეოდნენ პროპაგანდას სამხრეთ ამერიკაში კოლონიზაციის სასარგებლოდ და ზემო ხსენებულმა გაზეთმა იქაც მიაღვინა ერთი თავისი კორესპონდენტთაგანი.


ვინც დაინტერესებული იყო და თვალყურს ადევნებდა ამ ორ კო-

რესპონდენტის ნარკვევებსა და შეფასებებს, რომელნიც, უნდა აღვნიშნოთ, დიდის დაკვირვებითა, საქმის ცოდნით და ობიექტიურად ამოქმედდენ საკითხს, ეხსომებათ, თუ რა დასკვნები გამოიტანეს მათ. კერძოთ იმ კორესპონდენტმა, რომელიც საფრანგეთში მოგზაურობდა, სახელდობრ ანდრეი სედიხმა შემდეგი სიტყვებით დაიწყო და დაამთავრა თავისი წერილები: „მიწა გამოჰკვებავს კაცს, თუ მის დამუშავებას მიუდგებით ცოდნითა და სიყვარულით“. თეორეტიკოსის ასეთს დასკვნას მრავალი პრაქტიკოსებიც სავსებით ადასტურებენ.

წინა წერილში ვწერდით და კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ ქართულ ემიგრაციას ნაკლებ აინტერესებს სამეურნეო საქმე და საკითხები და ამიტომ არც იწერება რამე ამის შესახებ ქართულს ჟურნალებში, მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა ვსინჯოთ ამ საკითხის საზოგადოებაში გამოტანა, რომ ამით წაევაქნოთ ის, ვისაც სურვილი აქვს მეურნეობას ხელი მოჰკიდოს, მაგრამ შიშსა და ჭოჭმანსა ჰყავს შეპყრობილი.

მთავარი მოსაზრება, რომელიც გვაიძულებს მოუწოდოთ ქართველ ემიგრანტებს მიწისაკენ ის არის, რომ განვლილი ეკონომიური კრიზისი სამუდამოდ არ მოგვმორებია თავიდან, პირიქით, არის ნიშნები, რომ მოკლე ხანში იგი ხელახლა მოგვევლინება და იქნებ უფრო მრისხანე ფორმებშიც. თუ ლეონ ბლუმის მთავრობამ ეკონომიური კრიზისი შეაწვავს, ამაში ლავალის მიერ დატოვებულ საცხე სალაროსაც ჰქონდა მნიშვნელობა და დღეს კი ძველი ქონი თითქმის სავსებით დამდნარია, რის გამო მომავალი კრიზისი, უნდა ვიფიქროთ, უფრო მწვავე იქნება, ვიდრე განვლილი. ამისათვის სჯობს თადარიგი ადრევე დავიჭიროთ. მრავალ ემიგრანტთან საუბრის დროს ერთი დასკვნა გამოგვაქვს ყოველთვის: — რათ გვინდა აქ რომ შეუდგეთ საფუძლიანად მოწყობას, აქ ხომ არ დავრჩებით სამუდამოთო. ძნელია ადამიანისათვის ერთად ერთი ნუგეშის წართმევა, მაგრამ ამდენი გამოვლილი წლების თვალის გადავლებამ უნდა დაგვარწმუნოს, რომ ბარგის გამზადება ჯერ ნაადრევია. ესეც რომ არ იყოს, მოწყობა და ფეხის მოდგმა არაფერს გვავენებს, რადგან ძალიან დიდი, ძალიან მსხვილი საქმეების ლიკვიდაცია ხერხდება სულ მოკლე ხანში, და ჩვენ რა უნდა შევქმნათ ისეთი, რომ მისი ლიკვიდაცია გაგვიჭირდეს? პირიქით, თუ ის სასიხარულოდღე გაგვითენდება, ჩვენი საქმეების ლიკვიდაცია სასიამოვნო და სასარგებლოც იქნება ეკონომიურის თვალსაზრისით, რადგან ასეთ დღეს ცოტა სასაროც იქნება საჭირო, თუ ვნებავთ მარტო მგზავრობისათვის, ხოლო რადგან ქართველ კაცს ფულის შენახვა მეტად ეძნელება, სჯობს იგი საქონლად გადააქციოს. ჩვენ იძულებული ვართ ასეთ უბრალო ჭეშმარიტებაზე ვილაპარაკოთ, რადგან მრავალ ჩვენგანს არ სურს გაიგოს ეს სინამდვილე.

დაუბრუნდეთ ისევ ჩვენს მთავარ საგანს — მიწაზე მოწყობის საკითხს. საფრანგეთში არსებობს ორი ფორმა მიწის გაჭირაუებისა: მოზიარეობა და იჯარა (მეტეიაკი და ფერმაი). პირველ შემთხვევაში მემამულე აძლევს მეურნეს მიწას, საცხოვრებელ და საექსპლოატაციო შენობებს, სამეურნეო იარაღებს და ცხოველების ნახევარს, ხოლო მეორე ნახევარი კი მეურნემ უნდა შეიძინოს (საერთო წესის თანახმად) მაგრამ ხშირია შემთხვევები, როდესაც მემამულენი იძლევიან საკმაო იარაღებსა და ცხოველებს. ცხოველთა ნაშენში მემამულეს თითქმის ყოველთვის ნახევარი მიაქვს, მხოლოდ ხორბლეულობაში შეთანხმებით წყდება საკითხი, საერთოდ კი თუ მემამულე მეურნეს აძლევს თესლეუ-



ლობის ნახევარს, მოსავალშიც მონახევრობას მოითხოვს, ხოლო თუ მოსავალში მესამედს სჯერდება, თესლეულობა საესებით მეურნემ უნდა გაიღოს. უმეტეს შემთხვევაში პირველ წელიწადს მემამულენი სესხათ აძლევენ მეურნეებს თესლეულობას. ქიმიური სასუქებისა და ხორბლეულობის გაღწევის ხარჯი მუდამ სანახევროა. საქონლის საზრდო (თევა, ჭარხალი და სხ.), ნაწველი და ფრინველი მეურნეს ეკუთვნის, და იშვიათია შემთხვევა, რომ მემამულემ მათში რაიმე წილი მოითხოვოს. ამ რიგად, მეურნეს (მეტეიეს) მხოლოდ თავისი ბინის მოწყობა, ცოტა რამ იარაღისა და ცხოველის შემატება და თავის რჩენა სჭირდება ხოლო მე ფერმაში შესვლის პირველ წელიწადს, რომელნიც არ მოითხოვენ დიდ თანხებს საზოგადოთ, თუ, რასაკვირველია, ხელს არ მოჰკიდებთ. იმოდენა ფერმას, სადაც დაქირავებული მუშის დაუხმარებლად შეუძლებელი იქნება მამულის მოვლა.

რაც შეეხება მამულის ქირავობას (ფერმაჟ), ეს მხოლოდ საკმაო საღსარის მქონე და გამოცდილი მეურნის საქმეა და რადგან ასეთები ჩვენს ემიგრაციაში ნაკლებად გვევლულებიან, ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ვისაც მეურნეობაში ჩაბმის სურვილი აქვს, ჩვენ ურჩევდით ერთი წელიწადი მოჯამაგირეთ დამდგარიყო იმ რაიონში, სადაც ფერმის აღებას დააპირებს, რათა ადგილობრივ მუშაობის პირობებს გაეცნოს, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, აიჩინოს მანკობლად კარგი მეზობელი და საესებით, ყოველგვარ შესწორების გარეშე წააბძოს მას მუშაობაში. შესწორებების შეტანა და საკუთარი ინიციატივის გამოჩენა შეუძლებელია მხოლოდ იმის შემდეგ, რაც რიგაზად გაიცნობთ ადგილობრივ პირობებს და პროფესიონალური მეურნე გახდებით, მანამ კი ბრძმად უნდა მისდიოთ მეზობლების მაგალითს და თუ არ გამდიდრდებით, გარანტია გაქვთ, რომ არ გაკოტრდებით მაინც. განსაკუთრებით ხელსაყრელად მიგვაჩნია „მეტეიაჟში“ ფერმის აღება ცოლშვილიანი და მრავალრიცხოვან ოჯახის პატრონთათვის, რადგან ამ შემთხვევაში მუშა ხელის დაქირავება აღარ შეადგენს საჭიროებას და მთელი წმინდა შემოსავალი ოჯახსა რჩება; თანაც ქალი აუცილებელი ელემენტია სოფლის მეურნეობაში. რომ სიტყვა მეტად არ გავვიგრძელებდეს, მივათითებთ ერთ მშვენიერ ნაშრომზე, რომელიც საქმის დიდი მკოდნესგან არის დაწერილი და რომელშიც მოიპოვება მრავალი პრაქტიკული დარიგებანი საფრანგეთის სხვა და სხვა კუთხეებში ნიადაგის აღწერილობისა, მეურნეობის ხასიათის და მუშაობის პირობების შესახებ. ესაა აგრონომ ლაშინის წიგნი: „ზერნოვოე ხოზიასტროვა ნეპოლშიხ ფერმახე ვო ფრანკია“. რუსებს მრავალრიცხოვანი ემიგრანტი ჰყავთ და ეს ნაშრომიც ამ ემიგრაციის საჭიროების გათვალისწინებასა და შეგნებას ემყარება ხური გაუწიოთ რჩევა-დარიგებითა და საჭირო ცნობების მიწოდებით ყველა იმ ქართველს, რომელნიც მოგვმართავენ კერწო წერილებით თუ სხვა სახით. ჩვენი მიზანი არ არის დაეხატოთ სოფელი სამოთხეთ და მიწის მუშა ბედნიერების განსახიერებათ. პირიქით, ყველამ, ვინც გადასწყვეტს მიწის სამუშაოთ წასვლას, უნდა იცოდეს, რომ რამოდენიმე წლით იგი მოკლებული იქნება ყოველგვარ კონფორტს, განიცდის უზომო ვაკირებას, დაიკისრებს უმძიმეს შრომას და მოსწყდება თავის საყვარელ გამართობელ საზოგადოებას. უნდა ღრმად გადასწყვიტოს, რომ ის არ მიდის საავარკოთ და დასასვენებლათ, არამედ თავდადებულ სამუშაოთ და ისიც ფრიალ მძიმე პირობებში, მაგრამ იმ იმედით, რომ ეს არის მხოლოდ რამდენიმე წლის საკითხი, რომლის შემდეგ მა-

შსაც შეუძლია ადამიანურ პირობებში ცხოვრება და რაც უმთავრესია

### — ხვალისდელი დღის უზრუნველყოფა.

ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფლის ცხოვრებასაც აქვს თავისი სილამაზე და ხალისი. მაშინ როდესაც ქარხნის მუშა სრულებით არაა დაინტერესებული თავისი შრომით, არ ახარებს თავისი ნაშრომის პროდუქტი, სოფლის მუშა ყოველ ფეხის ნაბიჯზე სტკებდა თავისი შრომის ნაყოფით; მას ახარებს მოზარდი, ლამაზად მობობინე ჯეჯილი, ვაზზე ჩამოკიდებული შეკუმშული მტევანი, ეზოში მოკუნტრუშე ახალგაზრდა ცხოველები და სხვა მრავალი, რაც ქალაქის მცხოვრებისათვის გაუგებარიც არის. გლეხისთვის უცნობია საყვირის ხმაზე ზიზლით დაღრეჯა, მანქანების რიხინით თავის გაბრუება, მეტროსა და ქარხნების მოწამლული ჰაერი, უმუშევრათ დარჩენაზე მუდმივი ფიქრი-კანკალი. ის ჯანსაღია და თავის, თუ გნებავთ პრიმიტიული ცხოვრებით, კმაყოფილიც, მით უმეტეს, რომ დღევანდელ მიმოსვლის გაუმჯობესებულ პირობებში არც ქალაქს არის მოწყვეტილი.

ყველანი ვცდილობთ მკვიდრ ნიადაგზე დავდგეთ, — მიწის მუშა უთუოდ ასეთზე სდგას.

### დ. უგრეხელიძე



## „სცნაუნი „ვაზისტი“ და მისი „მოძრაობა“

„სიკრუე და ორპირობა  
აენებს ხორცსა, მერმე სულსა.

### რუსთაველი

ბ. მანველიშვილი და მისი „მოძრაობა“ კვლავ განაგრძობენ, და კიდევ მეტის თავგამოდებით, ქართულ ეროვნულ ფრონტისა და მის მონაწილეთა „განადგურებას“. იგი უყურადღებოთ არ მტოვებს, რასაკვირველია, თქვენ მოჩილ მონასაც. საკითხი რომ ჩემით განისაზღვრებოდეს, შესაძლოა ეხლაც, როგორც წინეთაც, თავს დიდათ არ შევიწუხებდი, ან და მოკლეთ მოუჭრიდი. უარესიც მინახავს და ადვილად გადამიტანია, რადგან, შოთას სიტყვები რომ ვისესხო:


„სხვა და სხვა ჭორი ჩემზედა არ ახალა, ძველია“.

მაგრამ ბ. მანველიშვილს ფარ-ხმალი მეტად ფართედ აქვს გაშლილი და ბეჭდვითი სიტყვის მნიშვნელობა და პატივი გვავალებს მას ერთგვარი ყურადღება ვათხოვოთ.

დავიწყეთ პიროვნულ და უფრო მცირე მნიშვნელობის საკითხებიდან და თანდათანობით გადავიდეთ უფრო დიდი მნიშვნელობის საგნებზედ. ვფიქრობ, რომ ასეთი გზით საკმაოდ სრულად ავსახავთ ამ პიროვნებისა და მისი „მოძრაობის“ ბუნებასა და სიგრძე-სიგანეს.

ქართულ ემიგრაციაში ჩვენ ყველასი ცნობა გვაქვს, ახლო თუ შორეული, მით უმეტეს, ვინც მწერლობას იწევა, მიუხედავად იმისა, თუ როგორი ხარისხისაა ეს მწერლობა. ვერ გავარკვეით ხოლო ვინ ბრძანდება ანდრო დოლიძე, და არსებობს თუ არა იგი სინამდვილეში. ხოლო თუ მართლაც არსებობს სადმე ეს მანველიშვილი, „მოძრაობის“ მზეთუნახავი, ის იე ჰვავს თვით მანველიშვილს მსჯელობით და აზროვნებით, და თვით თავის უბადრუკ აზრთა გამოთქმით, რომ





ეს ორი მწერალი უთუოდ განუყრელ ტყუპებად უნდა მივიჩნიოთ და ერთმანეთს არ დავაცილოთ.

ამ პატივცემულმა გვამმა სამი წლის წინეთ დაიწყო წერა თავისი „ორიოდე სიმართლე ილია ჭავჭავაძეზე“ და ვგონებ ესლა, მესამე წერილით, უკვე დაასრულა. ვერ გავიგე ეს თავისი „სიმართლე ილია ჭავჭავაძეზე“ რად გაიხადა ანდრო დოლიძემ ჩემზე თავდასხმის საშუალებად. ვხედავდი მხოლოდ, რომ რასაც სიმართლეს ამბობდა დოლიძე ილია ჭავჭავაძეზე, ეს იყო ულაზათო განმეორება იმისა, რაც მე მქონდა დაწერილი ამ საგანზე ათი წლით ადრე. მაგრამ ერთი რამ სენსაციური ამბავი მაინც გვამცნო ბ. დოლიძემ. ილია ჭავჭავაძე თურმე სრულიად არ ყოფილა საქართველოს თავისუფლების წინააღმდეგი ბოლოს ამას ერთი სენსაცია დაუმატა მან, და ეს, უკვე, პირადათ ჩემი განადგურებისათვის. ბ. დოლიძე ამტკიცებს, რომ ა. ასათიანი „ყოველთვის ეძებს მოწინააღმდეგეთა ბანაკში, რაიმე ავადმყოფურ მოვლენად მონათლოს“. ამის დასამტკიცებლად მას ერთად ერთი საბუთი მოჰყავს. ეს არის საქართველოს დეცენტრალიზაციის საკითხი, რომელიც მე დავგმე ჩემს 1935 წ. და უფრო ვრცლად 1931 წელს გაკეთებულ მოხსენებაში. საკითხი ენებოდა საქართველოს ფედერაციის ნიადგზე მოწყობის გეგმას, რაც მაშინ „თეთრი გიორგი“ წამოაყენა, და მეც ამის წინააღმდეგ გავილაშქრე. ესლა დოლიძე გამოსთქვამს „ორიოდე შენიშვნას“ საზოგადოთ დეცენტრალიზაციაზე და ვერ ამჩნევს, რომ ეს სრულიად ის არ არის, რაზედაც მაშინ ვდავობდით.

მაგრამ ბ-ნი დოლიძე თვითონაც არ კისრულობს დეცენტრალიზაციის დაცვას: „შეიძლება ის ჩვენი ქვეყნისათვის ყოვლად გამოუსადეგარი იყოსო“. ის ვერ ამჩნევს, რომ არსებითად მე კი არ მედავება, არამედ მიხ. წერეთელს, მაგრამ მასაც აპატივებს ამ შეცდომას იმის გამო, რომ „მ. წერეთელი იურისტი არ არისო“. ბ. დოლიძე იმასაც გვამცნობს, რომ „დეცენტრალიზაცია შეიძლება ფართოდაც გავიგოთ და კონკრეტიულადაცო“. მართალია, ეს „კონკრეტიული ვაგება დეცენტრალიზაციისა“ ჩვენ სრულებით არ გვესმის, მაგრამ თავს იმით ვინუგეშებთ, რომ მის ავტორს, როგორც სჩანს, არც ეს ფართო ვაგება ესმის და არც კონკრეტიული. საქმეს არც ის უვლის, რომ მას მოჰყავს ამონაწერები დიუგურის და ბერტელემის შრომებიდან. ეს ამონაწერები მხოლოდ დეცენტრალიზაციის მცნებას არკვევენ და მეტს არაფერს. ბ. დოლიძემ უნდა გაიგოს საბოლოოდ, რომ მეცნიერული შრომების სარჩევის გადახედვა და შემდეგ ორიოდე გვერდის გადაკითხვა და აღძრულ თემაზე ციტატების ამოწერა, არ არის საკმარისი. საგნის ელემენტარული ცოდნა მაინც არის საჭირო, თორემ უამისოდ ადამიანი აღვილად დაიბნევა. მ. წერეთელი, მართალია არ არის იურისტი, მაგრამ მას აქვს მეცნიერული სკოლა ვაგილილი და, შესაძლოა ამათუ იმ საგანზე შემცდარი აზრი გამოსთქვას, მაგრამ ეს აზრი არ იქნება უვიცობითა და გაუგებრობით გამოწვეული. როგორ აზრს იცავდა მ. წერეთელი, ეს ნათელი იყო მისთვისა და ჩვენთვისაც, ხოლო რას იცავს ბ. დოლიძე, ეს მასაც ვერ გაუგია, და ჩვენ საიდან გავიგებთ.

ბ. დოლიძეს ისიც კი აკვირვებს, რომ ბარტელემი, რომელიც იხილავს თავის შრომაში სახელმწიფობრივი წყობის სხვა და სხვა სისტემას, დეცენტრალიზაციის მოწინააღმდეგე ყოფილა და იმავე დროს „თვით საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოშიც უდიდეს ადგილს უთმობს (დეცენტრ. საკითხს) და მოწინააღმდეგე აზრებს ეკამათება“. როგორც სჩანს ბ. დოლიძეს შორეული წარმოდგენაც არა აქვს იმის

შესახებ, თუ რა არის საუნევერსიტეტო სახელმძღვანელო და რა თხებებს არკვევენ მასში.

ყველა ეს შესანიშნავი საბუთები ბ. დოლიძეს მოჰყავს ალბათ იმის დასამტკიცებლად, რომ ეს საკითხი „ავადმყოფობა“ კი არ არის, როგორც მე მას უწოდე, „არამედ მეტად აქტუალური თანამედროვე სახელმწიფოში“. მერე ვინ დავობს ამაზე, ბ-ნო დოლიძე? ჩვენ საქართველოზე გვაქვს მსჯელობა და ისიც მის სახელმწიფოებრივი აღდგენისათვის ბრძოლის პროცესში, და ვინ იცის რამდენი საკითხია ასეთი თუ ისეთი, რომლის დაყენება ფრიალ ბუნებრივია სხვაგან და „ავადმყოფური“ იქნება ჩვენს სინამდვილეში?

მაგრამ ბოლოს და ბოლოს ბ. დოლიძემ, შეიძლება ითქვას, ყელი გამომჭრა იმით, რომ ილია ჭავჭავაძის ავტორიტეტი მოიშველია. „მე არ მინდა ბ. ასათიანს ილიას უცოდინარობა დავსწამო, ამბობს ბ. დოლიძე, რადგან მან იმისათვის, რომ თავი ილიას მემკვიდრეთ გამოეცხადებინა, მთელი წიგნი დასწერა“. ბ. მანველიშვილს და დოლიძეს თუ ეს აწუხებს, ვინ უშლის მათ ასევე მოიქცენ. ილიას მემკვიდრეობას ვერც ასათიანი დაიბატონებს და ვერც რომელიმე დაჯგუფება. მთელს ერს და ყველა მის ნაწილებს შეუძლიანთ ილიას აზრსა და საქმეს მისდიონ და მით ამ დიდს მემკვიდრეობას დაეწაფონ. ბ. მანველიშვილს და დოლიძეს ეს უთუოდ ნაკლებად აინტერესებთ, რადგან ისინი დარწმუნებული არიან, და ეს არა ერთხელ გაუმჯღავნებიათ, რომ დიდი ილიას მიერ ეროვნული პოლიტიკის გაგება დაძველებულია უკვე და მასთან შედარებით მათმა „მოდრობამ“ დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ. ბ. დოლიძეს პორტრეტს რომ ვიცნობდე, მაშინ იმასაც მოგახსენებდით, უკარგდა თუ არა ტაშს იგი ერთ-ერთ თავის ბელადს, რომელიც ამ ათი წლის წინად ჩემდა სპასუხით გამოვიდა და დაიწყო მტკიცება, რომ ილია ჭავჭავაძე და მისი დასი იყვენ რუსულ სკოლაში აღზრდილი და რუსოფილობით გაყლენთილი. ყოველს შემთხვევაში ის კი ნათელია, რომ ამ „მოდრობამ“ ერთგვარად შეიწყნარა ილია ჭავჭავაძე მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც თვით ქართველ კომუნისტებმა მოიხარეს ქედი მის წინაშე და მისი ხსოვნა უდიდესი ზემოთ აღნიშნეს. ამ დრომდე ამ „მოდრობას“ რამდენი და რა საგანზე არ უწერია, ხოლო ილია ჭავჭავაძე და მისი უდიდესი მემკვიდრეობა არასოდეს გახსენებია.

მაგრამ ეს სრულიადაც არ სცვლის ჩემს მძიმე მდგომარეობას. თუ ჩემი მოკამათებისათვის არ იყო დიდი ილია უდიდესი ავტორიტეტი, ჩვენთვის ხომ მუდამ იყო. დოლიძემ სწორედ აქ დამიჭირა და მეკითხება: „იცით რომ ამ საკითხზე ილიას სპეციალური წერილი აქვს დაწერილი?! და ისიც იცით, რომ ილია სწორედ დეცენტრალიზაციის პრინციპს იზიარებს?!“ დიახ, ესეც ვიცი ბ. დოლიძე და ისიც. მაგრამ მე კიდევ მეტი ვიცი. ილიას ამ საგანზე ერთი წერილი კი არ დასუწერია მხოლოდ, არამედ ცხრა და კიდევ სხვა წერილებშიც შეხებია ამ საკითხს. მაგრამ თქვენ, ჩვეულებისამებრ, ან მხოლოდ რამოდენიმე გვერდი წაგიკითხავთ, ისიც ერთი წერილისა, ან და წაგიკითხავთ და ვერ გაგიგიათ თუ რა საგანზე სწერდა და რა საკითხს არკვედა დიდი ილია. ამ წერილებში, რომელნიც დაიბეჭდენ სამოცი წლის წინედ, ილია ჭავჭავაძე არკვევს ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ რუსეთის რძპერიაში დამყარებულ ადგილობრივი ცხოვრების ვითარებას. აქ განხილულია ლალისა, მეოთხედობის და ჩამონაჭრების საკითხი, სასოფლო მმართველობის, სასოფლო სასამართლოს, მამასახლისობის,

მომრიგებელ შუამავლისა და სხვ. რუსეთის წყობის მაშინდელ სირობებში ბევრი რამის მოთხოვნა არ შეიძლებოდა და ილიაც მცირედ რამეს მოითხოვს ადმინისტრაციულ ადგილობრივ მმართველობის სფეროში. ილია რომ მოითხოვდა ამაზედ ათჯერ ფართე ადგილობრივ მმართველობას აქვს ადგილი ყველა უაღრესად ცენტრალისტურად მოწყობილ სახელმწიფოებში. ილია ამას ასაბუთებს, რასაკვირველია დეცენტრალიზაციის პრინციპებით. მაგრამ ილიას, რომ შესძლებოდა იმხანად რუსეთის სრული დეცენტრალიზაციის მოთხოვნა, განა ამას ეხლა დაუწუნებდით ვინმე? აქაც იგივეა. ანდრო დოლიძე სრულიად არ უკვირდება, როდესაც კითხულობს თუ სწერს, რა არის საგანი წინაკითხისა თუ დანაწერის. ასე რომ არ იქცეოდეს, ადვილად დაინახავდა, რომ ერთია დეცენტრალიზაცია იმ იმპერიისა, რომელიც ჰვლობს საქართველოს, და მეორეა საქართველოს დეცენტრალიზაციის საკითხის დაყენება, და ისინიც მისი სახელმწიფოებრივი აღდგენისათვის წარმოებულ ბრძოლის ხანაში. ამ უკანასკნელს მე „ავადმყოფური მოვლენა“ უწოდებ, და დოლიძეც ამაზედ მიდავება, მაგრამ ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს, როგორ მაგარ სახელს გამოუხანავდა ჩემს ადგილზე რომ იყოს.

ჩემს მოხსენებაში მე გაკვირვება გამოვსთქვი, რომ საქართველოს ფართე დეცენტრალიზაციისა და ფედერაციის საკითხს აყენებენ ისეთი ქართველები, რომელნიც თავის თავს ფაშისტებად ნათლავენ. ვამტკიცებდით, რომ ფაშისტური სისტემა უაღრეს ცენტრალიზმს მოითხოვს. ეს „სიცრუევა გვეუბნება ბ. დოლიძე და ამას შემდეგი განცხადებით ასაბუთებს: „სამწუხაროდ აქ დღეს ამ საკითხზე არ მისადა მკითხველის ყურადღება შევაჩეროვ“. არ ვიცი რატომ არის ეს სამწუხარო, რადგან ბ. დოლიძე უთუოდ აქაც ვერ მიაწვდიდა მას რაიმე საყურადღებო ცნობასა და აზრს. მაგრამ რატომ გამოაცხადა ბ. დოლიძემ ჩემი აზრი სიცრუედ, ამას ხომ ვერც ერთი გულთმისანი ვერ გაიგებს. თუ ბ-ნ დოლიძეს ეძნელება იმის გამორკვევა თუ რა ცვლილებები შეიტანეს ჰიტლერმა და მუსოლინიმა გერმანიისა და იტალიის სახელმწიფოებრივ სისტემაში, ნაციონალ-სოციალიზმისა და ფაშიზმის დოგმების შესახებ ხომ მაინც აქვს ელემენტარული წარმოდგენა? ნუ თუ ვერ ხედავს, რომ მათი დოგმები არა მარტო სახელმწიფოებრივი ორგანიზმისა, არამედ მთელი მისი სოციალურ და კულტურულ ცხოვრების ცენტრალიზაციაზეა დამყარებული?

თავის აბლაუბდას ასეთ საკითხზე, რომლის მას არაფერი გაეგება, ბ. დოლიძე სიბრძნით ასკვნის: „ყოველივე ახალი საკითხის დაყენება ავადმყოფობად კი არა, სასიხარულო მოვლენად უნდა ჩაითვალოს“. ვინ მოსთვლის რამდენი ასეთი „ახალი საკითხი“ აღუძრა ბ. მანველიშვილმა ქართველ ერს და მით მას განუზომელი სიხარული მიანიჭა. ამ მხრივ მეტად ღარიბნი არიან ყველა სხვანი და მათ შორის, ბ. ასათიანიც. საქართველოს ბრძოლის ხანაში ისინი ზრუნავენ და მუშაობენ, ძველსა და მითაჟამს ხილულ საქმეებზე. ამის შემდეგ არ არის გასაკვირველი, რომ მათ ჩემს შესახებ ასეთი განაჩენი გამოაქვთ: „აღ. ასათიანს არაფერი არ უფიქრია ჩვენი ეროვნული სახელმწიფოს და საერთოდ ეროვნულ საკითხზედ, ყოველ შემთხვევაში ამის კვალს ჩვენ ვერ ვხედავთ. მანველიშვილივით რომ ვიყო შეპყრობილი განდიდების მანიით, და თვითგაბერვის ხელოვნებით, იქნებ მეც მომეხერხებინა ამისთვის რაიმე მასალის პოვნა ჩემს კვალსა და ნაკეთებ-

ში. ასეთი მანიის გარეშედაც და რიგიანი მოკრძალებითაც რომ ვცდო-  
ლიყავ, იქნებ მაშინაც გამოძეებნა რამე. თუ მე ვერ შევძლებდი ამას  
დავიხმარდი სხვებს, და სწორედ ისეთ პირებს, რომლებსაც მანველიშვი-  
ლი ფინიასავით კულში დასდევდა წელთა მანძილზე. სწორედ ამ ჩემს  
ნაფიქრსა და ნაწერზე მომეპოვებოდა მათი წერილები, არა ინტიმური  
ხსიათისა, რომელთა გამოქვეყნება ასე უყვარს მანველიშვილს, თუ-  
ეს მის პიროვნულ და წვრილმან ანგარიშებს გამოადგება. ასეთს და-  
ვსახებას ბ. მანველიშვილი მხოლოდ მისი ტყუპი დოლიძისაგან თუ მი-  
იღებდა. ამის მსგავსი საბუთი რომ ჩავარდნოდა მას ხელში ფოტოგ-  
რაფიით გადიღებდა მათ სურათებს, გაზეთშიდაც დასტამბავდა და  
თავის ოთახის კედლებზედ ჩამოიკიდებდა. სხვა რომ არა იყოს, თვით-  
დოლიძე-მანველიშვილის შოწმობაც ძეყოფოდა. თავისივე ხელით და-  
იმავე წერილშივე ადასტურებენ ისინი, რომ წიგნი დამიწერია, ჟურ-  
ნალიც გამომიცია და სოციალისტური პოლიტიკაც საფუძვლიანად გა-  
მიკრიტიკებია ყოველივე ეს უთუოდ საქართველოზე ნაფიქრი იყო  
და არა ეთიოპიაზე ან სამხრეთ აფრიკაზე. მაგრამ კაცია და გაუნება.  
ჩემს კვალსა და ნაფიქრებზე სიტყვა არ მეხერხება და ამ ჩემს პიროვნ-  
ულ კვალზე მანველიშვილის აზრებს ვერ შევებრძოლები. ვიტყვი  
მხოლოდ, რომ, თუ მე არა მაქვს ეს საკუთარი კვალი, მანველიშვილი-  
სათვის შესახებდავი, ის ხომ მაინც ნათელია ყველა თვალხილულსა-  
თვის, რომ მე ვდგევარ ჩვენი ეროვნული ცხოვრების ფრიად დიდსა  
და ღრმა კვალში და არც მე ამოვევარდნილვარ იქიდან და ვერც ვინმეს  
ამოუღდივარ. ქონდრის კაცები ამ კვალში ვერ დგებიან და, ყოველს  
შემთხვევაში, ხანგრძლივად იქ ვერ რჩებიან.

\*\*

ბ-ნ მანველიშვილი ჩვენს ეროვნულს ცენტრში ყოფნას ეხება და  
ამბობს: „მგონია ეს დამყარებულია ანგარიშებზედო“. ამ ხუთი წლის  
წინეთ მე პასუხი გავეცი ამაზედ უფრო გარკვეულ სიტყვებს (იხ. „სა-  
მშობლო“ № 14) და ამის შემდეგ კარგა ხნით მიყუჩდა ასეთი ლათაიე-  
ბი. მაშინ ეს მანველიშვილის „მოძრაობა“ სწერდა: „ამბობენ ა. ასა-  
თიანი რაც მიწის ზემოთაა, ორი იმდენი მიწის ქვემოდ არისო. დიდი  
ქვეშ-ქვეშა და ეშმაკი ვინმეაო“. საკითხი იყო „კომბინაციებზე“, ანგა-  
რიშებზე და სხვ. ამაზედ მე უპასუხე, რომ კომბინაციების ნიჭი მე ცუდ  
საქმედ არ მიმაჩნია. აღამიანი იმით განსხვავდება პიროტყვისაგან,  
რომ მას ამ კომბინაციების, ანგარიშის და აწონ-დაწონის ნიჭი აქვს.  
მაგრამ კომბინაციებიც არის და კომბინაციებიც. ხშირია ისეთებიც რო-  
მელნიც ეწინააღმდეგება დაკანონებულს წესებს და საზოგადოებრივს  
თუ პიროვნულ მორალს. იქნებ ასეთი რამ მოიპოვოს ბ. სოლომონმა  
ა. ასათიანის შესახებ? მე მას ნებას ვრთავ გამოაცხადოს ანკეტა თავის-  
და სხვა გამოცემებში და თუ რამ ასეთი მოიპოვოს, ამაზე შემდეგ ვი-  
მსჯელოთ“. რაც შეეხება ანგარიშებს, ამაზედ მაშინ და შემდეგაც  
განმეცხადებია, რომ არც წინეთ და არც ესლა არავითარი მატერიალ-  
ური დამოკიდებულება არ მქონია არც სოციალ დემოკრატიულ პა-  
რტიასთან და არც მთავრობასთან, თუ ცენტრთან. ხოლო, დავძენდი,  
რაც მე საოსარი გამაჩნია, ათჯერ მეტიც რომ მქონდეს, ეს იქნება  
ლიტიკურს მუშაობაზედელი იმისა, რაც მე მატერიალურად შემეიტანია  
თუ რაიმე კომბინაბაში და არა რაიმე ცუდი კომბინაციებით, სიყალ-  
ბით თუ რაიმე კომბინალური მოქმედებით, არამედ ისეთი საქმეებით,  
რომელსაც სიამოვნებით ეწევა ყოველი გონიერი მოღვაწე, ვისაც ამის  
უნარი აქვსთქო“.

ამის შემდეგ კარგა ხანს შესწყვიტეს ჯღაბნა ბ. მანელიშვილმა და მისმა ახლო დამეობებმა. ეხლა, როგორც სჩანს, ანკეტა დაუსრულებიათ და მანელიშვილი აცხადებს: „აღ. ასათიანის ცენტრში ყოფნა, მგონია ანგარიშებზე დაძაბულობა“. აღ მანელიშვილი რომ თავის მკითხველს არაფრად ავადებს, ეს ნათელია, მაგრამ თავის თავის პატივისცემა მაინც რომ ჰქონდეს, ჩემი ასეთი განცხადებებს შემდეგ ასეთს „ფონიაზე“ კრინტასაც არ დასძრავდა. მაგრამ ჩემზე თუ ასე რბილად ჰბედავს დაწერას ბ. მანელიშვილი, იქვე სწორეთ ამ საგანზე სწვდება გენ. კვიციანი და ამტკიცებს, რომ „მთავარსარდალი მთავრობის ნაცვლად ვიღაც ლეკის სამსახურშია შესული“. გენ. კვიციანისთან ჩვენ სადავო ძრავალი გვაქვს და ფრიად მნიშვნელოვან საგნებზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საზოგადო აზრია, რომ ამ მხრივ გენ. კვიციანე ბევრ სხვა ძოღაწეზე უფრო მტკიცეა. ყოველ შემთხვევაში ბ. მანელიშვილს ამ ლეკის სამსახურზე არაფერი ეთქმის, არც მისთვის და არც სხვისთვის. ინებოს და დაუსვას მან თავისივე პერსონას შემდეგი კითხვა: რატომ მოხდა რომ ის ლეკის სამსახურში არ არის დღეს, არამედ საწინააღმდეგო ბანაკში? რატომ მოხდა, რომ მან არავითარი მიანაწილეობა არ მიიღო ბამატის მოქმედების დასაფასებლად მოწვეულ კრებაში, რისთვისაც ბამატის ჟურნალი დიდ ქება ხოტბას ასხავდა მას და მის „მოძრაობას“? როგორი იყო ის „ანგარიშები“, რომელმაც გადასწყვიტა ეს საკითხი, კარგათ მოეხსენება მას და სხვებსაც, მისივე აღსარებით. ასეთი ანგარიშები, ბ. მანელიშვილი, ა. ასათიანს არასოდეს ჰქონია არც ლეკთან და არც თვით ქართულ ძალებთან. ამის შემდეგ იმედია ენას დაიმოკლებთ, ბ. მანელიშვილი, და ფრთხილად მიუდგებით სხვათა ღირსებას, და ეს თვით თქვენთვის არის სასარგებლო. გახსოვდეთ მუდამ საბა სულხანის ბრძნული თქმულება: ფრთხილად მავალი სოფელსა, ძვირადა წაიქცევისა.

\* \*


ბ. მანელიშვილი ამცნობს საზოგადოებას იმ მოლაპარაკებათა შესახებ, რომელიც სწარმოებს ქართულს წრეებში ბ-ნ სპირიდონ კელიას მოხსენების შემდეგ, და რომლის მიზანია ქართული ძალების დაზავება და მაქსიმალურად გაერთიანება. ამ საკითხის შესახებ მომხდარ თათბირებში გამორკვეულია ყველა წრეების დადებითი მიდგომა ამ საქმისადმი, და თვით ბ. მანელიშვილი ადასტურებს, რომ „საერთო ენის გამონახვის საჭიროებას ყველა ერთად აღსარებს“. ამ „ყველა ერთად“ში ის უთუოდ თავის თავს და თავის „მოძრაობასაც“ ჰვლისხმობს. ბ. მანელიშვილს პირობებიც შეუთმუშავებია ასეთი გაერთიანებისათვის და ამასაც „მომავალში“ ჰბეჭდავს. მართალია მას არ მოჰყავს დაზავებისა და შეთანხმების ერთი უმთავრესი პირობა, მაგრამ ეს არც იყო სავალდებულო, რადგან ის ასეთს შემთხვევაში ყოველგან და ყოველთვის იგულისხმება და თვით ველურ ტომებშიაც სავალდებულოდ არის მიჩნეული. როგორც ბრძოლასა და დავას, ისე ზავსა და სამშვიდობო მოლაპარაკებას თავისი წესები აქვს. ბრძოლა და დავა ხშირად შეტად მძაფრ და დაუნდობელ სახეს ღებულობს, ხოლო დაზავება და სამშვიდობო მოლაპარაკება ამის საწინააღმდეგო ბუნებისაა. ბ. მანელიშვილს არ მიაჩნია თავისთვის სავალდებულოდ ეს ზუღუსების მიერაც მიღებული ზნე და წესი. ერთსა და იმავე გაზეთში იგი ფრანგულ ენაზედ ლაფს ასხავს იმ წრეებს, რომელთანაც შეთანხმებაზე მოლაპარაკების წარმოებას მიესალმება და აცხადებს, რომ მათთან მას და მის „მოძრაობას“ არაფერი საერთო არც აქვს და ვერც მონაწილეობა ექნება.

ქართულად დაწერილ წერილშიდაც ასევე აღვრახსნილად ცდილობს. მათ გათანხმებებს, ხოლო წერილის ბოლოს მათთან შეთანხმების პირობებს აღწერს მუხლობრივად...

ჩვენს ადგომას რომ მისი ალტერ ეგო, ანდრო დოლიძე იყოს, ასეთის მის მოქმედებას უწოდებდა. პროვოკაციას, ამ საქმის ჩაშლის მზაკვრულ და ბოროტ ცდას და მრავალ კიდევ უფრო მაგარ სახელებს, მაგრამ მე უფრო მსუბუქი გამოთქმით ვკმაყოფილდები და მას „ავადმყოფურ მოვლენად“ დავსახავ. ვიქცევი ასე არა ბ. მანელიშვილის შიშისა და გადაჭარბებული მორიდების გამო, არამედ, თუ გნებავს, გადაჭარბებული მორიდებისათვის იმ დაზავების საქმისადმი, რომელიც სწარმოებს და უთუოდ დადებითად უნდა დასრულდეს. მაგრამ ამ საკითხისადმი ასეთი მიდგომა გვავალებს ჩვენ არ ვიყოთ ბეცი და ბრმა არამედ თვალბილული და დაზავების საქმეს დავაცილოთ ყოველივე ისეთი მოვლენა, რომელიც მას აცლის ფერხთავან იმ ერთად ერთ ზნეობრივ ნიადაგს, რომელზედაც იგი უნდა აშენდეს. ღვთის მადლით, ჯერ ხნობით სხვა რამ ასეთი არ სჩანს, გარდა ბ. მანელიშვილისა და მისი „მოძრაობისა“. მისი განკვეთა მხოლოდ გააჯანსაღებს ამ საქმის წარმოებას და ვერც რამეში შეზღუდავს მისი შედეგების სიგრძესა და წონას. უამისოდ ეს გამოწყებული საქმე თავიდანვე დასნეულდება. ბაცილა სუსტი და უძლური არსებაა, მაგრამ თვით უმძლავრეს ორგანიზმისთვისაც ხდება საშიშარი, უკეთუ მასში შეიჭრა და თავისუფლად მოიკალათა. ხოლო სამართლიანი მსჯავრი ბ. მანელიშვილსაც არგებს:

„ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნელლად“.

ბ. მანელიშვილი გვარწმუნებს, რომ იღწვის და იბრძვის „ერთიანი მებრძოლი ფრონტის“ შექმნისათვის. ასეთი მებრძოლი ფრონტი ჩვენს ერს ვერ შეუქმნია და ესლა მანელიშვილი ცდილობს მოიძიოს. უცხოეთში ასეთი რამის ნასახიცი არ ყოფილა. ეროვნული ინტერესი მის მოქმედების საფუძველი „დემოკრატიული დოგმა“ ყოფილა თურმე და არა საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლა. მანელიშვილი გვარწმუნებს, რომ ცენტრში შემავალ პარტიებს „აერთებდა დემოკრატიზა“ და არა ეს ბრძოლის საქმე. ამის დასამტკიცებლად მას ფრიად მჭრელი საბუთი მოჰყავს. ცენტრის მემარჯვენე ნაწილიც — ეროვნულ დემოკრატები, ამ დემოკრატიის ნიადაგზედ სდვას. ეს სწორია, მაგრამ ბ. მანელიშვილმა იცის კი რა არის დემოკრატია, როგორც საზოგადოებრივი ძალა, რა არის დემოკრატიული დოგმა და დემოკრატიულ მოძრაობათა ბუნების სხვა და სხვაობა? ამ საგანზე მრავალი მაქვს ნათქვამი და დაბეჭდილი, ამაზედ ის ადვილად ხუჭავს თვალს, მაგრამ ფაშისმის მამამთავარი და მოციქული, მუსოლინი რომ ფაშისმს ახასიათებს, როგორც „დემოკრატიას შეკავშირებულს, ცენტრალისტურს, ავტორიტეტულს“, ამაზედ რას გვეტყვის ჩენი ფაშისტური კარიკატურა? ბ. მანელიშვილს რომ რამე გაეგებოდეს ან დემოკრატიის, ან განმათავისუფლებელი ბრძოლის ბუნების, მას ისიც არ დაარჩებოდა შეუშინველი, რომ ყველა ასეთი ბრძოლა მუდამ ყოფილა და იქნება დემოკრატიული და ხალხოსნური. ასეთი იყო გარიბალდისა და მაცინის, პილსუდსკისა და დე-ვალერას თუ მასარიკის ბელადობით წარმოებული ბრძოლები. ასეთი იქნებოდა უთუოდ მუსოლინისა და ჰიტლერის მიერ წარმოებული ბრძოლები, უკეთუ მათი ბრძოლის საგანი იყოს თავის ქვეყნების უცხო უღლისაგან განთავისუფლება და არა სულ სხვა — მძლავრ სახელმწიფოთა შინაურ მშენებლობის საქმე.



პირვლს საქმეში დემოკრატია ვერ გახდება დოგმათ, ვინაიდან მისი საგანია მთლიანად ერი და მისი თავისუფლება, ხოლო სახელმწიფოებრივ წყობის გარშემო ძალთა ჭიდილში ის ხშირად ჰკარგავს ასეთს ბუნებას. მე არა ერთხელ მქონდა შემთხვევა საკმაოდ ნათლად განმემართა, რომ საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული მიმართულება, მესამეციანთა თაობიდან დაწყებული, ჩვენს დრომდე, ამ ეროვნულ თავისუფლების იდეებით იკვებებოდა და არა დაწინაურებულ სახელმწიფოებში დამკვიდრებულ ინდივიდუალისტურ კაპიტალიზმის მიერ წარმოშობილ ინდივიდუალისტურ ინტერესებითა და სულისკვეთებით. ფაშიზმი ებრძვის ამ უკანასკნელს, და აქაც მას ასულდგმულებს ეროვნული ინტერესების მთლიანობის სწორედ ის პრინციპები, რომელიც ასულდგმულებდა მუდამ ერთა განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლასა და მუშაობას.

ბ. მანველიშვილი ქართველთა ასეთს ბრძოლას „ფრონტ პოპულერს“ უწოდებს და მით დიდს სიყალბეს სჩადის. ქართველ მოყვანებს უნდა ესმოდეს, რომ ეს ეროვნული ფრონტი პირდაპირი წინამძღვრობაა იმ „ფრონტ პოპულერთა“, რომელნიც არსებობდნენ თუ არსებობენ სხვა და სხვა ქვეყნებში ერის შინაურ ძალთა დაპირდაპირების და ბრძოლის ნიადაგზე. ასე რომ, ჩვენი უცნაური ფაშისტი, თავს არ იტყენს იმის გასაგებად თუ რა არის მუსოლინისა, ჰიტლერისა და სხვათა ბრძოლისა და მოქმედების საგანი, და რა საგანია ჩვენი ეხლანდელი ბრძოლისა და მოქმედებისათვის. მას საკმარისად მიაჩნია სხვათა ყურ მოკრულ სიტყვების უაზრო და უშინაარსო რახა-რუხი და დარწმუნებულობა, რომ ამით რაღაცას ანგრევს და რაღაცას აშენებს. მაგრამ ასეთ ცულობობას დიდი გასაქანი არა აქვს და ვერც ექნება. მართლა უთქვამთ: „ცუდი სიტყვა ვერ გაივლის ხანსა გრძელსა“

მაგრამ როგორ უნდა გაერკვეს ბ. მანველიშვილი ასეთ საკითხებსა და სხვის ნაწერებში, როდესაც თავისი დანაწერი არ ესმის და თავისავე სტრიქონებში უგზო-უკვლოდ დაეხეტება? ერთსა და იმავე წერილში ის შემდეგს გვიმტკიცებს: ეროვნულ ცენტრში შემავალ ეროვნულ დემოკრატებს ბრძოლის ბაზად მიღებული აქვთ დემოკრატიული დოგმა, ხოლო მის გარეშე მყოფი ეროვნულ დემოკრატები ამ დემოკრატიისათვის თავს არ იტკივებენ. იქვე ცოტა დაბლა ბ. მანველიშვილი ამტკიცებს, რომ სწორედ ცენტრში მყოფ ერ. დემოკრატებს ახლიად დაუფრთხილ დემოკრატია და ე. პატაროძეს წიგნიც დაუწერია ამის შესახებ. „ეს იყო ის წრე, სწერს ჩვენი „ფაშისტი“, რომელიც დემოკრატიის დოქტრინას პრესაში გააფთრებით იცავდა, ახლა კი უარყოფაც პირველი მათგან მივიღეთ. ეს მოვლენა აქ იმიტომ დავასახელებთ, რომ ამ წრემ, რომელსაც აქამომდე ფიზიკურად ჰქონდა გაწყვეტილი კავშირი ეროვნულ დემოკრატიასთან, ეხლა იდეოლოგიურადაც გასწყვიტა“. ამას თუ დაუმატებთ იმ გარემოებას, რომ სწორეთ ამ წრემ რამდენიმე წლით კიდევ ადრე გამოსთქვა თავისი უარყოფითი შეხედულება პარლამენტარიზმზე და დემაგოგიურ დემოკრატიზმზე და ეს აღბეჭდილია ჩემს მოხსენებაში, ჟურნალში და კიდევ ცალკე გამოცემულ ჩემს წიგნაკშიაც, თქვენ დაინახავთ, რომ ბ. მანველიშვილს გამოუვალ ლაბირინტში შეჰყავს თავისი თავი. ცენტრს დემოკრატიული დოგმა მიუღია ბაზად. იქ მყოფ ერ. დემ. ამ ბაზაზედ დგანან, მისი გარედ კი ამ დოგმას დაშორებულან. ამავე დროს ცენტრში მყოფ ერ. დემოკრატებს თავიდანვე გადაუხვევიათ ამ სავალდებულო ბაზიდან და იქვე რჩებიან, მაგრამ რაღვან დემოკრატიულ ბაზას დაშორდნენ, ამით იდეოლოგიურადაც გასწყვიტეს ყოველგვარი კავში-

რი იმ ეროვნულ დემოკრატებთან, რომელნიც ცენტრის გარეშე და დემოკრატიულ ბაზას არ ლებულობენ! სწორედ ამაზედ უთქვამს ბრძენ სულხან ორბელიანს: „მოუხინჯავსა სიტყვასა ჩხავილი სჯობან ტურისა“.


ჩვენი „ფაშისტი“ თვითონ ქსოვს ასეთი დაბნეულობის ბადეს, თორემ სად გაუფიქრა მას ცენტრში და მის გარეშე მყოფ ერ. დემოკრატების დავა ამ დემოკრატიულ ბაზის შესახებ? თუ ასეთი დაპირისპირება მათ შორის ამ საგანზე, ნუ თუ მანველიშვილის მწერლობის გარეშე შეუძლებელი გახდებოდა ამის გამოძევა? საზოგადოთ, ნუ თუ ვერ გრძობს ბ. მანველიშვილი, რომ ფრიად სასაცილოა მის მხრივ ეროვნულ ცენტრის გარეშე მყოფ ეროვნულ დემოკრატების ვითომდა მფარველობა და დაცვა, როდესაც ის მათაც არა ერთხელ შეხება ისე უდიგოდ, როგორც დღეს ალ. ასათიანს და ცენტრში მყოფ სხვა ერ. დემოკრატებს. მანველიშვილის დახმარება უთუოდ არ დასჭირდება მათ, და თუ ვინმესთან რამე სადავო აქვთ, ამას უმისიოდაც კარგად განმარტავენ. ბ. მანველიშვილმა კარგად უწყის აგრეთვე, რომ ალ. ასათიანს სრულიად არ შეეხება მისი სიტყვები შესახებ ცენტრში შესვლა-გამოსვლისა. „წაჯექ-უკუჯექობისა“ და სხვ., რადგან ა. ასათიანი ეროვნულ ცენტრში ერთხელ შევიდა, ყველა სხვებზე უფრო გვიან, და იქიდან არ გამოსულა, მაგრამ მისი მუდმივი მოთხოვნილება იყფფოს და იკბინოს და სრულიად ვერ ამჩნევს, რომ მისი კბენა სხვას არას ავნებს და მხოლოდ მას ხდის სასაცილოდ. მართლა უთქვამთ: „სიძსა ქვასა ვერ დაესმის ეკლის წვერი.“

\*\*\*

ბ. მანველიშვილი ცდილობს ქვეყანა დაარწმუნოს, რომ ის და მისი „მოძრაობა“ ეროვნულ ფრონტში არ იმყოფებიან იმის გამო, რომ არ იწყნარებენ დემოკრატიულ ბაზას, ხოლო ეროვნულ დემოკრატები იქ არიან, ვინაიდან დემოკრატიული დოქტრინის გამარჯვებისათვის იბრძვიან. ეს თუ ასეა, მაშინ ისინი უკვე აღარ უნდა იყვენ ამ ცენტრში მის შემდეგ, რაც ამ დოქტრინას ვადაუხვიეს. ამას გარდა, როგორ უნდა ავხსნათ ის ვარემოება, რომ უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე ა. ასათიანი ყოველწლიურად საჯარო მოხსენებებით გამოდიოდა, სადაც ახდილად აკრიტიკებდა როგორც სოციალისტურ, ისე დოგმატიურ დემოკრატებს და ამ მოხსენებათა გარეშე კამათი ხშირად ორი და სამი სხდომა გრძელდებოდა და მომხსენებელის საპასუხოთ ზოგჯერ ათი და თორმეტი სოციალისტი გამოდიოდა და მომხსენებლის აზრებს „ფაშისტურად“ ნათლავდენ? რით აიხსნება კიდევ ის მოვლენა, რომ, როდესაც ბ. მანველიშვილი გამოსულა მოხსენებით, მარქსიზმის კრიტიკით და ფაშისმის გასაშუქებლად, მის მოხსენებას ათი და თორმეტი პირი მთლად არ ესწრებოდა და არც სოციალისტი და არც სხვა ვინმე მასთან კამათით თავს არ იწუხებდა? როგორ ხდებოდა ბ. მანველიშვილს ასეთი ამბავი, რომ ცენტრის წევრს ცენტრისავე წევრები ეკამათებოდნენ ამ საგანზე, და ამავე დროს, ეს ცენტრში შემავალი ძალები ყურს არ იბერტყავდნენ ბ. მანველიშვილის თავდასხმაზე ამ მათი „ერთად ერთი ბაზის“ წინააღმდეგ?

დიდი ვულთმისნობა არ სჭირია ასეთი მოვლენის გაგებას. მაგრამ ბ. მანველიშვილს ეს ვერ მოუხერხებია, თუ თავს გააჩვენებს ასე, და ამიტომ ორი სიტყვით განუმარტავ. ეროვნულ ფრონტში შემავალ ძალებს მრავალი აზრი და შეხედულება აშორებს და უპირდაპირებს ერთმანეთს, მაგრამ მათ აქვთ ერთი იდეა და ერთი გეგმა და სწორედ





ის არის მათი ერთობის ბაზა. ეს არის საქართველოს სუვერენობის აღდგენის იდეა, და არა მხოლოდ იდეა, ეხაზედ სატრიალებელი და საყბედო, არამედ ამ იდეისთვის ბრძოლა, ამ ბრძოლებში დაღვრილი სისხლი და ამ ბრძოლებში თავდადებულთა წმინდა საფლავები. ბ. მანველიშვილს უყვარს გუსტავ ლეზონის დამოწმება, და მას რომ ვაეგო ამ დიდი მთაწროვნის სიტყვები ამ საგანზე, მაშინ ეხლანდელ ქართული მებრძოლი ფრონტის ბუნებასაც კარგად გაიგებდა. გუსტავ ლეზონი გვასწავლის, რომ, როდესაც ერი განიცდის ისეთს საშიშროებას, რომელიც საფრთხეში ავლებს მისი, როგორც ერის არსებობას, ერის ბრძოლას და მოქმედებას ხელმძღვანელობენ სამშობლოსათვის დაღუპული გმირები და არა ცოცხლები. საქართველოს სამს აჯანყებაში და მის შემდეგ დაღუპულთ ჰქონდათ შექმნილი ეს ეროვნული ფრონტი და დაღუპულ გმირთა ლეგიონები უხილავის ძალით დღესაც მიმართავენ იმ ცოცხალთა მოქმედებას, ვინც მათ მიერ დაწყებული ბრძოლის ასპარეზზე დარჩენ. ამაში მრავალი ყოფილა და იქნება სადავო და საწინააღმდეგო, მაგრამ ყოველივე ეს წვრილმანია იმასთან შედარებით, რაც არის საერთო და განუყოფელი. ამიტომ არც მათი ერთმანეთთან დროებით დაუბრება, და უთანხმოება არის ვასაკვირველი და, კიდევ უფრო, არც მათი ხელახლა დაზავება და შეთანხმება.

შესაძლებელია მართლაც არ ესმის ეს ამბავი ბ. მანველიშვილს და მის „მოდრაობას“. ამის ახსნა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ მას და მის „მოდრაობას“ არავითარი კავშირი ჰქონია ამ ბრძოლის საქმესთან, მისი ალი არ შეხებია არც მის სულსა და არც მის გვამს, და ამის გამო მის ბუნებას ვერ განიცდის თავის არსებაში.

იქნებ ეხლა მაინც გაერკვეს ბ. მანველიშვილი ერთს უცნაურს მოვლენაში. რამდენი ხანია ის ებრძვის და ნაცარ-ტუტას ადენს ამ ეროვნულ ფრონტს, ჰკიცხავს და თან ჰკუჟას არიგებს, იდეოლოგიასაც უწყუნებს და არაფერი გაეწყო, ვერც ეს ფრონტი დაანგრია და არც იქ იწვევდა მას. ეხლა მან ამ ფრონტში მისი შესვლის პირობებიც გამოიშუშავა და უნდა ითქვას, არც ისე მკაცრია ეს პირობები. ყოველს შემთხვევაში უმთავრეს საკითხში, სოციალ დემოკრატებთან დამოკიდებულებაში, ის გაცილებით უფრო ზომიერია, ვიდრე ის ალ. ასათიანი, რომელსაც ის თავს ესხმოდა მუდამ ამ ათი წლის მანძილზე, სწორედ ამ სოციალისტებთან კოალიციაში ყოფნისათვის. ის მოითხოვს მხოლოდ, რომ სოც. დემ. ბელადებმა მოიშორონ „ფიქტიური ტიტულები“. თუ ისინი ამას იზამენ, „ჩვენ (ე.ი. მანველიშვილის „მოდრაობა“) მზად ვართ, მათივე მონაწილეობით და ხელმძღვანელობითაც ეითანშემოძღვრეთ ახლად შექმნილ ნამდვილ ერთიან ეროვნულ ორგანოში“. მაგრამ ამ ორგანოს შეუძლია მთავრობის ფიქტიური სახელიც დაიკვას, თუ კი ამას მაინც და მაინც საჭიროდ სცნობს“. მაშასადამე, ფიქციის დატოვებაზედაც აწერს ხელს და ფაქტიურ ხელმძღვანელობას ხომ თავიდანვე ულოცავს ბ. მანველიშვილი სოციალისტურ მთავრობას. მანველიშვილის ადგილზე სხვა, რასაკვირველია, სხვაფერ განსჯიდა. საზოგადოთ ვინ მოითხოვს ფიქციის მოსპობას, უკეთუ ფაქტი რჩება? ჩვეულებრივ ურიგდებიან ფიქციას, ხოლო ფაქტიურ მდგომარეობის შეცვლას მოითხოვენ. ჩვენი პოლიტიკოსი კი ფიქციას შეებრძოლა, ხოლო ფაქტს კი ამკვიდრებს და აკანონებს კიდევ უფრო, ვიდრე არსებობს ეხლა. ალ. ასათიანი და სხვა ფრონტში მყოფი ერ. დემოკრატები ასე შორს არ წასულან. სოციალისტების მეთაურებს ისინი უტოვებენ ისეთს სფეროს, სადაც მხოლოდ მათ შეუძლიათ მო-

ქმედება, როგორც ოფიციალური სახის მქონეთ, უკეთუ ამის პირობები დადგება, და ეს საქმეებიც არავისათვის სადაო არ არის, ხოლო ბრძოლისა და მოქმედების სხვა სფეროებში ისინი არავის უკანონებენ სამუდამოთ ასეთს ფაქტიურ ხელმძღვანელობას. აქედან საკმაოდ ნათლად სჩანს თუ ვინ არის შეპყრობილი „ფრონ პოპულერის“ სულისკვეთებით, ჩვენი „ფაშისტი“ მანველიშვილი, თუ დემოკრატი ასათიანი და მისი ამხანაგები.


მაგრამ ვშიშობ, რომ ბ. მანველიშვილის ასეთი ფერისცვალება საკმარისი არ გამოდგება. ეს ეროვნული ფრონტი უცნაური რამ არის, მისი საფუძველი და ნიადაგი სხვა არის, ვიდრე ეს სიტყვიერი ფორმულები და ზომიერი პირობები. სწორედ ეს სხვა რამე რომ მოეპოვებოდეს მას და მის „მოდრობას“ ის აქამდეც ადვილად მოექცეოდა ამ ეროვნულ ფრონტში და მის კარებს ვერ დაუკეტავდენ მას ვერც სოციალისტები და ვერც დემოკრატები.

\* \*

საქართველოს ნიადაგზე ბრძოლისა და მოქმედების ბუნება თუ ნათელია და ხილული ყველასათვის, ასევე ნათელია უცხოეთში საქართველოსათვის მუშაობისა და საქმიანობის ხასიათი. საჭიროა საქართველოს ბრძოლისა და მისი მიზნების სწორედ დასახვა და მისი მიეული კაცობრიობის წინაშე გადაშლა. სწორედ ამ მართალი სურათის გამოფენაა საჭირო და საუფროთ საკმარისი. ჩვენ არც ტრაბახი გვჭირიან და არც ზღაპრების შეთხზვა, ვინაიდან თვით ეს ბრძოლაა დიდი და ამალღებული და მისი მეტბრძოლი კიდევ სასახელო და ამ საყოველთაოდ ზნეობრივად დაცემულობის დროისათვის ზღაპრულადაც მოსაჩვენებელი. ასეთი საქმე ჩვენ მეგობრებს შეგვძენს, თანამგრძობთა და დაშხმარეთ. ამასთან ერთად საჭიროა კეთება იმისა, რასაც ჩვენი ერი აკეთებს მოსკოვის სატრაპიის საშინელს პირობებში. ის ცდილობს მის ბედში მყოფ მეზობლებთან დაკავშირებას და სხვა შორეულ ერებთანაც, რომელნიც მასავით განიცდიან მოსკოვის უღელს და მისგან განთავისუფლებისათვის იბრძვიან.

რასაკვირველია, უმჯობესია, უკეთუ ასეთი მუშაობის ასპარეზზე გაერთიანებული იქნებიან ყველა ქართული ძალები უცხოეთში. მაგრამ თუ ეს ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა სხვა და სხვა მიზეზთა გამო, ამ მუშაობის წარმოება ასეთ გაერთიანების გარეშეც შეიძლება და ამის გზებს ქართველი სოციალისტები ვერავის „დაუკეტავენ“. როგორც ამაზე სჩივის ბ. მანველიშვილი. მაგალითად მოვიყვან მისგან ათვალისწინებულ ა. ასათიანს და მის მეგობრებს. ისინი ასეთს პოზიტიურს მუშაობას ეწეოდენ და ეწევიან მუდამ, არიან ისინი სხვებთან ერთად ეროვნულ ცენტრში თუ არა. ეროვნულ ცენტრში შესვლის შემდეგ ამათ არავითარი ახალი საქმეები არც გამოუწყიათ და არც სხვებს ჩაუბამს ისინი მათთვის უცნობ საქმეებში. სხვებთან ერთად აკეთებენ იმას, რასაც წინათ საკუთრივ აკეთებდენ. მეორე და, მანველიშვილისათვის უფრო მჭრელი საბუთი იქნება თვითონ ის და მისი „დარაზმულობა“. ის თვითონ აღნიშნავს თავის გაზეთში ერთს უცხო ქვეყანაში მის მიერ ნაწარმოებ მუშაობისა და „ბრწყინვალე“ მანიფესტაციათა სურათებს. მამასადამე მისთვისაც ვერავის „დაუკეტია“ ეს გზები და სხვას როგორ დაუკეტავდენ.

ესლა როგორია ეს მისი მოღვაწეობის ბუნება და მისი „მოდრობის“ მუშაობა უცხოეთში? ამაზედ გვიპასუხებს თვით მანველიშვილი ამაყად და თავმომწონედ: — „ჩვენ არ ვეკუთვნით იმ წყებას



მოღვაწეთა, რომელთა წინააღმდეგობა ურთიერთისადმი მხოლოდ განიულ ზიზღსა და ფიზიკურ სიძულვილში გამოიხატება... არც ისეთებს, რომელთა მოქმედების საზომი წუთიერი ვნებათა ღელვა ან წარმავალი ანგარიშებია... არც იმათ, ვინც მოწინააღმდეგე მოძმის გაკიცხვისა და დამცირებისათვის ხატსაც შეურაცხყოფს“ და სხვ. და სხვ.

ბრძენთაგან თქმულა: მოღვაწეობის სახელი გვირგვინად თავსა დაიდგმის. მანველიშვილმა თვითონვე დაიდგა ეს გვირგვინი თავსა თვისსა და, როგორც ხედავთ, ძვირფას თვალმარგალიტებითაც მოკვდა. მაგრამ შეეფერება კი მთელი მისი „მოღვაწეობა“ ამ, მის მიერ მოკაზმულ გვირგვინს? ჩვენ, ცოდვილთ, ჯერ არა გვინახავს რა მის „მოღვაწეობაში“ გარდა თავისა და სხვათა ნაგავში ხელების ფათურისა და ყველასი ლანძღვა-თრევისა, ზიზღისა და ღვარძლისა. ამ თავის „მოღვაწეობაში“ მას არასოდეს გახსენებია ბრძნული თქმულება, რომ „ღვარძლის მთესველი ვერ მომკის იფქლსა ბასრისა ცელითა“.

მაგრამ დღემდე მისი ასეთი „მოღვაწეობა“ შინაურულის, ქართული წრით განისაზღვრებოდა, და ის უთუოდ სწამლავდა ისედაც დამძიმებულ ჩვენი ცხოვრების ატმოსფეროს, მაგრამ ეს სინამდვილე სხვას მაინც არ სწვდებოდა და უცხოელებთან დამოკიდებულებას არ გვიწამლავდა. დღეს თვით მანველიშვილი გვამცნობს თავის გაზეთში, რომ ასეთი მისი მოღვაწეობა სხვა ქვეყნებშიც არის გატანილი და თურმე პოლონელი ჟურნალისტიც „აღნიშნავს მისი ორგანიზაციის მნიშვნელობას და აქტივობას რომში“. ეს აქტივობა გამოიხატა იმაში, რომ „ჩვენმა მეგობრებმა რომში ამა წელს არაჩულებრივის პატივით გადაიხადეს ჩვენი დამოუკიდებლობის 20 წლის თავიო“. ამ საგანზე უხერხულია აქ წერა, ვინაიდან ის შეეხება ისეთ პირთ, რომელნიც ამ საქმეში ღებულაობდნენ მონაწილეობას, როგორც საქართველოს თანამგრძობნი და მეგობარნი, და არა როგორც მანველიშვილის „მეგობრები“, და მათ, რასაკვირველია, არავითარი წილი არ უღვევთ მანველიშვილის ტრაზახსა და ცულლუტობაში. ისინი არა თუ მისი „მეგობრები“ არ არიან, არამედ თვალითაც არასოდეს უნახავს მას. შეიძლება ერთი იტალიაში მცხოვრები ქართველიც ამ მომწყობთა წრეში ჩაითვალოს, მაგრამ, ვგონებ არც ის უხილავს ოდესმე მანველიშვილს. ამ მანიფესტაციის ფრიად თვალსაჩინო პირები დაესწრვო. რასაკვირველია, და ეს სავსებით ბუნებრივია, მაგრამ ეს არც მანველიშვილისა და არც მისი „მოდრაობის“ ხათრით, არამედ ქართველი ერისადმი სიმპატიისა და მისი ბრძოლისადმი ინტერესის გამო. ამ პირთა ასეთს მოქცევას ღირსეული დაფასება შეჰქმენის და არა მისი გამოყენება წვრილმან კინკლაობისა და წვრილმან ანგარიშებისათვის.

მანველიშვილი მეორე თავის „აქტივობასაც“ აღნიშნავს და ეს კი უდავოდ მას უნდა მიეკუთვნოს. საქართველოს მეგობარ პოლონელ ჟურნალისტისათვის ისეთი დახასიათება მიუცია თავისი „თეთრი გიორგულ“ მოძრაობს შესახებ, რომ უკვე მოსაკონიც აღარ არის ის. კვენა და ტრაზახი, რომელსაც ის ქართულად ეწეოდა მუდამ. თურმე იტალიის მთავრობას მონოპოლია მიუნიჭებია ამ „მოდრაობისათვის“ იტალიაში და მის პრესაში მუშაობისათვის. თურმე მას ჰყოლია უკვე პრეტენდენტი საქართველოს ტახტზე და ეს იტალიასაც უცვნია. მას შემდეგ, ამ ჟურნალისტის წერილში გაშუქებულია ჩვენი შორეული და ახლობელი წარსულის ზოგიერთი მომენტები, ზოგი სავსებით სწორი, და ზოგი კიდევ ცალმხრივი. ეს ნაწილი წერილისა, რომელიც უფრო ქართველ სოციალისტებს ეხება, მანველიშვილს სავსებით მოჰყავს.

თავის გაზეთში და მას საბუთად იყენებს. რა „მოღვაწე“ უნდა იყოს ის ქართველი მოღვაწე, რომელიც თავის სოციალისტების დაფასებისათვის საკუთრივ ვერ გამოიხატავს საკმაო მასალას და უცხოელის მიერ მგზავრობაში და სახლანელოდ გაგებულ ამბებს დაემყარება? მაგრამ ყველაზე უფრო დამახასიათებელი ის არის, რომ მსხველიშვილი ხმა-საც არ იღებს იმის შესახებ, რაც მასზედ და მის „მოდრაობაზედ“ იყო დაწერილი პოლონელ ჟურნალისტიკის წერილში და რაც ყალბია და თავიდან ბოლომდე შეთხზული და ბოროტი განზრახვით მიწოდებული. სწორედ ამის უარყოფა და ამის გასწორება იყო საჭირო საყოველთაოდ მიღებულ ზნეობრივ ნორმათა მიხედვით. ნუ თუ ეს მაინც ვერ გაიგო მან, რომ იტალიაში ჩვენი საქმის თანამგრძობ წრეთა კეთილშობილურ განწყობილების ასე ბოროტად გამოყენება, რასაკვირველია, ვნებს ჩვენ საქმეს და ჩვენ ქართულ ღირსებას, მაგრამ კიდევ მეტად ვნებს თვითონ მის პიროვნებას და მის „მოდრაობას“. ბრძენთ უთქვამთ: კაცურსა კაცსა ტყუილი არ ჰმევენის, არად არაო. სამწუხაროდ აქ მარტო ტყუილი არ არის, არამედ ბევრად უარესი.

\*  
\*  
\*


ზემოთ მოხსენებული მხოლოდ მკრთალი ლანდია მანველიშვილისა და მისი „მოდრაობის“ ნამდვილი ბუნებისა. ქვემოდ ჩვენ დავინახავთ, თუ რამდენად დამორებული, და არა მარტო დამორებული, არამედ სავსებით დაპირისპირებულია ამ პიროვნების „მოღვაწეობა“ არა მარტო ქართულ ფრონტს, არამედ მთლიანად ქართველ ერსა და მის ზრახვებს, და ასევე, არა მარტო ინტეგრალურ ნაციონალიზმსა და ფაშისტურ იდეას, არამედ სრულიად მდაბიო და ყველასათვის სავალდებულო პატრიოტულ სულისკვეთებას და ზნეობას.

26 მაისს ეს ვაჟბატონი საგანგებო წერილს უძღვნის და ამ „სადღესასწაულო“ წერილში საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს და მთლად მის დამოუკიდებლობას შემდეგი სიტყვებით ამკობს: „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ხელი მოაწერეს სოციალ-მარქსისტებმა... სამარცხვინო დამოუკიდებლობა სამარცხვინოდ დასრულდა“.

ასეთი ლაფის გადასხმა საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი დროშის ჯერ არც ერთ ქართველს არ გაუბედნია. არ გაუბედნიათ ეს თვით იმ ქართველ კომუნისტებს, რომელთაც რუსის ხიშტები შემოიყვანეს საქართველოში და მისი დამოუკიდებლობა შემუსრეს. პირველ წელს მათ დღესასწაულადაც კი მიიჩნიეს 26 მაისი, როგორც გამომსახველი ქართველი ერის ერთსულოვანი ნებისყოფისა.

26 მაისი და საქართველოს დამოუკიდებლობა მიიღო ქართველმა ერმა მთლიანად და ერთსულოვნად. არ გამოჩენილა სულ მცირე ჯგუფიც, რომელსაც გაებედოს ახლიად მისი შებრძოლება და წინააღმდეგობა. ეს აქტი დამტკიცა მთელმა ერმა და ფრიად მძიმე საგარეო და საშინაო პირობებში იბრძოლა და იმუშავა მისი განმტკიცებისათვის. რუსეთმა დაამხო საქართველოს დამოუკიდებლობა და მისი 26 მაისი. ქართველი ერი იბრძვის მის კვლავ აღდგენისათვის, და ამ ბრძოლებმა იმსხვერპლა ეკლესიის მეთაურები, გენერლები, ასობით ოფიცრები, პოლიტიკურ პარტიათა მრავალი მეთაურები, მეცნიერები, ხელოვანნი და მრავალი ათასი კულტურული მოღვაწენი, გოიჩიბი და მუშები. მანველიშვილ - დოლიძე ლაფს ასხამს მთელი ერის და მის თავდადებულ შვილთა ამაღლებულ იდეალს და მისთვის დაღვრილ წმინდა სისხლსა და წმინდა საფლავებს!

ქართველი „პატრიოტი“ რომ ასე გაუმასპინძლებდა თავის ერის



წმინდათა-წმინდას, ჭეშმარიტად, ძნელი დასაჯერებელი ამბავი. მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა, და სამარცხვინოდ ჩვენი ემიგრანტულ საზოგადოებრივობისა, ეს სინამდვილე და შავით თეთრზე აღბეჭდილი მანველიშვილის პატრიოტულ „მოდრაობის“ ფურცლებზე!

ჩვენს ემიგრაციაში მრავალ თავ-აწვებულობას ჰქონია ადგილი და ეს ვაჟბატონიც ამან გაათამაშა, მაგრამ ერთი კითხვა მაინც დაუსვას მან თავის თავს: როგორ პასუხს მიიღებდა ასეთი რამის მქადაგებელი უფრო მტკიცედ დალაგებულ საზოგადოებაში და, მით უმეტეს, იმ ფაშისტურ ქვეყნებში, რომელთა მაგალითებზე მითითებას სწირად ჰბედავს ეს ჩვენი „უცნაური“ ფაშისტი. რასაკვირველია, ამ ვაჟბატონის მიერ აღმონანთხევი ეს სიბინძურე ვერ მისწვდება ჩვენი ერის ამ ბრწყინვალე და სასახელო აქტების სიმძლავსს, და მის პატარა არსებას. დაეხიხევა თავს და შეჰპყროვას ღირსეულად. ასეთ „მოღვაწეობაზე“ უთქვამს დიდს შოთას: „მტერი მტერსა ვერა ავენებს, რომელ კაცი თავსა ავენებს“.

მანველიშვილი არ სჯერდება ამ წმინდა რუსულ ნილილიზმსა და გვამცნობს, რომ მისმა „მეგობრებმა“ „რაჩვეულებრივის პატივით“ გადაიხადეს რომში 26 მაისის 20 წლის თავი! სად გაგონილა „სამარცხვინო“ საქმის დღესასწაულობა და ისიც არაჩვეულებრივის პატივით! თუ ეს 26 მაისი სამარცხვინოა და სათაკოლო მისთვის და მისი „მოდრაობისათვის“, როგორ გახდა ის სასახელოდ და საზეიმოდ „მისი იტალიელ მეგობრებისათვის“? ნუ თუ ვერ ხედავს ეს ვაჟბატონი, რომ ამ დღესასწაულის მომწყობნი ვერ იქნებოდნენ მისი „მეგობრები“ და ვერც მისი თანამოაზრენი ამ დღესასწაულის დაფასებაში.

მაგრამ ეს წვრილმანი ამბიციებით გაპენტილი „მოღვაწე“ არ კმაყოფილდება ჩვენი ერის წარსულის ბრწყინვალე დატების გათახსირებას და ასევე გვითახსირებს მომავლის ძალად იდეალებს. საქართველო იბრძვის და უამრავ მსხვერპლს იღებს დაკარგულ დამოუკიდებლობისა და მისი 26 მაისის აღდგენისათვის. მაგრამ მანველიშვილისათვის „სამარცხვინო“ იყო ეს დამოუკიდებლობა და ასევე სამარცხვინოა მისი აღდგენისათვის წარმოებული ბრძოლა, რადგან ამ ბრძოლას ეწვეიან სხვები და არა ის და მისი „მოდრაობა“. ნათელია, რომ ისიც სამარცხვინოდ უნდა დასრულდეს. და ის მართლაც ასე სახავს ყველას წინაშე ჩვენი ერის სასახელო ბრძოლებს. ერთს პატარა იტალიურ გამოცემაში, „ნოტიცარე ორიენტალე“, სადაც დაბეჭდილია სომხებზე, აზერბეიჯანელებზე, უკრაინელებზე და ყაზახობაზე ფრიად ღირსეული წერილები, მანველიშვილის ერთი ამყოლ-დამყოლი საქართველოზედაც ათავსებს პატარა წერილს და ეს პირველი წერილი მიძღვნილია „თეთრ გიორგულ მოძრაობისათვის“. ეს ვაჟბატონი არწმუნებს იტალიელებს, რომ უკანასკნელი ჩვენი აჯანყების შემდეგ სრულიად განადგურებულ იქმნენ ქართველთა მებრძოლი პოლიტიკური და სამხედრო ძალები, და ამის შემდეგ უცხოეთიდან მოევლინა ჩვენს ერს „თეთრი გიორგის“ მოძრაობა და მოჰფინა საქართველოს ყველა კუთხეები თავის ორგანიზაციებით! ნუ თუ მართლაც ჰგონია ბ. მანველიშვილს, რომ მისი „მეგობრები“ დაიჯერებენ ასეთ ბრყვეულ ლათიებს? ჩვენ საკმაო საბუთები გვაქვს ვიფიქროთ, რომ ასეთი ბრყვები არ მოიპოვებიან იტალიელთა თუ სხვა ერთა იმ წრეებში; რომელნიც დაინტერესებული არიან ჩვენი საკითხით და ქართველი ერის ბრძოლას თვალყურს ადევნებენ. თვით კომუნისტურ პრესიდან დებულობენ ისინი საკმაო ცნობებს იმის შესახებ, რომ აჯანყებათა დროს და-

ლუბულ მამულიშვილებით არ დაშრეტლა ჩვენი ერის სასიცოცხლო ძალები, და ეს ბრძოლა კვლავ გრძელდება. ასეთი წყაროდანაც გაუგონიათ მათ სამშობლოსათვის თავდადებულთა სახელები და მათი ვინაობა, და საქართველოს აღდგენისათვის მრავალ ათას ქართველთა სიაში ერთად ერთიც არ შეხვედრიათ მანველიშვილის თეთრ გიორგელოს სახელი. როდესაც „პატრიოტულ მოძრაობის“ ბელადი უცხოელებს არწმუნებს, რომ ასე სამარცხვინოთ დასრულდა საქართველოს სისხლიანი ბრძოლებიო, ზოგიერთმა, ვინც საქმეში არ არის ჩახედული, იქნებ კიდევაც დაიჯეროს. მაგრამ ამის შემდეგ ვინ უნდა ირწმუნოს, რომ თუ ათ ათას სამშობლოსათვის დაღუპულს თვით ერში არ გამოუჩნდა ბრძოლის გამაგრძელებელი და გამწევი, რის მაქნისი და შემძლე იქნებოდა კარტიე ლატენის პატარა ოთახში შექმნილი მანველიშვილის „მოძრაობა“? მანველიშვილი უთუოდ დარწმუნებულია, რომ თუ ასეთ სიბრყივეს სადმე დაუსტამბავენ, ეს იმას ნიშნავს, რომ მას დაიჯერებენ. ეს ასე არაა. ხშირად აშკარა სისულელესაც უთმობენ ადგილს პრესაში იმისათვის, რომ ამ სისულელემ გონიერი და სალი ამბავი გამოიწვიოს, და გაამყლავნოს.

მანველიშვილი დარწმუნებულია, რომ ასეთი მისი ბოროტი სისულელე მას დაუჯერეს და ამის შემდეგ მათ კიდევ უფრო ბრყიველ ამბებში არწმუნებს: „ჩვენ აღვადგენთ საქართველოს, ჩვენ გარდაქმნით საქართველოს, ჩვენ შევქმნით“... ჩვენ, ჩვენ, და კიდევ ჩვენ! ვინ ჩვენ? ვკითხოთ ამ ვაჟბატონს. „ჩვენი სახელია თეთრი გიორგი“ — ვიპასუვნებს ის. მანველიშვილი რომ თეთრი გიორგის ჯგუფუა და შეიძლება ჩაითვალოს მისი ზრახვების გამომხატველად, ამის სარწმუნო საბუთი მას არ მოჰყავს და ვერც წინეთ მოუყვანია. მაგრამ ამ საკითხს ჩვენ აქ არ ვიკვლევთ. ჩვენ გვინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება მხოლოდ ახალსა და კიდევ უფრო უცნაურ ამბავს. მანველიშვილი ერთსა და იმავე დღეს სამარცხვინოდ აცხადებს და კიდევაც „არაჩვეულებრივის პატივით“ დღესასწაულობს მას და თავის „მოძრაობასაც“ ამ სამარცხვინო დამოუკიდებლობის ემბლემას „თეთრი გიორგის“ სახელს უწოდებს! მაგრამ ამით ის კიდევ არ აღწევს თავის ცინიზმისა და ნილილიზმის უმაღლეს წერტილს. ასეთ მწვერვალს გადალახავს ის, როდესაც გვიხასიათებს თავის თეთრ გიორგის. „თეთრი გიორგის შუბი იღესება!“ ... „და ერთ დღეს ის სისხლით შეიღებება!“ ... „თეთრი გიორგი გადაეშვება ანთებულ ბრძოლაში და გამარჯვებაც მას დარჩება“. როგორ? ათი ათასი ქართველი მამულიშვილი დაიღუბა საქართველოს აღდგენისათვის წარმოებულ ბრძოლებში და თავის სისხლით შეღება მთელი საქართველო კიდით კიდემდე, და ეს თქვენი „თეთრი გიორგის შუბი“ ჯერ კიდევ ვერ გალესილა ამ ოცი წლის განმავლობაში, და ჯერ კიდევ სისხლით არ შეღებულა, და ბრძოლაშიდაც არ გადაშვებულა? რა საცოდავი, გლახაკი და დეზერტირი ყოფილა ეს მანველიშვილის „მოძრაობის“ ბელადი, მისი „თეთრი გიორგი“!

საბა - სულხანი გვაწავლის: „ყვავისა კვერცხი ყვავსა შობს“! ჭეშმარიტად. მანველიშვილ - დოლიძის „მოძრაობამ“ შვა ასეთი მოძრაობის შესაფერისი სიმბოლო ლაჩრობისა და სიგლახაკისა!

\*\*\*

უთუოდ ბევრს გააოცებს, რომ ჩვენ ასეთი ყურადღება მივაქციეთ მანველიშვილ - დოლიძის „მოღვაწეობას“. მაგრამ ჩვენ ასე მოვიქციეთ, ვინაიდან ჩვენ ვიყოფებით ემიგრანტულ ცხოვრების ფრიად არანორმალურ და დასნიულებულს ატმოსფერაში, და ეს კიდევ ჰქმნის ხელსაყრელ პირობებს მსგავს მოვლენათა აღმოცენებისა და გაფურ-

ჩქენისათვის. მრავალ არა ბუნებრივ ამბავსა და მოვლენას ჰქონია აქ ადგილი, და, შესაძლოა, მოხდალშიაც ექნეს. ამიტომ საჭიროა მისი თვალსუფრის დევნება და დროზედ აღკვეთა. ჩვენ არა ერთხელ შევხებ-ბივართ და საკმაო მკაცრადაც ქართული სოციალისტური წრეების ზოგიერთ ისეთ წესსა და აზრს, რომელიც არ უდგებოდა ჩვენი ეროვნული ბრძოლის ბუნებასა და ხასიათს. ჩვენ ასე ვიქცევით მაშინაც კი, როდესაც კოალიციაში ვიმყოფებით ამ ძალებთან. ჩვენი მოვალეობაა დამოვიჩინოთ სათანადო ძიუღდომლობა და ასევე მოვექცეთ სხვა წრეებს, სულ ერთია რომელ პატრიოტულ დროშის ქვეშ ამფარებენ ისინი თავის ანტიპატრიოტულ საქმეს, და მით უმეტეს, როდესაც ეს ისეთი განუკურნავი ჭირის სახეს ღებულობს, როგორც ეს „მანველიშვილის „მოდრაობის“ ამბავია, მართალია, ამ ზომად მიძიმე სნეულება ვერ განიკურნება მისი ბუნების მხოლოდ აღწერით, მაგრამ ეს საჭიროა სხვათა გასაფრთხილებლად. ქართულ ემიგრაციაში, ღვთის მადლით, მყარდება გაჯანსაღებული ატმოსფერა ერთმანეთის გაგებისა და შეთვისების. ყოველივე, რაც კვლავ აღრევს და მოწამლავს მას, უნდა ხილული იყოს და ბუნება მისი ყველასათვის ცნობილი, რომ ყველამ შესძლოს მისგან თავის დარიდება. ეს საგრძნობლად შეამცირებს მის გასაქანსა და ბოროტ გავლენას ქართულ შინაურობაში, თუ მის გარემოში. რუსთველმა ბრძანა: მოყვარე, მტერი ყოველისა, მტრისაგან უფრო მტერია.

მეორეს მხრივ ჩვენთვის საკმაოდ ნათელია ის მიზანი, რომელიც აქვს დასახული მანველიშვილის ასეთ მოღვაწეობას. მას სურს მიიქციოს ყურადღება შინ და გარედ, რომ მას ფასი დასდონ და ანგარიშში ჩააგდონ. მისდა საუბედუროდ მას არ ჰქონია ნიჭი სრულიად მარტივი ანგარიშისა და, როგორც ზევით დავინახეთ, ასეთი ნიჭი ადამიანისათვის მას ფრიად ღიდ ცოდვათაც მიაჩნია. და ასეთი მისებური უანგარიშო ანგარიშით მას გამოუმუშავებია თავის მოღვაწეობის ასეთი გეგმა: მორიგებით ყველას ძაგება, ყველას გინება, ყოველგვარი ბრძოლისა და მოქმედების გათახსიოება და მით ნიადაგის შემზადება, რომ ვინმე გულუბრყვილომ ფასი დასდოს და დაიჯეროს მისი და მისი „მოდრაობის“ მომავალი მისია სამარცხვინო საქმეთა გამოსწორებისა, წაქცეულ ქვეყნის აღდგენისა და განდიდებისა. ეს მისი დაუსრულებელი თვითგაბერვა და ტრაბახი ისე რომ სწარმოებდეს, რომ ქართველ ერსა და მის ღირსებას არ ლახავდეს, და ეს პატარა ტარასკონელი ლომებზე ნადირობის ზღაპრებით რომ კმაყოფილდებოდეს, ამაზედ თავს აბა ვინ შეიწუხებდა? ათი წლის მანძილზე სწარმოებს მისი ასეთი „მოღვაწეობა“, და აქამომდე მოთმინებით უცადეთ. ვფიქრობდით, რომ თვითონ მსხედებოდა, რომ ასეთი მოქმედება ფრიად მავნებელია ჩვენი საერთო საქმისათვის და ამასთანავე პირადი ანგარიშების მხრივაც მას ღიდს ვერაფერს შესძენს. მაგრამ არა გაეწყო რა და რაც დრო გადის ამ ვაჟბატონის „პატრიოტული მოღვაწეობა“ უფრო და უფრო უწყსო და უზუნეო ხდება. ამიტომ არავის უნდა გაუკვირდეს, რომ ამჟამად საჭიროდ დავინახეთ მისი და მის „მოდრაობის“ სულიერი და ხორციელი ბუნების გაშიშვლება და ამ მომხიბლავი სანახაობის საზოგადოების წინაშე წარდგენა. იქნებ ამან მაინც მოახდინოს გავლენა და ასეთი გეზით სვლა დასტოვოს, და, თუ ესეც არ უშველის, მისი მავნე საქმიანობის ასპარეზი მაინც იქნება შეზღუდული და მისი მავალითიც სხვებისათვის გაფრთხილებად გამოდგება.

ვინაიდან ამ ვაჟბატონის მოქმედების ერთად ერთი ფარ-ხმალი რაიარალია სხვებზე ინსინუაციები და ჭორები, ხოლო თავის თავზე კიონხა და ტრაბახი და თვით გაბერვა, რომ ამით ვინმე შეაცდინოს და გააბრი-

ყვოს, საჭიროა ამის საჯაროდ დადასტურება. ასეთი დადასტურება ჩქარდება, უკეთეს შემოდ მოხსენებულს ის აღარ შეედავება და მით მისი ძიაროთლეს სცნობს. უკეთეს ამას არ ინებებს, მაშინ მე წინადადებას ვაძლევ ვადაეცეს ეს კითხვები მსჯავრის ვამოსატანად ისეთ ორგანოს, რომელშიდაც ჩვენ არც ერთ პირსაც არ ვადავასახელებთ. მაგრამ ასეთ ორგანოს ძიებაზედაც რომ დრო არ ვადავკარგოთ, ჩვენ თანახმა ვართ ამ საკითხებზე თავის მსჯავრის ვამოტანა მიენდოს მანველიშვილის „მოძრაობის“ „მონათესავე დაჯგუფებების“ მეთაურთა კრებულს. ამ მისი „მონათესავე დაჯგუფებებზე“ ის თვითონვე ვვამცნობს ამაყად თავის ვაზეთის ფურცლებზე. ამ რიგად, ჩვენ თანახმა ვართ თვით მისი „მონათესავე“ დაჯგუფების მეთაურებმა ვასცენ პასუხი, და ან ჩვენ ვაგვამტყუნონ და ან მანველიშვილი და მისი მოძრაობა, — შემდეგ დებულეებებს:

1. მანველიშვილი და მისი „მოძრაობის“ მოღვაწეობა სახელს უტრებს, ამადაბლებს და ამაძირებს შინ და ვარეთ ქართველი ერის ღირსებას და მის ბრძოლის საქმეს.

2. მას არ შეუტყმნია და არ ჰყავს „თეთრი გიორგის“ და ან სხვა რაიმე „მოძრაობა“. ვარდა თავის თავისა და კიდეც რამოდენიმე პირისა.

3. მისი „მოძრაობის“ არსებითი ბუნება არ არის ფაშისტური, არამედ სრული მისი წინააღმდეგობა. ამ ფაშისტურ ნაციონალიზმის ბუნებასთან ვაცილებით მასზედ ახლო დვანან საქართველოს აღდგენისათვის მებრძოლი ყველა ძალები, და თვით სოციალისტები, და თვით ის ქართველი კომუნისტებიც, რომელნიც ასეთი ბრძოლის ასპარეზზე ადადგენ.

4. ის და მისი „მოძრაობა“ სახელს უტრებს უცხოთა წინაშე საქართველოს ბრძოლის საქმეს და ასევე სახელს უტრებს ქართველთა წინაშე ფაშისტურ მოძრაობას, იმდენად, რამდენად მანველიშვილი ცდილობს რომ თვითონ ის იქნეს მიჩნეული ამ ფაშისტის მოღელად.

5. მას არ ჰყავს არავითარი „მებრძოლი ახალგაზრდობა“, არამედ შეიძლება რამოდენიმე ვლახაგაზრდობა. საქართველოს ბრძოლების ცეცხლში ვანველილი ახალგაზრდები სხვაგან არიან, და მათ შორის მრავალი მანველიშვილის კბილა და კიდეც უფრო ახალგაზრდა, რომელმაც ცირსეული კვალი დასტოვეს საქართველოს ბრძოლებში.

6. მისი დაჯგუფი შესდგება რამოდენიმე პირისაგან და ყველაზე საცოდავია როგორც იდეურად, ისე რიცხობრივ მხრივაც თვით აქ, ემიგრაციაში წარმოშობილ დაჯგუფთა შორის.

სხვები რომ არ შევაწუხოთ, მანველიშვილი სწერს, რომ ეროვნულ ცენტრთან ეროვნულ დემოკრატიებისაგან „ორიოდე პიროვნება დარჩაო“, და ჩვენც თანახმა ვართ ვავყოთ ეს „ორიოდე პიროვნება“ ათ ნაწილად და ერთს მეთაღეს მივანდოთ, მანველიშვილის „მონათესავე“ დაჯგუფებათა თანდასწრებით, ერთგობაზე ხელით აზიდვა მეხუთე სართულზე მთელი მანველიშვილის „მოძრაობისა“, (თუ ვინმე აქ არ ჰყავს, მისი წონა ქვის), ხოლო პასუხს ვერ ვაგებთ, უკეთეს ასეთი ოპერაციის შემდეგ ისინი დაუწყებლავენ მის „მოძრაობას“ ზოგიერთ რბილ ადგილებს.

მკითხველი ადვილად დაინახავდა, რომ ამ ვრცელი წერილის საგანი არ არის ბ. მანველიშვილის პიროვნება, და მასთან რაიმე პირადული ანგარიშები არც მქონია ოდესმე, არამედ ის სენი, რომლითაც ის არის შეპყრობილი. ხოლო ეს სენი ფრიალ ვარგ ნიადაგს პოულობს ჩვენს ემიგრანტულ არა ნორმალურ ვითარებაში და საჭირო ვახდა მისი ბუნების უფრო ვრცელი ვამუქება და ვამომყდავენება. ამასთან



ერთად, ვფიქრობთ, რომ საკმარისად ნათელიყოფილია ჩვენი განზრახვისუფლებელი ბრძოლისა და საქმის სალი გზა და მიმართულება. მანველიოშვილსა და მასავით ასეთი სენით შეპყრობილებს ჩვენ ამ გზაზედ დადგომას მოუწოდებთ და ეს არასოდეს არ არის დაგვიანებული. გუროამიშვილთან ერთად ჩვენც ვეტყვიტ მათ:

„გიოჩევე ნუ აქცევე ზღუდესა შენს ზურგის მისაყუდესა“.

აღ. ასათიანი

### ქართული სიმღერა საზოგადოებოში

ვასულ 21 ნოემბერს შესრულდა 15 წელიწადი მას შემდეგ, რაც ლოტბარმა ბ. პ. მოსულიშვილმა გამართა სორობონის შენობაში პირველი რეპეტიცია ახლად დაარსებულ ქართველ მომღერალთა გუნდის და ამით საძირკველი დაუდო ამ ფრიად მნიშვნელოვან ქართულ საქმეს უცხოეთში. რვა თვით ადრე ასეთივე გუნდი მოეწყო მას სტამბოლში, რომლის გამოსვლა მოხდა „მასკოტის“ დარბაზში (პერაზე) 26 თებერვალს, 1923 წ. ძნელი იყო ამ საქმის დაწყება მით უფრო საფრანგეთში, რივიან ხმების და სიმღერათა პარტიტურის უქონლობის გამო, მაგრამ მოსულიშვილის ენერგიამ ეს დაბრკოლებაც გადალახა, — მუდმივი ვაოჯიშობით ხმებს მისცა დისციპლინა, გამოიხარა ნოტები, დაალაგა სიმღერები და საგალომელნი. რასაკვირველია, ჩვენი ემოგრანტული ცხოვრების პირობებში ფრიად ძნელი იყო ამ საქმის სასურველ დონეზე დაყენება, მაგრამ, ის, რაც გაუკეთებია ბ.ნ მოსულიშვილს 15 წლის განმავლობაში საყურადღებოა და მნიშვნელოვანი ჩვენთვის. შეიძლება ითქვას, რომ ესლა ფრანგებს შედარებით უფრო კარვად აქვთ გაცნობილი ქართული სიმღერა და მოსწონთ კიდევ, როგორც ეს არა ერთხელ იქმნა აღნიშნული პრესაში.

აი მოკლე ცნობები ქართულ გუნდის საჯარო გამოსვლისა პარიზში. მოსულიშვილის მიერ გავარჯიშებულ გუნდის პირველი კონცერტი გაიმართა ქართულ საქველმოქმედო საღამოზე 26 იანვარს 1924 წ. ს. სულპისის მუნიციპალიტეტის დარბაზში, ვიკტორ ჰიუგოს დარბაზში ორჯერ — 26 იანვარს 1925 წ. და 9 მარტს 1926 წ.; გავოს დარბაზში 13 მარტს 1925 წ. „გრან ოპერაში“ მოსულიშვილმა აუზნდი გამოიყვანა (25 მომღერალი) დირექტორის შალო-მოპრეს მიწვევით, სრულიად საფრანგეთის სტუდენტთა კავშირის სასარგებლოდ. შესასვლელი ბილეთები ღირდა 100 ფრ.; არც წინად და არც ეხლა დიდ ოპერაში უცხოელთა გუნდი არას დროს არ მიუწვევიათ.

საღამოს დაესწრო მრავალი საზოგადოება (10,000 კაცამდის), საფრანგეთის მთავრობა და დიპლომატიური კორპუსი. 24 ივნ. 1925 წ. გუნდი გამოვიდა სცენაზე (ოშის დარბაზი) ფერად ქულაჯებში; შემდეგი გამოსვლა მოხდა საერთაშორისო გამოფენის საკონცერტო დარბაზში, 19 ივლისს, დირექტორი კამოენის მიწვევით. გუნდმა დაამღერა იმავე ხანებში „გრამოფონის“ საზოგადოების ფორფიტებზე 4 სიმღერა. 1929 წელს გუნდს უმღერია სორობონის და ვოლტერის დარბაზებში; 1930 წ. „ალიანს ფრანსეზ“ის დარბაზში. 1934 წ. გუნდი მიწვეულ იქმნა პროფ. ყირონკურის მიერ ჟ. ნანსიში და შალონში სადაც გაიმართა 4 კონცერტი. ფრანგულმა პრესამ აღნიშნა მაშინ თავისი აღტაცებანი და ოვაციები. 1931 წელს მოსულიშვილი პერსონალურად მიწვეულ იქმნა ლონდონში სხვა და სხვა ერების ლოტბარებთან ერთად სასულიერო კონცერტზე მონაწილეობის მისაღებად. 225 კაცისაგან შემდგარ გუნდს ულოტბარა ქართული საგალობოობი:

„შენ ხარ ენახი“, „ქრისტე აღსდგა“, „მამაო ჩვენო“ და „შენ გიგალობო“ (ფალიაშვილის პარტიტურით). მოსულიშვილი მხოორვალე ტაშის ცემით იყო დაჯილდოვებული და წერილობითი მა-

დლობაც გამოუცხადეს. 15 წლის განმავლობაში მოსულიშვილს დაუგროვებია მდიდარი მასლა მისი მოღვაწეობის ამ დარგში და არქივი: განცხადებები, პროგრამები, სამადლობთელი წერილები, პრესის რეცენზიები ქართულ სიმღერის შესახებ. უკანასკნელ კონცერტზე, 26 მაისს 1938 წ. მოსულიშვილმა შეასრულა შის მიერ დაწერილი „ხოტბარუსთაველის“, რაძაც საზოგადოებაში აღტაცება გამოიწვია და შესაფერისად დააჯილდოვა ავტორი.

მომვალ 28 იანვარს ჩვენი საზოგადოება იხილავს ქართულ გუნდს იმ პირველ ქართულ კონცერტზე, რომელიც გაიმართება ქართულ ასოციაციის ფილარმონიულ წრის მიერ. პროგრამაში სხვათა შორის, შედის სუოხანნიშვილის „ღმერთო“, ქორიძის „მავი შაშვი“ და თვით ლოტბარის „ხოტბა“.

კონცერტისათვის უკვე დაქირავებულია „ერარის“ დარბაზი და ორი თვეა, რაც მოსულიშვილი აწარმოებს გუნდის ვარჯიშობას. სხვათა შორის, მოსულიშვილს დაწერილი აქვს ახალი თეორია (აკორდების გარჩევით და მელოდის წყობით) ქართული სიმღერის, მისი ბუნების და თვისების განსაკუთრებული ხასიათის შესახებ. იგი ამტკიცებს, რომ სამხმოვანი ქართული სიმღერა საფუძვლად დაედო ახლანდელ ევროპულ ოთხხმოვან სიმღერა-გალობას, რაიცა მოწმობს ქართულ ჰარმონიის უდიდეს ევოლუციას წარსულში. **ბანი**

P. S. ქართული კონცერტისათვის ბილეთების მიღება შეიძლება ქ-ნ ვერა ფალავასთან — 2, სიტე რონსლებატ, მონრუჟი — და ბ-ნ. ი. გოგოლაშვილთან: 38, რიუ ბუალო, პარიზი 16.



## კავკასიის კონფედერაციის საბჭოს დადგენილება

(„უფრნალ დე უწნევ“ 19 ნოემბრის ნუმერი)

კავკასიის კონფედერაციის საბჭომ, განიხილა რა უკანასკნელი ამბების განვიტარება ევროპაში და მათი შესაძლებელი გავლენა იმ საკითხებზე, რომლებიც უშუალოდ აინტერესებს კავკასიის ერებს, — მიიღო შემდეგი დადგენილება:

„საბჭო გულწრფელად იზიარებს იმ სიხარულს, რომლითაც ქვეყნიერება მიესალმა ევროპის მძიმე კრიზისის მშვიდობიან გადაჭრას სექტემბერში; იგი აღტაცებულია, რომ მთავრობათა მეთაურებმა გამონახეს ბედნიერად გამოსავალი იმ მდგომარეობიდან, რომელიც უიმედოთ სჩანდა. საბჭო ხედავს მიუნხენის შეთანხმებაში მხსნელ მაგალითს: უდიდეს გნსაცდელის დროს ერები მას მოიგონებენ და მთავრობები მით ისულდგმულებენ. საბჭოს აზრით, მიუნხენი წარმოადგენს შეტრი ალებას და სიმბოლოს: ევროპიელ ერების მორიგების დასაწყისს და ცივილიზაციის გამარჯვებას დამრღვეველ ბნელ ძალებზე, და ყოვლის უწინარეს კი მშვიდობიანობის გამარჯვება ნიშნავს საბჭოთა რუსეთის დამარცხებას, მის გარიცხვას ევროპის დიდ საელომწიფოების ოჯახიდან და მის ზნეობრივ და დიპლომატიურ განმარტობას. საბჭო ჰგონიქრობს, რომ ევროპის დამანაწილებელ საკითხების შემცირება განამტკიცებს ანტიბოლშევიკურ ძალებს, გასწმენდს კომუნისტურ ინტერნაციონალის საწინააღმდეგო ბრძოლის პერსპექტივებს ჩანართავ ელემენტებისაგან და მოახლოვებს აღმოსავლეთ ევროპის საკითხების გადაჭრას და პირველ რიგში მოსკოვის მიერ დაჩაგრულ ერების განთავისუფლების უამს.

საბჭო აღნიშნავს დიდი კმაყოფილებით, რომ მიუნხენის შეთანხმება დაეყრდნო ერთა თვითგამორკვევის პრინციპს, რომელსაც სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ს.ს.რ. კავშირის დამონებულ ერების განმათავისუფლებელ ბრძოლაში, და რის გამოც ეს ერები დარწმუნებულნი არიან, რომ მთელი განათლებული კაცობრიობა მათი თანამგრძობი და მომხრე იქნება“.

### † ვახტანგ მაჩაბელი

კიდევ გაითხარა ერთი საფლავი უცხო მიწაზე, და მას მიეხარა ერთი ფრიად ნიჭიერი, მამულიშვილურ ცეცხლით აღვზნებული და სამშობლოს მწარე ზვედრით დასეტყვილი ქართველი ახალგაზრდა.

ვახტანგ მაჩაბელის ეს მწარე ბედისწერა არ ყოფილა შედეგი არც ქონებრივი გასაჭირისა და არც მოუვლელობის. მისი და და სიძე მას არ აკლებდენ ასეთს მზრუნველობას. საქართველოდან გამოსული ნორჩი ყმაწვილი უმაღლეს სასწავლებელში იქმნა მოთავსებული ჯერ რომსა და შემდეგ პარიზში, ხოლო უკანასკნელ წელთა მანძილზე ფრიად კარგს სამსახურში იყო მოწყობილი. მაგრამ განსვენებულის მგრძნობიარე და ნაზ აგებულებამ ვერ გაუძლო პირად ცხოვრებაში შემხვედარ სიმწარეს და აგრეთვე უცხოეთის ჰავას. ვახტანგ მაჩაბელი დასნეულდა და ამ სენმა სწრაფად მოიღდა ფენი მის ნერვიულ და ფიზიკურად სუსტა არსებაში.

განსვენებული იყო შვილი ცნობილ ქართველ მოღვაწისა მიხეილ მაჩაბლის და ამ დარბაისელ ქართველ ოჯახში შეიხორცა ყველა ის კარგი თვისებები, რომელნიც მას ახასიათებდენ. ოჯახის ტრადიცია მოუწოდებდა მას მშობელ ერისათვის ბრძოლისა და მოღვაწეობისათვის, და ისიც გულმოდგინეთ დაეწაფა საქართველოსათვის მნიშვნელოვან პრობლემების შესწავლას. ვახტანგ მაჩაბელი, რასაკვირველია, ვერ გაერიყებოდა ჩვენს აშლილსა და დაუღაგებელ ემიგრანტულ საზოგადოებრივ ცხოვრებას. მაგრამ ეს უკვე დასნეულებული ახალგაზრდა თავს იკავებდა მუდამ ყოველი საქმისაგან, რომელიც ზედმეტ გამწვავებასა და აშლილობას შეიტანდა ქართულს საზოგადოებაში.

გულკეთილობა, ზრდილობა და თავაზიანობა ჩახსიანებდა მის ბუნებას და ეს თვისებები ვერ შეურყია მას მძიმე და მრავალმხრივ არანორმალურ ცხოვრების პირობებმა. ვახტანგ მაჩაბელი ფრიად სასარგბლო მოღვაწედ მოეველინებოდა მშობელ ერს, მაგრამ მისმა მწარე ბედისწერამ ძლიერ ადრე გადაუჭრა მას ცხოვრების გზა.



### † გრ. ნადარეიშვილი

ქართველთათვის უცხო მიწაზედ გათხრილ საფლავებს ერთიც კიდევ მიემატა, და მას ამ დღეებში მივაბარეთ პარიზში გარდაცვლილი ახალგაზრდა გრ. ნადარეიშვილი. ერთი წლის წინ გამოაჩნდა მას ქლექი, რომელმაც სისწრაფით მოულო ბოლო, ემიგრანტულ გაჭირვებულ ცხოვრებით დასუსტებულ მის [სხეულს.] განსვენებული იყო წვერი ეროვნულ დემოკრატიული პარტიისა და როგორც საქართველოში, ისევე აქ უცხოეთში ღირსეულად ატარებდა პარტიის წევრის სახელსა და შეძლებისდაგვარად ასრულებდა პარტიის წევრის მოვალეობას. ბუნებით წყნარი-მშვიდი და ხათრიანი, ზნეობრივად უმწიკველი და პატიოსანი, ის არ გარეულა ეროვნულ საქმიანობისათვის მავნებელ არც ერთ საქმიანობაში. სულიერი და გონებრივი ცხოვრებით გატაცებული ის მატერიალურ საშინელ სივიწროვეშიაც კი ახერხებდა გონებრივ შრომას და თითქმის დაასრულა უმაღლესი იურიდიული განათლება. განსვენებული უსათუოდ გამოადგებოდა ჩვენს მიმართულ ბასა და საქართველოსაც, რომ ასე უდროვოდ არ გამოერჩია სიკვდილის მოციქულს ახალგაზრდათა რიგებიდან. ბუნებით ღირსეულსა და მორიდებულს არავინ შეუწყუხებია მისი გაჭირვებისა და ავადმყოფო-

ბის შესამსუბუქებლად. ვერც ჩვენ მივაქციეთ მას შესაფერი და ღირსეული ყურადღება, და ქართულ ემიგრაციაში წყნარად, მორიდებულად და წლების განმავლობაში ლანდივით მოსიარულემ, სხვების შეუწყუხებლად საუკუნით დახუჭა უცხოთა ლოგინზედ, სამშობლო ქვეყნის სევდით დაღლილი თვალები.

კეთილი სსოვნა დარჩება ჩვენში ამ კეთილი ახალგაზრდის.

ულრმეს თანაგრძნობას უცხადებთ საქართველოში მყოფ მის გამამბულ ჭირისუფალთ, და მოუწოდებთ ქართველთა ემიგრაციას მეტის ყურადღებითა და გულთბილობით მოვექცეთ ემიგრაციაში დაავადებულთ და გაუწიით მშობლიური და ძმური დახმარება.

### † მარიაჲ კოზმინიჲ - მახარაუზნილი

„დამოუკიდებელ საქართველოში“ ამოვიკითხე ქალბატონ მაროს გარდაცვალება იუგოსლავიაში წ. წლის 18 მარიაჲობისთვის, რომლის სიკვდილმა ღრმად დასერა გული.

კიდევ ერთი ძვირფასი ძამულიშვილი გამოესალმა სიცოცხლეს და უცხოეთის მიწას მიებარა.

ქალბატონი მარი რომ გავიცანი პირველად, ეს იყო ქ. გორის ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ბიუროში, რომელიც იმ დროს დიდ აქტიურ პოლიტიკურ მუშაობას აწარმოებდა ქ. გორის საქალაქო და საქართველოს დამფუძნებელ კრების არჩევნების გამო.

მისი მეუღლე ბ-ნი ექიმი კობერიძე ქ. გორის სოციალ-დემოკრატების მეთაურთა რიგში იდგა, მაგრამ ამას სრულიად არ შეუშლია ხელი ჩვენი მაროსათვის მეტად ენერგიული მონაწილეობა მიეღო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მუშაობაში. მართლაც, ის მთელის თავის ენერგიით ემსახურებოდა მას.

მაშინ სულ ახალგაზრდა, ლამაზი, ტანოვანი, მხიარული და სიცოცხლით სავსე ადამიანი გახლდათ.

როდესაც ჩვენი მარი პარტიულ ბიუროში გაჩნდებოდა, სიმხიარულის შემოტანასთან ერთად მუშაობაც გაჩაღდებოდა — მაშინვე ჩვენ ყველას და მარიზედ უნცროსებსაც საქმე გაგვიჩნდებოდა.

ჩვენს ძვირფას მაროს ჩვენი მოწინაღმდეგეებიც დიდ პატივს სცემდნენ და სიმბატიით და თავაზიანობით ეპყრობოდნენ, როგორც თავის ენერგიულს, მაგრამ ფრიალ ღირსეულ მოპირდაპირეს.

ბოლოშვილების შემოსვლის შემდეგ ათეულმა წელმა გაიარა და პარიზში გავიგე, რომ დროებით აქ იმყოფებოდა. მაშინვე გავეშურე მის სანახავად, მაგრამ ის უკვე პარიზიდან წასულიყო და, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა ჩვენი შეხვედრა, რომ ამდენი წლების უნახაობის შემდეგ გავვეხსენებინა და მოგვეგონებინა ყველა ერთად თუ სათითაოდ, ჩვენი ძველი ნათესავ-მეგობარნი და ამხანაგები.

კიდევ გადის რამდენიმე წელიწადი, და დღეს, მისი გარდაცვალების სამწუხარო ამბავი მესმის. გამოესალმა სიცოცხლეს და ეს მშვენიერი ქართველი ქალი ვეღარ იხილავს თავის საყვარელ სამშობლოს და ვეღარ ეღირსება თავის ძვირფასი მშობლების საფლავების მოვლას და თაიფულებით შემკობას.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე და მნატვრელი თავის ქალიშვილის ცქერისა, რომელიც ალბათ ისეთივე დასტოვა, როგორც თვითონ იყო დატოვებული თავის საყვარელი დედის მიერ.

ტკბილი იყო ჩვენი მარი ყველა თავის ნაცნობ-მეგობრებისათვის



და ტებილად იქნება მუდამ მოგონებული ყველას მიერ, ვისაც კი შეეძლება და ხსიათს.

ბაგრატი

† გენ. შ. ბაქრაძის გარდაცვალება

პოლონეთში გარდაიცვალა გენ. შაქრო ბაქრაძე. განსვენებულმა დიდი გმირული სახელი მოიხვეჭა მსოფლიო ომში და შემდეგ ღირსეულად ემსახურებოდა საქართველოს სამხედრო საქმეს:



ე მ ი გ რ ა ო ი ა შ ი

ქართულ - უკრაინული წიგნა

შობის დღეს არქიმანდრიტმა მ. გრიგოლ ფერაძემ უკრაინულ ეკლესიის მოძღვრის თანამჭირველობით ძეასრულა უკრაინულ ეკლესიაში საშობაო წირვა. ვალობდა უკრაინული ხორო. არქიმანდრიტი გრიგოლი წირვას ასრულებდა ქართულად და უკრაინული მღვდელი უკრაინულად. წირვის დასასრულს მ. გრიგოლ ფერაძემ წაიკითხა ფრაზგულად ქადაგება, რომელშიდაც ახნიშნა ამ ორი ერის საერთო ისტორიული ხვედრი ქრისტიანულ სარწმუნოებისა და თვით ეროვნულ არსებობის დაცვისა და განძტკიცების გზაზე. მამა გრიგოლმა მოუწოდა ქართველებსა და უკრაინელებს ამ ერთობისა და ქრისტიანული ამოხის განძტკიცებისათვის საერთო მართადადიდებელ ეკლესიის ჭერქვეშ. აღენიშნავთ სიაზოვნებით, რომ შობის წირვით მ. გრ. ფერაძემ საფუძველი ჩაუყარა ემიგრაციაში მყოფ ქართველთა და უკრაინელთა დაახლოვებას ამ ფრიად მნიშვნელოვან ეკლესიურ ნიადაგზე. ქართულ ემიგრაციას მეტად უძნელდება საკუთარი ეკლესიის დაფუძნება პარიზში და უკრაინულ მრევლთან შეთანხმებით მას მიეცემა საშუალება ღირსეულად დააკმაყოფილოს თავისი სარწმუნოებრივი მოთხოვნილებანი. უკრაინული ხორო უკვე თანამშრომლობს ქართველებთან საერთო ვალობის ნიადაგზე და მასთან ერთად უკრაინულ - ქართული ხოროს მოწყობაც არ იქნება ძნელი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართულ-უკრაინული საზოგადოება ყოველივე დახმარებას აღმოუჩენს თავის მოძღვართა ასეთ თაოსნობის ღირსეულად განაღდების საქმეს.

მორწმუნე

სიმონ მღივნის გარდაცვალების წლის თავი

კვირას, 18 დეკემბერს უკრაინელთა ეკლესიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი სიმონ მღივნის გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად.

ელისე პატარიძის წიგნი

დაიბეჭდა და გამოვიდა ელისე პატარიძის წიგნი: „დემოკრატიზმი“. წიგნი გამოცემულია ლამაზად, შეიცავს 70 გვერდს, მასში განხილულია დემოკრატიისა და პარლამენტარიზმის საკითხები, რომელთა შესახებ ამ უამად ყველგან დიდი კამათი სწარმოებს.

სარედაქციო კოლეგია

---

**შეცდომის გასწორება :**

მე-30 გვერდზე ქვემოდან ზევით 11 - 12 სტრიქონს შუა აკლია შემდეგი სტრიქონი :  
რება. ჩვენი მხრით ჩვენ მზადა ვართ და მოხარულიც ვიქნებით სამსა-

---